



ԸՆԹԱԿԱՆ

№ 109 / 1 - 7 ՌդՅՈՒԹՅՈՒՆ / 2012

ISSN 1987-7528



9 771987 752008

Չափ 2 լարո



ԿԱԿԱԾԱ  
ՏԱՅԱՍԵԳԱԸՆ  
ՎԻՐԿԱՆԵՐ



ეცალე დაინახო გეფე

მთავარი რედაქტორი  
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი  
ლიკა ზაკაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი  
ნინო ბექიშვილი

#### შურინალისტები:

ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ გარდიაშვილი,  
თათა ხალანი, ანი ჭანკოტაძე,  
თინა ყიფშიძე, გომიგი გოგუა,  
გომიგი ჭეშმელი, სოფო აფასური,  
ეკა მალალაძე, ლევან ახალაია,  
სალომე ცეცხლაძე

#### კონტრიბუტორი:

კახა თოლორდავა, ბექა ქურთული

#### რედაქტია:

ფოტო-რედაქტორი  
ლევან ხერხეულიძე

გრაფიკული დაზიანი

თორინიკე ლორთქიფასიძე

რედაქტორ-სტილისტი ნინო ბექიშვილი  
კორექტორი თამარ ლონდაძე

#### გამოცემლობა:

დირექტორი  
ქეოვან ბაზუნიშვილი

გაყიდვებისა და გინერაციის

განვითარების განვითარები

რუსული და გარეული ენერგეტიკული

კონკურენციის თაობაზე

#### გაყიდვების მიმღები:

სოფო პაპუნაშვილი

განვითარების განვითარები

რუსული და გარეული ენერგეტიკული

კონკურენციის თაობაზე

განვითარების განვითარები

დისტრიბუტორი:

მიხეილ მამუჩიშვილი

ურნალის გამოწერის მსურველები

დაგვიკავშირით: 247 10 05.



„ინბერალის“ ეს ნომერი 1 ოქტომბერს გამოდის. იმედი მაქვს, იმდენად მშვიდობიანად ჩაივლის ეს დღეც და ეს კვირაც, რომ მოგინდებათ წაიკითხოთ ჩვენი მთავარი ოქმა პარლამენტის გასული ხუთი წლის განმავლობაში მიღებულ ყველაზე მინშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებზე.

იქნებ ამ არჩევნების შემდეგ მაინც შეიძინოს პოლიტიკამ პოლიტიკური შინაარსი და პარლამენტმა – ფუნქცია, რომ პოლიტიკა აღარ იყოს ქვების სროლა, ძალადობა, კომპრომატიზმის ფრიალი და ყრილობებზე ძალით მიყვანილი „მხარდადმჭერები“; რომ ახალი პარლამენტის უმრავლესობა აცნობიერებდეს პარლამენტარის მანდატის პასუხისმგებლობას და კანონშემოქმედების ნიუანსებს; რომ აღარ მუშაობდეს ბოლშევიკური რიტორიკა – „ვინც ჩემს წინააღმდეგაა, ის ჩემი მტერია“ და ზოგადად, პარლამენტმა დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები, იმისათვის, რომ 5 წლის თავზე, ახალი პრეზიდენტი ისევ „სისტემურ კრახზე“ არ ალპარა კდეს.

სამოქალაქო საზოგადოების საქმე კი არ იცვლება.

2 ოქტომბრიდანვე ჩვენ უნდა დავიწყოთ ახალი ხელისუფლების დაუნდობელი კრიტიკა და კონტროლი. ამ ხელისუფლებას ლამის თოხნლიანი „კარტ ბლანში“ ჰქონდა და მათ წარუმატებლობაზე პასუხისმგებლები დიდწილად ჩვენც ვართ.

ძალიან მინდა, რომ ყველაზე ძლიერი ამ ქვეყანაში იყოს არა რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური პარტია, ან ლიდერი, არამედ მოქალაქე, რომ მოქალაქემ შეძლოს ხელისუფლების მართვა და არა პირიქით. ეს არის ძლიერი სახელმწიფოს ფუნდამენტი და არა გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და „ნულოვანი ტოლერანტობა“.

„ჩვენ როდესაც ვსუბობთ იმაზე, რომ პარლამენტის მიერ ოთხი არასრული წლის განმავლობაში მიღებულ იქნა 650 მეტი კანონი, უნდა წარმოვიდგინოთ კონკრეტულად რა დგას ამ ციფრის უკან, რა ახალი თავისუფლებები და შესაძლებლობები დგას ჩვენი მოქალაქეებისათვის. ჩემი გამოსვლის მიზანია, შევაჯამო როგორ ასრულებდა პარლამენტი ამ ოთხი წლის განმავლობაში თავის მთავარ ფუნქციებს: კანონშემოქმედება, პოლიტიკის ფორმირება, ზედამხედველობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. რას ვუტოვებთ შემდეგი მოწვევის პარლამენტს და რას წარმოადგენს საქართველოს პარლამენტი დღესდღეობით“ – ზურაბ უვანია, 1999 წლის პარლამენტის ბოლო სხდომა.

შორენა შავერდაშვილი



## შეზღუდვები მიღიას აჩრივნების ელეს

არჩევნებამდე 6 დღით ადრე ცესკომ უურნალისტებს საარჩევნო უბნებზე ფოტო-ვიდეო გადაღებაზე შეზღუდვები დაუწესა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ მოქმედ კანონში არსებული ჩანაწერი დამატებით განმარტებებს საჭიროებს. არასამთავრობო ორგანიზაციები კი ერთხმად ეწინააღმდეგებიან ცესკოს

## საკანონმდებლო პარლამენტი 2008-2012

29 ივნისს მეშვიდე მოწვევის პარლამენტის საგაზაფხულო სესია ოფიციალურად, სახელმწიფო პიმნით დაიხურა. ახალი მოწვევის პარლამენტი ქუთაისში ახალ შენობაში შეიკრიბება. „ლიბერალი“ 2008-2012 წლების მოწვევის პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობის შეფასებას შეეცადა. ჩვენ გამოვყავით მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებზე – კონსტიტუციის ახალი პროექტის მიღება, შეკრების და გამოხატვის თავისუფლება, გარემოს დაცვა, მედიაკანონმდებლობა, პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონი, რელიგიის შესახებ კანონი, საარჩევნო კოდექსი, პერსონალური მონაცემების შესახებ კანონი და საგადასახადო კოდექსი.

▶ გვ.18-39

## კლასისებრი მათიას საკლაბა

მეგის ქარდავა, დავით ჭავჭავაძე, გიორგი აგსაჯანიშვილი, ალექსანდრე თოლორძავა, გიორგი ბუთლიაშვილი, ვაჟა ცხვედიანი, ალექსანდრე მუხაძე, შოთა თოლორძავა... ეს იმ პირთა არასრული ჩამონათვალია, რომლებსაც ასობით პატიმარი წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებს, დღესდღეობით ისინი სამსახურიდან გათავისუფლებულნი არიან. თუმცა, გამოძიება დღემდე არ დაწყებულა.

▶ ზურა ვარდიაშვილი  
გვ.40



გადაწყვეტილებას და მიიჩნევენ, რომ ეს გამჭვირვალობისთვის მნიშვნელოვანი დარტყმაა, უურნალისტებს კი დარღვევების დაფიქსირების შესაძლებლობას ართმევს.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე თამარ ჩუგუშვილი ამბობს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია თავის უფლებამოსილებას აჭარბებს, როდესაც კანონით მინიჭებულ უფლებებს ავიზროებს და ზღუდავს.

▶ ეკა ზაღალდაძე  
გვ.16

## ახასხიცლოვნები საჭათვაცოს პირისაციური სისტამი

2012 წლის რვა აგვისტოს ავტალის არასრულწლოვანთა კოლონიაში ბუნტი მოხდა. ინციდენტში დანესეპულების 122 მსჯავრდებულიდან უმრავლესობა მონაწილეობდა. ბუნტის ორგანიზატორი თორმეტი არასრულწლოვანი რუსთავის მე-17 საპყრობილები გადაიყვნეს. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. სახალხო დამცველის ინფორმაციით, მსჯავრდებული ბავშვების პროტესტი დანესეპულებაში ამოქმედებულ შეზღუდვებს, არასათანადო მოპყრობის შემთხვევებსა და ახალ სარეფიმო მოთხოვნებს უკავშირდებოდა.

 ლიკა ზაკაშვილი  
83.44

ფოტოების კოლექტივი

## სტულენტები სისტემის წინააღმდეგ



 83.54-59

### გამოცხადება:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ქლენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

### სხვა გამოცხადები:

„ცხვლი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

შურზლში გამოქვეყნებული მასალების ნილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

### ჩატვრი:

სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორსაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ნომრი:



04 მოკლედ

06 რიცხვები, ციტატები  
ორი აზრი

08 ჩატარდება თუ არა არჩევნები  
სამართლიანად?

ინტერვიუ

10 „საკონსტიტუციო უმრავლესობა  
ბორიტება“

არჩევნები 2012

14 ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა  
„პოლიტიკური ნიშნით“

16 შეზღუდვები მედიას არჩევნების დღეს  
სამართლი

20 აღასასრულებელი მართლმსაჯულება

44 არასრულწლოვნები საქართველოს  
პენიტენციურ სისტემაში

ურნალისტური გამოძიება

48 დევნა პოლიტიკური ნიშნით  
ლიბერალის ვებგვერდიდან

60 მჯერა, არ მჯერა, ვიც!

ქალაქში მოხეციალე კაცის ჩანაწერები

62 ამიგდალა

56 მიშიზმები

## ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ



საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ  
სააკაშვილმა 27 სექტემბერს ქუთაის-  
ში კოპიტარის აეროპორტი გახსნა.  
ქვეყნაში მიმდინარე სტუდენტების  
მასშტაბური აქციების მიუხედავად,  
იუსტიციის სახლის შემდეგ ქუთაისის  
აეროპორტი მეორე ობიექტია, რომე-  
ლიც ქვეყნის პირველმა პირმა წინასა-  
არჩევნოდ საზეიმოდ გახსნა.

სააკაშვილის თქმით, რუსეთის მიერ დაბომბილი აეროპორტის გახსნა საქართველოს ფერფლისგან აღდგენის სიმბოლოა. „ძევლი კოპტურის აეროპორტის ადგილზე, რომელიც 2008 წელს მინასთან გაასწორა ჩვენი მტრის ავიაციამ, დღეს ახალი აეროპორტი გა- ვხსენით. მა აეროპორტის გახსნა არის სიმბოლო საქართველოსი, რომელიც მერამდენიდე აღდგა ფერფლიდან და რამდენჯერაც უნდა სცადონ წაგევა, არასდროს ქვეყანა თავს არ ხრის“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

სააკვშილმა ასევე ისაუბრა ქვეყნის  
წინსვლასა და აღორძინებაზე. მისი  
თქმით, ბევრი ქალაქი შენდება და  
ქვეყნა წინსვლას აგრძელებს, თუმცა  
არსებობს ხალხი, ვინც ასეთი წინსვლის  
წინააღმდეგა იძრდება.

„იმ სალისითვის ვინც უკან გვაძრუ-  
ნებს, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, არის  
სამკედრო-სასიცოცხლო საფრთხე.  
მათი მთავარი ლოზუნგი არის ის,  
რომ ქუთაისში არ იყოს პარლამენტი.  
ყველას მინდა ვუთხრა, რომ ეს უკვე  
განხორციელდა და 2 ოქტომბერს გაი-  
ხსნება ქუთაისის პარლამენტი ისე, რო-  
გორც უნდა გახსნილიყო“, – განაცხადა  
პრეზიდენტმა.

"Հայոց հսկութեան Յանձնութիւն":  
Ազգային պատմական հայոց պատմութիւնները  
և աշխարհագրութեան պատմութեան հայոց պատմութեան

ორგანიზაციის უფროოსი  
მკვლევარი გიორგი გოგია ამბობს,  
ადმინისტრაციული სამართლდარღვე-  
ვისთვის გასმართლებულს, პრეტიცუ-  
ლად უფრო ნაკლები უფლებები აქვს,  
ვიდრე სისხლის სამართლის კოდექსით  
გასამართლებულს.

ადმინისტრაციული პატიმრობის  
მაქსიმალური ვადა 90 დღეა. ადმინის-  
ტრაციული პატიმრობის გაუქმების  
საჭიროებაზე დიდი ხანის საუბრობენ  
უფლებადამცველი ორგანიზაციები და  
სამართლის ექსპერტები და მიუთითე-  
ბენ, რომ მსგავსი ტიპის სამართალ-  
დარღვევისთვის პატიმრობა მსოფლიო-  
ში მხოლოდ რამდენიმე პოსტსაბჭოთა  
ქვეყნაში არსებობს.

## საბეჭდო საკუთრივო გაფიცვაზე სახელმწიფო ბაზი ბატონიური სახელმწიფო ბაზი

საბერძნეთში 26 სექტემბერს 24 საათისინ საყოველთაო გაფიცვა მოეწყო. დემონსტრანტებს, რომლებიც ქვებ-სა და ყუმბარებს ისროდნენ, ათენში

ათასობითი მობილიზებული პოლიციელი ცრემლსადენი გაზის გამოყენებით დაუპირისპირდა.

საბერძნეთის დედაქალაქში გაფიცვის დღეს მთავრობამ სიტუაციის გასაკონტროლებლად ჩვეულებრივზე 2-ჯერ მეტი პოლიციელი გამოიყარა. 26 სექტემბერს საბერძნეთში შეჩერებული იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა. დაკატილი იყო მაღაზიების უმრავლესობა და საჯარო მუზეუმები. გაფიცულებს 3 საათით ავიადისპექტჩერებიც შეუერთდნენ, საავადმყოფოები კი მხოლოდ ექსტრემალურ შემთხვევაში იღებდნენ პარაინტენს.

გაფიცევის ორგანიზატორი საბერძნეთში მოქმედი ორი უმსხვილესი პროფესიული კავშირების გაერთიანება, ADEDY და GSSE იყო. დასაქმებულებმა ახალი ეკონომიკური საბიუჯეტო პოლიტიკა გააპროტესტეს, რომლის მიღებასაც საბერძნეთს კრედიტორი საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ევროკავშირი აიძულებენ.



## საფრანგეთის მთავრობა დიდი გენერალური კანკორდი

საფრანგეთის მთავრობამ, აზრთა სხვა-  
დასხვაობის მიუხედავად, ახალი ბიუჯე-  
ტი დაამტკიცა, რომელიც საბორჯეტო  
დეფიციტის შემცირებას მდიდრების-  
თვის გადასახედების გაზრდის ხარჯზე  
პირობება.

ამჟამად საფრანგეთის ბიუჯეტი  
მთლიან შიდა პროდუქტან მიმართე-  
ბით 4.5%-იან დეფიციტს განიცდის.  
მთავრობა კი ახალი საბიუჯეტო პოლი-  
ტიკით დეფიციტის 30 მილიონი ევრო-



თა შემცირებას და 3%-ზე ჩამოყვანას გეგმავს.

საფრანგეთის პრემიერის, უან-მარკ აიროს მიხედვით, გადასახადების ზრდა ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ ყველაზე მდიდარ 10%-ს შეეხება. საფრანგეთში, სადაც პროგრესული გადასახადების სისტემაა, მოსახლეობის შექლებული ფენისთვის გადასახადები ისედაც საკმაოდ მაღალია. ოპონენტები, რომლებიც საბოლუსტო დეფიციტის შესამცირებლად გადასახადების გაზრდას ეწინააღმდეგებიან, შიშობენ, რომ ეს ზომა ქვეყნიდან მდიდარი მოქალაქეების ემოგრაციას გამოიწვევს.

თუმცა საფრანგეთის მთავრობა საკუთარ პოზიციაში პრინციპულია და დეფიციტის შემცირებას ეკონომიკის სხვა ზომების ნაცვლად სამთავრობო ხარჯების შემცირებითა და გადასახადების გაზრდით აპირებს.

საფრანგეთის პრეზიდენტმა, სოციალისტური პარტიის ნევრმა ფრანსუა ოლანდმა 2012 წლის მაისში საპრეზიდენტო არჩევნები ნიკოლას სარკიზის სწორედ იმ ღოუზუნგებით მოუკო, რომ მკაცრ საბიუჯეტო პოლიტიკას შეაბილებდა და ეკონომიკური კრიზისის შედეგები მხოლოდ საშუალო კლასისა და ღარიბი მოსახლეობის მხრეზე არ გადაივლიდა.

## ესაკანონის მოსახლეობა მასში საბიუჯეტო პოლიტიკას აპირობებას

25 სექტემბერს ესპანეთში მოსახლეობამ მთავრობის მკაცრი საბიუჯეტო პოლიტიკის გასაპროტესტებლად მასობრივი გამოსვლები დაიწყო.

„დემოკრატია მოიტაცეს. 25 სექტემბერს ჩვენ მის დასაცავად გამოვალთ“ – წერია საპროტესტო აქციების მთავარი ორგანიზაციორი ჯგუფის, Coordinadora N25S-ის მანიფესტში.

მადრიდში პარლამენტის შენობასთან შეკრებილი დემონსტრაციები ესპანეთის ფინანსთა მინისტრის, მარიანო რახოის გადადგომას ითხოვდნენ.

პარლამენტის განსაკუთრებულად ბევრი პოლიციელი იცვდა, რომლებიც შენობის გარშემო განლაგდნენ, რათა დემონსტრაციებს პარლამენტის შენობა არ აეღოთ. თუმცა, Coordinadora N25S-ის წევრების განცხადებით, ისინი პარლამენტის შენობაში შეჭრას არ ცემების განლაგებას აპირებდნენ და ხელს არ შეუშლიდნენ პარლამენტარების შენობაში შესვლას. თუმცა, დემონსტრაციებსა და პოლიციას შორის მცირედ შეხლა-შემოხლას მაინც ჰქონდა ადგილი.

მომდევნო დღეებში მშვიდობიანი აქციები პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდის. □

ციები პოლიციასთან დაპირისპირებაში გადაიზარდა და აქციის მონაწილეებმა სამართალდამცავებს ქვები დაუშინეს. პოლიციამ დემონსტრაციების დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. ათობით ადამიანი დააპატიმირეს, რამდენიმე დემონსტრაცი კი დაშავდა.

ევროზონის ქვეყნებიდან ესპანეთში უმუშევრობის ყველაზე მაღალი პროცენტი ფიქსირდება და ოფიციალური მონაცემებით, 25%-ს აღნევს.

ეკონომიკური კრიზისის შედეგების დაძლევას მთავრობა მკაცრი საბიუჯეტო პოლიტიკით ცდილობს და სოციალურ ხარჯებს ამცირებს, რაც მოსახლეობის უკამაყოფილებას იწვევს, თუმცა რეცესიის პროცესს ვერ აჩერებს. ესპანეთში რეალურულად იმართება მასშტაბური საპროტესტო აქციები და მოსახლეობა ფინანსური ინსტიტუტებისა და მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდის. □



# რიცხვები, ციტატები

**3 613 851** ამომრჩეველია

რეგისტრირებული  
ცენტრალურ საარჩევნო  
კომისიაში. ცესკოს სიების  
დაზუსტების უზრუნველყოფის  
კომისიამ ამომრჩეველთა  
საბოლოო ერთიანი სის 19  
სექტემბერს გადასცა.

**61** საერთაშორისო

ორგანიზაცია დააკვირდება 1  
ოქტომბრის არჩევნებს.

**93** ქართული და უცხოური  
მედიასაშეალებაა  
აკრედიტირებული არჩევნებზე  
(ცენტრალური საარჩევნო  
კომისია).

**144** ქვეყანას

შორის გლობალური  
კონკურენცუნარიანობის  
მიხედვით, საქართველო 77-ე  
ადგილზეა. კვლევა მსოფლიო  
ეკონომიკურმა ფორმულება  
გამოაქვეყნა.

**14** წლის გახდა „გუგლი“

27 სექტემბერს. გუგლი  
მსოფლიოში ერთ-ერთი  
ყველაზე პოპულარული  
კომპიუტერული ძებნის  
სისტემაა.

**18** პირი დააკავეს

სასჯელალსარულების  
დეპარტამენტის  
თანამშრომელთა მიმართ  
მიმდინარე გამოიიტის  
ფარგლებში. მათ შორის  
სასჯელალსარულების  
დეპარტამენტის  
თავმჯდომარის მოადგილე,  
ციხის მრი დირექტორი და სხვა  
მაღალი თანამდებობის პირები.

„გამოვავლინეთ და დავაკავეთ ყველა პასუხისმგებელი  
პირი, ორი მინისტრი თანამდებობიდან გადადგა და  
სასჯელალსარულების სისტემის ხელმძღვანელად  
ამ სისტემის უმწვავესი კრიტიკოსი, ადამიანის  
უფლებების დამცველი, საქართველოს ომბუდსმენი  
დავნიშნეთ. სწორედ ასე სწავლობენ დემოკრატიული  
სახელმწიფოები“, –

მიხეილ სააკაშვილი – საქართველოს პრეზიდენტი



„სირიაში ვითარება უარესდება და უზარმაზარ  
საფრთხეს უქმნის რეგიონს. ასეთ კონფლიქტს  
ვერ გამოკეტავ ერთ ქვეყანაში, ის აუცილებლად  
გავრცელდება სსვებზე და უკვე ვრცელდება კიდევ ამ  
ასიათასობით ლტოლვილის სახით“, –  
ლაკლარ ბრაჟიმი – გაეროსა და  
არაბული ლიგის ელჩი



„კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი წამების  
იარაღი – ჯვარი იქცა კაცობრიობის ცოდვისგან  
გამოხსნის მთავარ სიმბოლოდ. ამ მაგალითით, ჩვენ  
ეს სირცხვილი, გნებავთ სისტემური მარცხი, უნდა  
ვაქციოდ შემობრუნებად, კათარზისად გამჭვირვალე,  
სუფთა და ადამიანური მმართველობისკენ.  
ძალადობა ერთხელ და სამუდამოდ დატოვებს ჩვენს  
სადარბაზოებს, ქუჩებსა და თუ ეზოებს“, –  
გიგი უგულავა – თბილისის მერი



„არ არსებობს სიტყვები, რომლითაც შეიძლება  
უდანაშაულოთა მკვლელობა გაამართლო. არ  
არსებობს ისეთი ვიდეო, რაც საელჩოზე შეტევას  
გაამართლებდა. არ არსებობს ისეთი ცილისწამება,  
რომელიც გაამართლებდა ლიბანში რესტორნის დაწვას  
ან ტუნისში სკოლის დანგრევას, ან კიდევ მკვლელობასა  
და დესტრუქციულ ქმედებებს პაკისტანში“, –  
ბარაკ ობამა – ამერიკის შეერთებული შტატების  
პრეზიდენტი



KIA Sportage



iPhone 4



iPad 3G



MacBook Pro

# MOBILE BANKING INTERNET BANKING

ისარგებლეთ და მოიგეთ მარტივად



თიბისი პანკი  
T B C B A N K

227 27 27 | \* 27 27

[www.tbconline.ge](http://www.tbconline.ge) [www.tbcmobile.ge](http://www.tbcmobile.ge)

## არა

ზურაბ ქარუმიძე  
მწერალი


თუ გავითვალისწინებთ იმ დარღვევებს, რომ-ლესაც ვხვდებით წინასაარჩევნო პროცესში: „მასთ ქერის“პრინციპის არასრულფასოვან შეს-რულებას, სატელიტურა ანტენების პრობლემას, საინფორმაციო სიკრცის შეზღუდვას – ჯერჯე-რობით არ ჩანს, რომ არჩევნები, შეიძლება, სა-მართლიანად ჩატარდეს.

ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი? – ხელი-სუფლება. რამდენად აძლევს ხელს ხელისუ-ფლებას, რომ არჩევნები სამართლიანად ჩა-ტარდეს?! – ორი კვირის წინ გეტყოდით, რომ შეიძლება, ხელს აძლევდა კიდევაც, მაგრამ ციხის ამბების გამოაშეარავების შემდეგ მოსახ-ლეობის დამოკიდებულება მმართველი პარტიის მიმართ რადიკალურად შეიცვალა. აქამდე, წი-ნასაარჩევნო გამოკითხვებით, მოსახლეობის 40 პროცენტს ან არ ჰქონდა გადაწყვეტილი, ვის მისცემდა ხმას, ან პასუხისაგან თავს იკავებდა. ამ ადამიანების უმრავლესობას ახლა ანტისახე-ლისუფლებო განწყობა აქვს.

ამ საზარელმა კადრებმა, ფაქტობრივად, დაა-ჩქარა ხელისუფლებისადმი ნეგატიური დამოკი-დებულების დამკვიდრების პროცესი. სიმღერაც კი დაიწერა: „სისტემა უნდა დაინგრეს“. ის ოპო-ზიციას არ შეუქმნია, შექმნეს ახალგაზრდებმა, სტუდენტებმა, რომლებიც ალბათ ყველაზე მე-ტად აღმფოთდნენ მომხდარის გამო. მათ ყვე-ლაზე მეტად აფიქრებთ მომავალი, თუ როგორ ქვეყანაში მოუწევთ ცხოვრება.

პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილე ამდენი სტუდენტი 1989 წლის აპრილის დემონსტრა-ციების შემდეგ არ მინახავს. ეს ძალიან დიდი ცვლილებაა, რაც ნიშნავს, რომ საქართველოში აბსოლუტურად ახალი პოლიტიკური სურათი მი-ვიღეთ.

გაყალბების ერთ-ერთი მანიშნებელი საარჩევნო უბნებზე ფოტო-ვიდეო გადაღების შეზღუდვაცაა. ხელისუფლებას არ აწყობს სამართლიანი არჩევ-ნების ჩატარება, იმიტომ, რომ თუ წააგო (არ ვსაუბრობ იმაზე, თუ ვინ მოიგებს), ამიტომაც ისინი მაქსიმალურად შეეცდებან სიტუაციის გართულებას. უკეთეს შემთხვევაში, ეს იქნება სა-არჩევნო უბნებზე არეულობების მოწყობა, რომ შემდეგ ეს უბნები გაუქმდეს. უარეს შემთხვევაში კი, რაღაც უფრო დიდ პროვოკაციებს უნდა ვე-ლოდოთ. ■



## ჩატარება თ- სამართ

■ ამ საზარელმა კადრებმა, ფაქტობრივად, დააჩქარა ხელისუფლებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების დამკვიდრების პროცესი. სიმღერაც კი დაიწერა: „სისტემა უნდა დაინგრეს“. ის ოპოზიციას არ შეუქმნია, შექმნეს ახალგაზრდებმა, სტუდენტებმა, რომლებიც ალბათ ყველაზე მე-ტად აღმფოთდნენ მომხდარის გამო. მათ ყვე-ლაზე მეტად აფიქრებთ მომავალი, თუ როგორ ქვეყანაში მოუწევთ ცხოვრება.



# ახალი საარჩევნო ციუნალ?

■ ახალი საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ჯერ კიდევ მაისში, უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა.  
მაშინ საარჩევნო კამპანია ოფიციალურად ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. კომისიის მუშაობამ მოიტანა ის, რომ დღეს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები მიღებულ შედეგებს აფასებენ, როგორც ეფექტურს.

## დიას

ჩიორა თაქთაქიშვილი

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“  
პრესსპიკერი

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, ისე-ვე როგორც, მთელმა რიგმა სახელმწიფო დაწესებულებებმა, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნები იყოს ყველაზე სამართლიანი და თავისუფალი.

მივიღეთ ახალი საარჩევნო კოდექსი, რომელიც, არაერთი ექსპერტის შეფასებით, იძლევა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას.

ჩვენ შევეცადეთ, გაგვეზარდა საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების ნდობა საარჩევნო პროცესისადმი: თექვსმეტმა პარტიამ ითანაბაშრომლა იმისთვის, რომ შეთანხმებულიყო საერთო პრინციპებსა და საერთო საკითხებზე.

ამის შემდეგ გაგრძელდა მუშაობა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე – სიებზე. შეიქმნა დამოუკიდებელი კომისია, რომელშიც ნებისმიერ მსურველ პარტიასა და არასამთავრობო ორგანიზაციას შესაძლებლობა ჰქონდა, უშუალოდ მიეღო მონაწილეობა სიების გადამოწმების პროცესში.

ამ პროცესის შედეგები, როგორც ადგილობრივმა, ასევე საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა შეაფასეს, როგორც ძალიან ეფექტური მექანიზმი სიების პრობლემის გადასაწყვეტად. შეიძლება ითქვას, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის საარჩევნო სიები ყველაზე დაზუსტებული და რეალობასთან შესაბამისი იქნება, ვიდრე ის ოდესმე ყოფილა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე; საჯარო მოხელეების მხრიდან კამპანიის წარმოგბის წესების დარღვევებთან დაკავშირებით, შეიქმნა სპეციალური რეაგირებისა და აღკვეთის მექანიზმები.

გარდა ამისა, ახალი საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ჯერ კიდევ მაისში, უწყებათაშორისის კომისია შეიქმნა. მაშინ საარჩევნო კამპანია ოფიციალურად ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. კომისიის მუშაობამ მოიტანა ის, რომ დღეს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები მიღებულ შედეგებს აფასებენ, როგორც ეფექტურს. ამ ყველაფერის შედეგად კი ყველა შესაძლო დარღვევის ფაქტზე რეაგირება თანამშრომლობით გახდა შესაძლებელი. ■



ფოთი ლავაზ დემირაშვილი

## "სახონსტიტუციო უმავისობრივი ბორბობა"

ინტერვიუ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე  
თამარ ჩუგოშვილთან

„სხვა არჩევნებთან შედარებით ამ წინასაარჩევნოდ უნიკალური იყო პარტიების  
დაფინანსების ექსტრაორდინალური მონიტორინგი. ასეთი მასშტაბის ადმინისტრაციული  
რესურსის ხარჯვა, ასეთი დაძაბული გარემო, როგორიც ახლაა, ასეთი ძალადობა და  
აგრესია არცერთ არჩევნებზე არ ყოფილა“.

■ ბოლო კვირის განმავლობაში ყოველდღიუ-  
რად რამდენიმე ადამიანის დაჭრის ფაქტი  
ხმაურდება. ისინი, ძირითადად, აქტოვისტები  
ან პარტია „ქართული ოცნების“ წევრები  
არიან. სასამართლოში საისაც უწევს მათი  
ინტერესების დაცვა. არჩევნებიდან რამდენი-

მე დღით ადრე დაკავებების სერიას ხელისუ-  
ფლება პოლიტიკური ზენოლის იარაღად ხომ  
არ იყენებს?

ზოგადად უნდა ვთქვათ, რომ მთელმა  
წინასაარჩევნო პერიოდმა ამ ძალადობის,  
დაშინებების, მუქარის ფონზე ჩაიარა.

რაც შეეხება ბოლო დროს გახშირებულ  
დაკავებებს, აქტივურად გამოიყენება  
ადმინისტრაციული პატიმრობა. ადმინის-  
ტრაციული პატიმრობა მახინჯი სისტემაა  
საქართველოში, რომელიც პოლიციას  
საშუალებას აძლევს ადამიანი სრულიად

დაუსაბუთებლად წაიყვანოს სასამართლოში და სამ თვეებდე პატიმრობა ისე შეუფარდოს, რომ ერთი მტკიცებულებაც არ არსებობდეს პოლიციელის ჩვენების გარდა. ხელისუფლება ადმინისტრაციულ პატიმრობას პოროტად განსაკუთრებით პოლიტიკურად აქტიურ პერიოდში იყენებს. მაგალითად, 2010 წლის 26 მაისის აქციის შემდეგ, 2009 წლის აქციების შემდეგ.

ახლაც, არჩევნების წინ, ადმინისტრაციული პატიმრობა გამოიყენება მაინდადამაინც იმ ადამიანების მიმართ, ვინც „ქართული ოცნების“ პარტიის წევრები არ პოლიტიკური აქტივისტები არიან. რამდენიმე საქმეში ჩვენც ვიყავით ჩართულები – მიზეუდავად იმისა, რომ ე.წ. სამართალდამრღვევის მიმართ მტკიცებულებები არ არსებობდა ისინი და დაკავებულს სამართალდამრღვევად ცნობდა. ასე დაუსაბუთებლად და ერთნაირი ბრალდებებით ადამიანების დაკავება და გასამართლება მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მათ პოლიტიკური ნიშნით იჭერენ.

## ■ თქვენ აღნიშნეთ, რომ წინასაარჩევნო პერიოდმა ძალადობის და მუქარის ფონზე ჩაიარა. რა იგულისხმეთ ამაში?

სხვადასხვა სახის ძალადობა იყო. ერთი პერიოდი იმ პირებს, რომლებსაც „ქართული ოცნებისთვის“ ოფისების მიერთავება უნდოდათ, პრობლემების შექმნით ემუქრებოდნენ. ემუქრებოდნენ სიტყვიერად, ძალადობდნენ ფიზიკურად. იმ ადამიანებზეც, რომლებიც „ქართული ოცნების“ „კარდაკარში“ ან აქციებში მონაწილეობდნენ. ამას ხან სამოქალაქო ფორმაში ჩატარდა ადამიანები აკეთებდნენ, ზოგჯერ სამართალდამცველები, ხანაც – საჯარო პირები. საგანგაშოა, როცა სამართალდამცველები, რომლებიც არ არსებობდნენ, მათ გადატანების გამოყენებას გამოიყენების შესახებ მიშნით მარტინ შემთხვევაში, სახელმწიფოს რეაგირება უნდა მოხედინა, მაგრამ ამისთვის არავინ დასჯილა. ხშირად ვერ ვევდებით, „ქართული ოცნების“ წევრებს რისთვის აკავებენ, ამ შემთხვევაში კი მთელმა საქართველომ ვნახეთ, რაც ხდებოდა.

**■ შურნალისტებზე ძალადობის თემა ბოლო თვეების განმავლობაში მართლაც აქტუალური იყო. საას მედიის სამრიილებრივი დაცვის ცენტრმაც არაერთხელ გააკეთა განცხადეა, რომ შურნალისტებისთვის თავისუფლად მუშაობის შესაძლებლობა მიყცათ. რა პირობებში უნდა შურნალისტებს მუშაობა?**

არჩევნების წინა პერიოდში მედიის თავისუფლად მუშაობას განსაკუთრებული მინშენელობა აქვს. თუმცა, შურნალისტებს ხშირად საკუთარი საქმის განხორციელების უფლებას არ აძლევდნენ, შევრჩევითად უშევებდნენ შეხვედრებზე (მაგალითად, „რესტავრი 2-ს“, „იმედს“ უშვებდნენ და სხვას – არა). ძალადობდნენ ფიზიკურადაც. ყველას გვახსოვს შემთხვევა, როცა გარკვეული ჯგუფი, რომლებიც თავს შურნალისტებს ეძახდნენ, დასდევდა სხვა შურნალისტებს. ეს იყო შემთხვევა, რომელიც კრიმინალში გადადიოდა – იმიტომ, რომ შეიძლება განგვემარტა, როგორც ხულიგნობა ან შურნალისტის საქმიანობაში ხელის შეწლა. ერთი ადმინისტრაციული სამართალდამრღვევაა, მეორე კი – სისხლის სამართლის დანაშაული. ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფოს რეაგირება უნდა მოხედინა, მაგრამ ამისთვის არავინ დასჯილა. ხშირად ვერ ვევდებით, „ქართული ოცნების“ წევრებს რისთვის აკავებენ, ამ შემთხვევაში კი მთელმა საქართველომ ვნახეთ, რაც ხდებოდა.

**■ წინასაარჩევნო პერიოდში რამდენად ხელმისაწვდომი იყო ამომრჩევლისთვის ინფორმაცია?**

რეალური სურათი ისაა, რომ გვაქვს სამი ნაციონალური არხი, რომელიც ფარავს მთელ საქართველოს და პატარ-პატარა არხები, რომელთა დაფარვის ზონა შეზღუდულია. ეს არხები ხელისუფლების გავლენის ქვეშა და მის პროპაგანდას აგრცელებს. შეიძლება მეორე მხარესაც პროპაგანდა, მაგრამ ხალხს ალტერნატიული ინფორმაციის მიღების საშუალება უნდა ჰქონდეს. ამ მხრივ, „მასთერის“ შემოღება განსაკუთრებით პოზიტიური ნაბიჯი იყო, რომლის ფარგლებში დამატებით გამოიყენა: მასხალებლების წარმოადგენა და ხელისუფლებას მორის ზღვარი უნდა არსებოდეს.

ასევე, ბევრგან, რეგიონებში საკაბელოები არ არის და მხოლოდ მას შეუძლია ალტერნატიული ინფორმაციის მიღება, ვისაც სატელიტური თევზები აქვს.

**■ ტელეკომპანია „მაესტროს“ ჰქონდა მცდელობა, რომ მოსახლეობისთვის უფასოდ დაერიგებინა თევზები და ამით მაყურებლების რაოდენობა გაეზარდა, თუმცა პირობები შევქმნა.**

სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნით „მაესტროს“ სატელიტური თევზები დააყადაღა. ესეც იყო დაუსაბულებელი, არაარგუმენტირებული, დანაშაულებრივი და ერთი პარტიის, ამ შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება.

**■ ხშირად საუბრობენ ხელისუფლების მხრიდან პარტიული მიზნით ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ. რაში გამოხატება ეს?**

როცა ჩვენ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე ვსაუბრობთ, თრი რამ უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენი კანონმდებლობა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას ძალიან ვიწროდ განმარტავს: შენობები, ავტომობილები და ტექნიკა. როცა მე ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას ვამბობ, ფართი გაგდით სახელმწიფო რესურსს ვგულისხმობ: ბიუჯეტს, საჯარო მოხელეს.

არ მახსენდება, რომ სხვა არჩევნებზე ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას ასეთი მასშტაბი ჰქონდა. სახელმწიფო ბიუჯეტს და საარჩევნო პროგრამას დაარქვა ერთი სახელი „მეტი სარგებელი ხალხს“ – აბსოლუტურად არია, რაც აკეთებს სახელმწიფო და რა არის პარტიის დაპირება. თუკი სხვა პარტიებმა უნდა იღაბარაკონ იმაზე, როგორ გადაანაბილებებს ბიუჯეტს, მმართველი პარტია ლაპარაკობს, რომ აი, ასე ანაწილებენ. პარტიას და ხელისუფლებას მორის ზღვარი უნდა არსებოდეს.

შეგვიძლია ჩამოვთვალით ბევრი პროგრამა, რომელიც ხელისუფლებამ არჩევნების წინ ბიუჯეტის ფულით დაწყებული და პარტიის სახელით გამოიყენა: მასხალებლების წარმოადგენა და ხელისუფლებას დამატებით გადაწყვეტილების ქადაგის სამართლის აქტიური მოვალეობა. არამედ შურნალისტებზეც.

მმართველი გუნდის სასარგებლოდ სააგი-  
ტაციო ღონისძიების დაფინანსება, თუნდაც  
სტუდენტური სამუშაოები, რომელიც  
არასაარჩევნო წელს არ გვხვდება და ა. შ.

**■ ფართო გაგებით ადმინისტრაციულ რესურსების ხარჯებში, გარდა ბიუჯეტისა, ადამიანურ რესურსებსაც გულისხმობთ. როგორ იყობას „ნაციონალური მოძრაობა“ პარტიული მიზნით ადამიანურ რესურსს?**

მაგალითად, საჯარო მოხელეები. სა-მწერალოდ, ამ ადამიანებს ზოგჯერ აგიტა-ციაში საკუთარი წების საწინააღმდეგოდ იყენებენ. ჩვენთან მოდიოდნენ ადამიანები და ამბობდნენ, რომ მათ ხელმძღვანე-ლები მმართველი გუნდის სასარგებლოდ ხელმოწერების შეგროვებას სთხოვდნენ. რომ უცნებოდნენ, თუ არ გავაკეთებთ რა მოხდება, „აი, ნახავთ რა მოხდება“ – ემუქრებოდნენ. კანონით, საჯარო მოხელე სამუშაო საათების შემდეგ შეიძლება ჩართული იყოს აგიტაციაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სურვილი აქვს. მაგრამ სამუშაო საათებში, მუქარით მისი იძულება, დაუშებელია.

**■ სახელმწიფო პროგრამების პარტიულთან ასოცირებას ხელს ისიც ხომ არ უწყობს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ პარლა-მენტიში ასოლუტური უმრავლესობა აქვს?**

რა თქმა უნდა, როცა ხელისუფლება-ში მმართველ პარტიას საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს, როცა გადაწყვეტილების მიმღები არის ერთი კონკრეტული სუ-ბიექტი, რაც ქვეყნაში კეთდება, ამ ერთ სუბიექტთან ასოცირდება. თავისითავად ბოროტება საკონსტიტუციო უმრავლესო-ბა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვნია, რომ ახალ პარლამენტში რაღაც ბალანსი იყოს დაცული.

**■ საიამ სხვა არასამთავრობო ორგანიზა-ციებთან ერთად პარლამენტში ცვლილებების პაკეტი წარადგინა, რომელიც თქვენივე თქმით, წინასაარჩევნო გარემოს უფრო ჯანსაღს გახდიდა, თუმცა მათი დიდი ნაწილი პარლამენტმა არ გაითვალისწინა. რა ცვლილებებს სთავაზობდით პარლა-მენტს და რატომ ფიქრობთ, რომ ეს მნიშვნე-ლოვანი იყო?**

დღევანდელი კანონმდებლობით, წინასა-

არჩევნო კამპანიის პერიოდი მაშინ იწყება, როცა პრეზიდენტი არჩევნების დღეს დანიშნავს. კანონით ეს ხდება არჩევნება-მდე არაუგვიანეს 60 დღისა. შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანია დაახლოებით 2 თვის ფარგლებში გრძელდება. ეს ძალიან მცირე დროა. სინამდიღლეში, საარჩევნო კამპანია გაცილებით ადრე იწყება. ჩვენ გვინდოდა, რომ საარჩევნო კამპანია კანონის მიხედვით, 5 თვით ადრე დაწყე-ბულიყო და ის შეზღუდვებიც, რასაც სა-არჩევნო კოდექსი ითვალისწინებს, უფრო ადრე ამოქმედებულიყო. არჩევნებამდე საბორჯეტო რესურსების და პროგრამების გამოყენებაზე ვანესებდით შეზღუდვებს, ვკრძალავდით აგიტაციას ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პროგრამებზე, ვზრდი-დით იმ პირების ჩამონათვალს, ვისაც აგიტაციის მონაწილეობა ეკრძალება, მაგალითად, გუბერნატორს, გამგებელს, ვისაც ადგილობრივ დონეზე ძალიან დიდი გავლენა აქვს. ეს იყო რეგულაციები, რომელიც პოზიტიურად წაადგებოდა ამ პროცესს.

თუმცა, დღეს ისიც ირდევეა, რაც გა-ქვს და აღარ აქვს მნიშვნელობა, რა წერია კანონში.

**■ პიძინა ივანიშვილის გამოჩენასთან ერთად საკანონმდებლო ცვლილებების სერია დაწყო. რა არის ის ცვლილებები, რომელიც მაშინ პარლამენტმა მიიღო და დღეს მმართველი პარტია სათავისოდ იყენებს?**

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, მარტო ფულის გამოყენე-ბას კი არ ისწავს, არამედ გადაწყვე-ტილების მიღების უფლების ბოროტად გამოყენებასაც – მაგალითად, როცა საკონსტიტუციო უმრავლესო-ბა. ამას ბოროტად იყენებ არა ქვეყნის, არამედ ვიწროპარტიული ინტერესებიდან გამომდინარე.

პირველი, რაც შეცვალეს, ეს იყო პარტიების დაფინანსების საკითხი. ჩვენ მანამდე წლების განმავლობაში ვსაუბრო-ბდით, რომ პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებით მთელი რიგი რეგულაციები იყო მისაღები. თუმცა ამას ყურადღებას არავინ აქცევდა, რადგან ძირითადი შე-მომწირველები „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰყავდა. გამოჩენდა პიძინა ივანიშვილი და

უცებ მივიღეთ აპსტრაქტული, აბსურდუ-ლი, გაუგებარი რეგულაციები.

**■ უფრო კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

ვერ ვიგებდით, კანონში რა ეწერა. ეს ნიშნავდა იმას, რომ მაშინდელ კონტრო-ლის პალატას ენიჭებოდა უფლება – რაც უნდოდა, ის ექნა.

**■ გაუგებარი და პუნქტოვანი კანონის საპირისპიროდ წამოიწყეთ კამპანია, „ეს შენ გეხება“, რომელშიც სხვადასხვა არასამთა-ვრობო ორგანიზაციები და რიგითი მოქალაქეები იყვნენ გაერთიანებულები. რისი შეცვლა მოახერხეთ?**

ჩვენი მთავარი მიზანი იყო, რომ კანონი გასაგები გამხდარიყო. კონტროლის პალა-ტისთვის ამ აპსტრაქტული ძალაუფლების მინიჭება დამტკიცებულად მიგვაჩნდა. მთა-ვარია, რომ ამ კამპანიამ გასაგები გახადა, როგორ უნდა დაფინანსებულიყვნენ პოლიტიკური პარტიები, მოიხსნა პოროგი რეგულაციები.

**■ მაგალითად?**

გაუქმდა პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებული პირის ცნება. ისეთი მუხლები, რაც გამოხატვის თავისუფლე-ბის გამო გაჯიდა – ვიღაცის სასარგე-ბლო განცხადების გაკეთება. განახევრდა ჯარიმები და ა. შ.

**■ მოხედავად ამისა, საიმ არაერთხელ აღნიშნა, რომ კონტროლის პალატა ამოქმებულად აჯარიმებდა ერთ კონკრე-ტულ პარტიას, „ქართულ ოცნებას“.**

კონტროლის პალატა თავიდნ თითქოს ბალანსის დაცვას ცდილობდა და როცა ერთი პირზეციური საქმით ინტერესდებო-და, მეორის, „ნაციონალური მოძრაობის“, საქმეს განიხილავდ. შემდეგ ცხადად კონცენტრირდა „ქართულ ოცნების“ ირგვლივ, მაშინ, როცა „ნაციონალურ მოძრაობას“ უფრო სერიოზული დარღვე-ვები ჰქონდა.

კონტროლის პალატა „ქართულ ოც-ნებას“ ათობით მიღიონ ლარ ჯარიმის უფარდებდა, „ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში კი დიდ საქმებზე ამახვი-ლებდა ყურადღებას. ერთ-ერთი მსხვილი შემთხვევა, რაც მასხენდება, რამდენიმე

დღლის წინ „ნაციონალური მოძრაობის“  
მილიონ ნახევრით დავგარიმება იყო. ისიც  
მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ორგანი-  
ზაცემამ კრიტიკული განცადებები გა-  
აკეთეს. ესეც იყო პოლიტიკური გადაწყვე-  
ტლება და არა ის, რომ ხელისუფლებამ  
კეთილსინდისიერად დაიწყო მოქმედება.

კონტროლის პალატა რომ დამიუკი-  
დებელი ორგანიზაცია, ისიც მეტყველე-  
ბს, რომ კონტროლი პალატის ყოფილი  
ხელმძღვანელი მმართველი გუნდის სიის  
სათავეშია, ხოლო ახალი თაგვეჯდომარე  
მმართველი გუნდის ყოფილი სახე.

**¶ გამოდის, რომ ყველაფერი პოლიტიკურ  
ნებაზეა დამოკიდებული?**

საქართველოში არ შეიქმნა ინსტიტუ-  
ციები, როგორც არ უნდა ეწყინოს სასა-  
მართლოსა და პარლამენტის. ისინი ერთ-  
მანეთს ვერ აძალანსხვენ. არს ქვეყნაში  
გადაწყვეტილების მიმღები პირების ვიწრო  
ჯგუფი და მათ ნებას ვერავინ აღუდგება.

**¶ თქვენს განცხადებებში ეშირად საუბარია „ქართული ოცნების“ არამართლზომიერ დაჯარიმებაზე. რას გულისხმობთ ამაში?**

ყველა საქმეს ინდივიდუალური განხილვა სტირდება. თუმცა, მაგალითად, ბიძინა ივანიშვილისა და კახი კალაძის დაჯარიმება იყო სრულად ასურდული, ყველანირ სამართლებრივი ჩარჩოდან ამოვარდნილი. თუ ადამიანი დანაშაულს ჩაიდენს, სახელმწიფოს ეკისრება ტვირთი ამტკიცოს, რომ ამ პირმა ჩაიდინა დანაშაული, მიუკერძოებელი არზოტრი, მოსამართლე, უსმენს ორივე მასრეს და იღებს გადაწყვეტილებას. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ თქვა, რომ მე ეჭვი მაქვს ივანიშვილმა და კალაძემ სამართალდარღვევა ჩაიდინება და ახლა დამიტყიცონ, რომ არ ჩაუდენიათ. რადგან თავის დასმულ კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო, ერთი 17 და მეორე 21 მილიონით დააჯარიმა.

**¶ ჩევენ სულ ვლაპარაკობთ მმართველი  
გუნდის დარღვევებზე, თუმცა, ალბათ, მისი  
მთავარი კონკურენტი „ქართული ოცნებაც“  
„კოდავთანა“,**

თუმცა, ამ შემთხვევებზე რეაგირება  
თითქმის ყოველთვის ხდებოდა, ხშირად  
გადამეტებულადაც. სწორე ად ამ გადამეტებული რეაგირებს შედეგია, „ქართული იცნების“ ასეულობით მილიონი ლარით  
დაჯარიმება.

თუმცა, აქეე ხაზი უნდა გაფუსვათ, რომ  
მბართველ პარტიას უფრო მტკი დარღ-  
ვევა ჰქონდა, მაგრამ მასზე რეაგირება  
ძალიან იშვიათად ხდებოდა.

■ კონტროლის პალატა  
თავიდან თითქოს ბალანსის  
დაცვას ცდილობდა და როცა

ერთი ოპოზიციური საქმით  
ინტერესდებოდა, მეორის,  
„ნაციონალური მოძრაობის“,  
საქმეს განიხილავდა. შემდეგ  
ცხადად კონცენტრირდა  
„ქართული ოცნების“  
ირგვლივ, მაშინ, როცა  
„ნაციონალურ მოძრაობას“  
უფრო სერიოზული დარღვევ

**¶ თავისუფლალი საარჩევნო გარემოს  
ხელშესაწყობად შეიქმნა უწყებათშორისის  
კომისია. რამდენად ეფექტუანია მისი  
მოქამაძე?**

უწყებათშორისი კომისია უცნაური  
წარმონაქმნია. შედგება სხვადასხვა  
სამინისტროს წარმომადგენლებისგან და  
უშმროების საბჭოს მდივანი ხელმძღვ-  
ვანელობს. მათი ძირითადი მოვალეობა  
უფრო კოროდინაციაა. რა მადენიმე საქმე-  
ზე ირიაგირებს. მაგალითად, ადგილობრივი  
თვითმმართველობის კეპ-გვერდებზე  
აქტიურად იდებოდა მმართველი პარ-  
ტიის რეკლამები, მოსახლეობასთან მათი  
შეხვედრების შესახებ ააბლი ამბები. ჩვენ  
ეს ადგინისტრაციული რესურსების გა-  
მოყენებად ჩავთვალეთ. უწყებათშორისი

კომისია ჩაერთა და ვებგვერდებიდან ეს ინფორმაციები მაშინვე მოიხსნა. ერთი პერიოდი პოლიტიკური შეხედულებების გამო სკოლებიდან მასნავლებლების მასობრივი გათავისუფლება ხდებოდა. უწყებათშორისიმა კომისიამ გამოსცა რეკომენდაცია, რომ სკოლებში იპტიმიზაციის პროცესი შეეჩერებინათ და მასნავლებლების მხრიდან საჩიტორებებაც იქლო.

თუმცა, კომისია არ არის ეფუძღვანი ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. თუმდაც, „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ად-მინისტრაციული რესურსების მასობრივი გამოყენების შესახებ. ასე რომ, ზოგიერთ საკითხზე მათი რეაგირება, საერთო სუ-რათს არ ცვლის.

**¶** ጥግኝናን በርካታውን ከሚያጠቃል ይመለከት ስለሚሸፍነው ነው፡፡ ይህም የሚከተሉት ነው፡፡

უნიკალური იყო პარტიების დაფინანსების ექსტრაორგანული მონიტორინგი. ასეთი მასშტაბის ადმინისტრაციული რესურსის ხარჯება, ასეთი დააბული გარემო როგორიც ახლა არის, ასეთი ძალადობა და აგრძელია არცერთ არჩევნობზე არ ყოფილა.

**მ** ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ წისაარჩევნო  
პერიოდში ძალადობაზე, დარღვევებზე,  
რამაც შესაძლოა არჩევნების საბოლოო  
შედეგებზე დიდი გავლენა მოახდიოს. ამის  
ფონზე, არჩევნების მეორე დღეს, შესაძლოა,  
ვთქვათ, რომ არჩევნები სამართლიანად  
წარადგინდეთ.

გეთანხმებით, რომ არჩევნები არის  
პროცესი და არა ერთი დღე. მართალია,  
ნინასაარჩევნოდ უთანასწორო გარემო  
იყო, მაგრამ, ჩემი აზრით, არჩევნების  
ლეგიტიმურობა-არალეგიტიმურობაზე  
საუკარი არასწორია. ეს ნიშნავს, რომ  
არჩევნები არ უნდა ჩატარდეს. მიუხედა-  
ვად მრავალი დარღვევისა, ადამიანებს  
აქვთ პოზიცია და უნდა მიცემოთ საშუალე-  
ბა, რომ გამოხატონ. ახლა მთავარია,  
ამომრჩეველს თავისი მოსაზრების  
დაფიქსირების საშუალება მშვიდ და  
თავისუფალ გარემოი მიეცეს. **█**

ესაუბრა სალომე ცეცხლაძე.

# აღმოჩენის შესაბირეო პასახის მიზანი "პატიმრობის ნიშნით"

წინასაარჩევნო პერიოდში წვრილმანი დანაშაულისა და პოლიციისთვის დაუმორჩილებლობის ბრალდებით „ქართული ოცნების“ ათობით აქტივისტია დაკავებული, დაკავებულები არიან სამტრედისა და კრძანისის საარჩევნო შტაბების უფროსები. ყველა ამ პირს სასამართლომ ადმინისტრაციული პატიმრობის სახით 10-40 დღემდე პატიმრობა მიუსაჯა. საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები ხელისუფლებას მოუწოდებენ, პოლიტიკური ნიშნით ადმინისტრაციული პასუხისმგელობის ზომების გამოყენება არ დაუშვას.

## ლიკა ზაკაშვილი

„ქართული მედიისა და პოლიტიკური პარტიების ცნობით, ბოლო დღეების განმავლობაში 28-ზე მეტი ადამიანი დაკავეს. 21 სექტემბრიდან მოყოლებული ამ ადამიანებს ადმინისტრაციული სამართლდარღვევისთვის, წვრილმანი დანაშაულისა და პოლიციისთვის დაუმორჩილებლობისთვის აპატიმრებენ. რამდენიმე დაკავებულს 10-დან 40 დღემდე პატიმრობა მიესაჯა. მათ შორის, როგორც წესი, კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტები არიან. ასევე, დახლოებით 600 დაკავებული პირი თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციებში აქტიურად იყო ჩართული“ – ვკითხულობთ „ჰუმანიტარის“ მიერ გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში იპოზიციური პარტიის აქტივისტებისა და მხარდამჭერთა დაკავების ფაქტებს ეხება.

ადმინისტრაციული წესით ინტენსიური დაკავების შემთხვევებს „ასალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც“ გამოხმაურა.

„პოლიციისთვის დაუმორჩილებლობის მოტივით, ადმინისტრაციული წესით დაკავების 23 შემთხვევა დაფიქსირდა. დაკავებულთა ნანილი ოპოზიციური პოლიტიკური ძალის — „ქართული ოცნების“ წარმომადგენლი ან/და მასთან დაკავშირებული პირია“ – წერია საიას განცხადებაში.

„ასალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ ხელისუფლებას მოუწოდებს, ადმინის-

ტრაციული პასუხისმგებლობის ზომების პოლიტიკური ნიშნით გამოყენება არ დაუშვას.

პოლიტიკური მოტივით წინასაარჩევნო დაკავებების შესახებ სახალხო დამცველის აპარატიც აკეთებს განცხადებას.

„საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მხარეებს მოუწოდებს, წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებული თავმეტება გამოიჩინონ, რათა აღნიშნულმა მოვლენებმა სახელმწიფოში არსებული სიტუაცია არ დაძაბოს“, – აღნიშნავს ომბუდსმერი.

განცხადებაში ასევე საუბარია იმაზე, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულებმა შეს დროებითი მოთავსების იზოლატორებში 13 პირი მოინახულეს. ამ პირებს ადმინისტრაციული პატიმრობა აქვთ შეფარდებული. არცერთი მათგანი (დაზიანებულიას გარდა), სახალხო დამცველის რწმუნებულებებათ საუბრისას მათ მიმართ განხორციელებულ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე არ საუბრობს.

ადამიანთა უფლებადამცველი ორგანიზაციების მიმართებს, „სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი კომისიისა“ და „უშიშროების საბჭოს“ ხელმძღვანელი გიგა ბოკერია გამოეხმაურა. მან სამართლდამცვებს დასჯის შედარებით მსუბუქი ზომების გამოყენებისკენ მოუწოდა.

„ეს სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ჩვენი მკაფიო რეკომენდაციაა“, –

– განაცხადა ბოკერიამ უწყებათშორისი კომისიის სახელით.

„ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ ამ დროისთვის მათ კოალიციასთან დაკავშირებული 50 პირია დაკავებული.

23 სექტემბერს სამართალდამცავებმა მესტიის საარჩევნო საოლქო კომისიის წევრი კახა უორულიანი საკუთარ სახლთან აიყვანეს. შსს-ს ვერსიით, კახა უორულიანმა კომისიის ერთ-ერთ წევრს, არჩილ სოფრომაძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ამიტომ მას ბრალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით წაუყენეს. აღნიშნული ბრალდება 40-დღიან წინასწარ პატიმრობას ითვალისწინებს.

უორულიანის მეულლის, ნინა ხატისეაცის თემით, შსს მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. „საერთაშორისო გამჭვირცვლობა – საქართველოს“ ყოფილი თანამშრომელი განმარტავს, რომ მის მეულლეს საოლქო კომისიის წევრისთვის ფაზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენება და სასამართლომ 40-დღიანი პატიმრობა მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მიუსაჯა.

ადმინისტრაციულ დაჭრებთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე მაია ფანჯიერები განაცხადა, რომ საოლქო კომისიის წევრი, არჩილ სოფრომაძე „ერთიანი წარმომადგენლი მოძრაობის“ მაურიციარი კანდიდატის, კვიციანის მეგობარია. ამ ფაქტით კოალიციის პრესსა-

მსახურის უფროსმა არჩილ სოფრომაძის მიერ სამართალდამცავებისთვის მიცემული ჩვენება ქვექვებზე დააყენა.

22 სექტემბერს ლესელიძის ქუჩაზე კრწანისის შტაბის უფროსი ოთარ ბალანჩივაძე დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალური ინფორმაციით, ოთარ ბალანჩივაძე ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნეს და ადმინისტრაციული სახდელის სახთ, 10-დღიანი პატიმრობა შეეფარდა. მას მოქალაქეებზე შეურაცხყოფის მიყენება ედგბოდა ბრალად.

26 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამტრედიაში კახა კალაძის შტაბის უფროსი ავთანდილ თევზაძე

დააკავა. შსს ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ „შსს სამტრედის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე ავთანდილ თევზაძე დააკავეს. თევზაძემ უურნალისტ ნანა ავალიშვილს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მოგვიანებით კი პოლიციის კანონიერ მოთხოვნას – გამოცხადებულიყო დაკითხვაზე, არ დაემორჩილა, გაუწია წინააღმდეგობა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციის თანამშრომელს. თევზაძეს ბრალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით წაუყენეს“ – ნათქვამია შსს-

-ს განცხადებაში.

შტაბის უფროსებისა და კოლოციის წევრების გარდა, ათობით „ქართული ოცნების“ აქტივისტია დაკავებული.

კერძოდ, იგოეთან „ქართული ოცნების“ 4 აქტივისტი აიყვანეს. ესვნი არიან: ბიჭიკო (მიშა) ოსაძე, გიორგი ბერუაშვილი, დიტო ყიფიანი და დაჩი ოსაძე. „ქართული ოცნების“ ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის, თელო კობახიძის ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა აღნიშნული პირები გააჩერა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეაყოვნა, რის შემდეგაც ადგილზე სპეცრაზმი მივიდა და დაკავებულება წიაყვანა.

23 სექტემბერს ფოთში კოლოციის აქტივისტებს, გიზო ცაცუასა და გოდერძი შონიას, სახლში მიაკითხეს, ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად წნეს და დააკავეს.

გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ წევრები: ზვანად საპანაძე, გია ჯანგანიძე და პეტრე თვალიაშვილი პოლიციამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბრალდებით გორშიც დააკავა.

ამავე ბრალდებით, 22 სექტემბერს კოალიციის 7 აქტივისტი რუსთავში აიყვანეს.

მათ 10-დან 40 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა აქვთ შეფარდებული.

ადმინისტრაციული დაჭრების გარდა, ბოლო ორი კვირის განმავლობაში „ქართული ოცნების“ წევრებზე თვდასხმის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა.

23 სექტემბერს სოფელ დიდში ზაქარია ვატიტაძეს 12 ადამიანი დაესხა თავს. თავდამსხმელები ვატიტაძის კუთვნილ მაღაზიაში შევიდნენ და მატერიალური ზიანი მიაყენეს, ზაქარია ვატიტაძე კი სასტიკად ცემეს.

23 სექტემბერს „ქართული ოცნების“ გარდაბნის შტაბის უფროსის მოადგილეს, ბუბა დვალს, რომელსაც, სავარაუდო, სახეში მუავა შეასხეს, 24 სექტემბერს თვალზე ოპერაცია ჩაუტარდა. კოალიციის წარმომადგენლების ინფორმაციით, დვალის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია.

ამ და სხვა ფაქტებთან დაკავშირებით ამ დრომდე არავინ დაუკავებიათ. □



## შეზღუდვები მიღიას არჩევნების დროს

არჩევნებამდე 6 დღით ადრე ცესკომ უურნალისტებს საარჩევნო უბნებზე ფოტო-ვიდეო გადაღებაზე შეზღუდვები დაუწესა. არასამთავრობო ორგანიზაციები კი ერთხმად ენინაალმდეგებიან ცესკოს გადაწყვეტილებას და მიიჩნევენ, რომ ეს გამჭვირვალობისთვის მნიშვნელოვანი დარტყმაა, უურნალისტებს კი დარღვევების დაფიქსირების შესაძლებლობას ართმევს.

### ეკა მაღალდაძე

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე თამარ ჩატურგილი ამბობს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია თავის უფლებამოსილებას აქარტებს, როდესაც კანონით მიიჩებულ უფლებებს ავინწროებს და ზღუდვავს.

მაშინ, როდესაც ცველა წინასაარჩევნო ტრენინგი ჩატარებულია, მაშინ, როდესაც მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა ცესკოსან აკრედიტაციებთან ერთად სპეციალური გზამკელეები მიიღეს, არჩევნებამდე 1 კვირით ადრე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კენჭისყრის დღეს უურნალისტებს ახალი შეზღუდვები დაუწესა.

ათი ხმით ორის წინააღმდეგ 24 სეტემბერს, საღამოს გამართულ სხდომაზე ცესკომ არჩევნების დღეს ფოტო-ვიდეო გადაღება შეზღუდა. კომისიის 13 წევრიდან სხდომას მხოლოდ ლებორისტული პარტიის წევრი გიორგი მთვარელიძე არ ესწრებოდა.

ცესკოს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი, მისი მოადგილე დავით კირთაძე, კომისიის მდივანი გაზი მფედლიძე, თამაზ შარმანაშვილი, კოტე კირგალიძე, სოსო თათარაშვილი, ვალერი ჭელიძე, (პოლიტიკური გაერთიანება „ევროპელი დემოკრატია“), გოჩა ჯოვანა (ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა), დავით გურგენიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), გრიგოლ ფარესიშვილი (ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია) – ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც არჩევნებამდე 6 დღით ადრე ფოტო-ვიდეო გადაღებაზე შეზღუდვების დაწესებას მხარი დაუჭირეს.

დადგენილების პუნქტებს ხმა არ მის-



ცეს კონსურვატორმა წინ გოგუაძემ და მრეწველმა ლევან მაისურაძემ, რომლებიც ახლა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ბლოკ „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენენ.

ცესკოს ახალი დადგენილების მიხედვით, საარჩევნო უბანზე ინტერვიუს ჩანსრა კენჭისყრის შენობის გარეთ უნდა მოხდეს, უურნალისტის შეუძლია 10 წუთის განმავლობაში საარჩევნო უბანზე თავისუფლად გადაიღოს სასურველი კადრები (გარდა კაბინაში ხმის მიცემის პროცესისა და საარჩევნო სიებისა), 10 წუთის შემდეგ კი უნდა დაიკავოს კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოყოფილი ადგილი. მდგრადი შემთხვევაში, თუ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირი კამერით გადაადგილდება სპეციალური პრესზონის გარეთ ან ტოვებს კენჭისყრის შენობას, ის ფოტო და ვიდეო გადაღების უფლებას

კარგავს. მინიმალური მანძილი კი გადაღების სუბიექტიდან ობიექტიმდე უნდა იყოს არააკლებ სამი მეტრისა. შეზღუდვები მხოლოდ იმ შემთხვევაზე არ ვრცელდება, თუ უურნალისტს უბანზე მისული მდალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე პირის გადაღება სურს.

დადგენილების საპოლოო ვარიანტში არ არის ის რამდენიმე პუნქტი, რომელიც თავდაპირველ ვარიანტში იყო ჩანერილი. მაგალითად, ფარული ფოტო-ვიდეო გადაღების, ასევე საარჩევნო უბანის შესასვლელ-გამოსასვლელების გადაღების დაუშვებლობა. ასევე, ის ნაწილიც, სადაც აღნიშნული იყო, რომ საარჩევნო უბანზე ერთდროულად მხოლოდ ორი მედიასაშუალების გადაღები აბარატურა უნდა ყოფილიყო, რომლებსაც გადაღების უფლების მოსაპოვებლად უბანზე მყოფი ყველა

პირის (კომისიის წევრისა თუ ამომრჩევლის) თანხმობა დასჭირდებოდათ.

„კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლებ-  
ბის მქონე პირებს, კენჭისყრის კაბინის  
გარდა, საარჩევნო პროცესისათვის ხელის  
შეშლის გარეშე, შეუძლიათ ანარმონო  
ფოტო-ვიდეო გადაღება“ – მითითებულია  
საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-8  
მუხლის 25-ე პუნქტში.

ზურაბ ხარატიშვილის თქმით, კოდე-  
ქში აღნიშნული „ხელის შეშლა“ შესა-  
ძლოა, სხვადასხვაგარი ინტერპრეტაციის  
საგანი გახდეს და სწორედ ამიტომ არის  
აუცილებელი არჩევნებამდე დარჩენილ  
პერიოდში მყაფიოდ განისაზღვროს, რა  
შეიძლება და რა - არა.

„ასალეგაზრდა იურისტთა ასოციაციის“  
თავმჯდომარე თამარ ჩუგონშვილი ამბო-  
ბს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომი-  
სა თავის უფლებამოსილებას აჭარბებს,  
როდესაც კანონით მინიჭებულ უფლებე-  
ბს ავანწროებს და ზღუდავს. „ეს საკითხი  
პარლამენტმა თავის დროზე უკვე განი-  
ხილა და კანონში ცხადად და გასაგებად  
ჩაწერა, რომ საარჩევნო უბანზე უნდა  
იყოს ფოტო-ვიდეო გაადაღება. საუბრო  
კომისიას კი აქვს უფლებამოსილება, გა-  
აძევოს უწინდან ის, ვინც ზოგად წესებს  
დაარღვევს, ამისთვის დამატებითი რეგუ-  
ლაციები საჭირო არ არის. ამით იზღუდე-  
ბა დარღვევების დაფიქსირების შესაძლე-  
ბლობა და ეს იქნება ძალან სერიოზული  
დარტყმა გამჭვირვალობისთვის“, - განა-  
ცხადა ჩუგონშვილმა კომისიის თავმჯდო-  
მარესთან შეხვედრისას.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების კითხვაზე, რატომ გადაწყვიტა ცესკომ შეზღუდვების დაწესება არჩევნებამდე რმდენიმე დღით ადრე დაკინ იყო ამის ინიციატორი, ხარატიშვილმა უპასუხა: „ეს საკითხი ძალიან დიდხანს განიხილობოდა და რაც უფრო ახლოვდიბა

არჩევნები, მით უფრო წინ წამოთხოვა ამ თემამ. რაც შეეხება ვინ იყო ინიციატორი, ე. წ. „პრეიმსტორინგბის“ დროს წამოფრა, ლაპარაკის დროს საერთო აზრი იყო, როგორც ხალხური წანარმები, ასე შეიძლება იყოს, 13 ადამიანის საერთო გადაწყვეტილება“.

ცესკოს წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ისინი ვენეციის კომისიისა და უკუთოს რეკომენდაციების მიხედვით მოქმედებენ, რომლის თანახმადაც, ვიდეო გადაღება არაა სასურველი, რადგან ამომრჩევლებმა ეს ზეწოლად შეიძლება აღიქვანი. და ამის გამო არჩევანი და გადაწყვეტილება შეცვალონ. თუმცა, თამარ ჩუგონშვილი ამბიბს, რომ ეს რეკომენდაციები უბნებზე ვიდეოთავალის მიხსნას გულისხმობდა და სწორებ იმის საკომპენსაციოდ, რომ უბნებზე ვიდეოთავალი მოიხსნა, პარლამენტმა საარჩევნო კოდექსით მისცა ჟურნალიტებს იმისა საშუალება, რომ შეუზღუდვად გადაიღონ არჩევნების მიმდინარეობა.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მათთვის კომპრომისული გადაწყვეტილებაც მიუღებელი იყო და ცესკოს საერთოდ უნდა მოქსნა ეს საკითხი დღის წესრიგიდან. თუმცა, კომისიამ თავდაპირებელი დადგენილების მხოლოდ მცირედით შეკვლიოს ვრჩიანზე დამტკიცება.

-კულტურული მეცნიერებების უკიდულოსტებით გა-  
დაადგილება, ეს ამომრჩეველზე ზენოლას  
მოახდენს და პროცესასაც ხელს შეუშლის.  
კომისიის სხდომაზე საიას ოურისტმა  
ეკა ფოფხაძემ კომისიას მოსთხოვა, მო-  
ეყვანა თუნდაც ერთი მაგალითი, როდე-  
საც გადაღებამ საარჩევნო უბნებზე პრო-  
ცესს ხელი შეუშალა, თუმცა, პასუხი ვერ  
მიიღო: „რაც მეტად დახურავთ პროცესას,  
მით უფრო დაკვლებს თქვენი მუშაობის  
მიმართ საზოგადოების წოდება“ - მი-

„თუკი ჩვენ შევთანხმდით იმაზე, რომ  
კანონი უნდა იყოს დაცული და დაშვე-  
ბული უნდა იყოს ფოტო და ვიდეო გა-  
დაღება, როგორც კენჭისყრის პროცესში,  
ასევე ხმების დათვლისას, მაშინ ზემოთ  
აღნიშნული რეგულაციების მიღების საჭი-  
როება საერთოდ არ უნდა დამდგარიყო.  
თუკი ადამიანს გაიყვან უბნის გარეთ  
ინტერიუს ჩასაწერად, შენ ვეღარ შემო-  
ბრუნდები უბანზე და ვეღარ გააგრძელებ  
გადაღებას. გაუგებარია, რა საჭიროა ამ  
რეგულაციის მიღება, თუ არა იმისთვის,  
რომ საარჩევნო პროცესი იყოს ნაკლებად  
გამჭვირვალე?” – განაცხადა ნინო გოგუა-  
ძემ, რომელმაც ხმა დადგენილების საწი-  
ნაალმდეგოდ მისაცა.

յշրջնալուսկցւրո յտոյուս ქարդուս თა-  
ვթյացը մարյ տամար կործած զո ամիսնե,  
րոմ ամ գաճանցպացէ ուլղբուտ սաზոցագոյնքուս  
նեղուն յոմինսուս դա արհեցնենքուս միմարտ  
կուտայ պատրո դա յուղունք.

„მრჩება შთაბეჭდილება, რომ კომისია იცილებს პასუხისმგებლობას. აქამდე წე-ბისმიერ დარღვევაზე სუანო კომისია ილებდა გაძვების პასუხისმგებლობას. ახლა კი ცესკო საარჩევნო ადმინისტრა-ციას მთელ რიგ პასუხისმგებლობას არი-დებს. წესრიგის დაცვა არ უნდა მოხდეს გამჭვირვალობის ხარჯზე“, — ამბობს არჩევა:

მედიის სამართლებრივი დაცულის ცენტრ-  
მა კომისიის დადგენილება სასამართლოში  
გაასაჩივრა, თუმცა, 27 სექტემბერს სასა-  
მართლო მედიისთვის დაწესებული შე-  
ზღუდვები ძალაში დატოვა. **■**

## მთავარი თეატრი





## საქართველოს პარლამენტი **2008-2012**

„დღეს ჩვენ პირველად ვმსჯელობთ იმის შესახებ, თუ რა სამუშაო გასწია საკუთრივ პარლამენტმა და დეპუტატთა კორპუსმა. სასურველი იქნება ამგვარი ტრადიცია დაინერგოს საქართველოში, ყოველი მოწვევის პარლამენტმა ოთხი წლის თავზე შეაჯამოს განვლილი გზა. დღეს არის იმის დრო, რომ დავაფიქსიროთ, რისი გაკეთება მოხერხდა და რისი ვერ მოხერხდა. როგორ ნარმოგვიდგენია, რა მემკვიდრეობას გადაუცემთ შემდგომი მოწვევის დეპუტატებს, ამიტომ მეჩვენება, რომ აუცილებელია ამ ქვეყნის ხალხმა მოისმინოთ დეტალურად, თუ რა გაკეთდა თითოეულ კომიტეტში. შეიძლება ჩემთვის რუტინული იყო 14 კომიტეტის მოსმენა, მაგრამ ძალიან საინტერესო იყო, როცა ყველამ გადავხედეთ იმ კოლოსალურ სამუშაოს, რომელიც ჩატარდა დეპუტატთა სრული კორპუსის მიერ. ჩვენ როდესაც ესაუბრობთ იმაზე, რომ პარლამენტის მიერ ოთხი არასრული წლის განმავლობაში მიღებულ იქნა 650 მეტი კანონი, უნდა ნარმოვიდგინოთ კონკრეტულად რა დგას ამ ციფრის უკან, რა ახალი თავისუფლებები და შესაძლებლობები დგას ჩვენი მოქალაქეებისათვის.

ჩემი გამოსვლის მიზანია, შევაჯამო ჩემეულად როგორ ასრულებდა პარლამენტი ამ ოთხი წლის განმავლობაში თავის მთავარ ფუნქციებს: კანონშემოქმედება, პოლიტიკის ფორმირება, ზედამხედველობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. რას ვუტოვებთ შემდეგი მოწვევის პარლამენტს და რას ნარმოადგენს საქართველს პარლამენტი დღესდღეობით“.

**ზურაბ უვანია, 1999 წლის  
პარლამენტის ბოლო სხდომა**

# ცვლილებები საკუთრივი განვითარების და მოწყვეტილობის შეზღუდვის მიზანისათვის

ლიკა ზაკაშვილი



ფოტო: ლევან გერგაშვილი

2010 წლის 19 ივნისს საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ დაასრულა მუშაობა პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“. საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები ხმათა უმრავლესობით 2010 წლის 15 აგვისტოს მიიღო. ამ ცვლილებების ნაწილი უკვე ძალაშია, ნაწილი კი 2013 წლის იანვრიდან ამოქმედდება.

ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ, კონსტიტუციაში „ორგანული კანონის“ ცნება გაუქმდა, რაც კონსტიტუციონალისტების მიერ უარყოფითად შეფასდა. მათ მიაჩინათ, რომ ისეთ კანონები, როგორიცაა სასამართლოს, ეროვნული ბანკის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახალხო დამცველის შესახებ კანონები, ცვლილებები მაღალი კვორუმით უნდა შევიდეს.

კონსტიტუციაში შესული ცვლილებების მიხედვით, პარლამენტის მაკონტროლებელი ფუნქციები, ერთი შეხედვით, გაიზარდა. მაგალითად, გამარტივდა საგამოძიებო, ან სხვა დროებითი კომისიის შექმნის წესი. თუმცა, თუ უმრავლესობა არ მოისურვებს კომისიის შექმნას, იგი არც შეიქმნება და მნიშვნელობა არ ექნება, კომისიის შექმნას მეოთხედი მოითხოვს თუ მეტეთდი.

პარლამენტს ქალაქის მერისა და ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელისთვის კითხვით მიმართვის უფლება აქვს. თუმცა, ახალი რეგულირებით, მართველობისა და სახალხო დამცველის შესახებ კანონები, ცვლილებები მაღალი კვორუმით უნდა შევიდეს.

■ ცვლილებებში არაფერია ნათქვამი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საპარლამენტო ოპოზიციის უფლებები, სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა და საარჩევნო სისტემა, სამართლიანი საარჩევნო გარემოს არსებობის გარანტიები.

აღარ აქვს უფლება კითხვით მიმართოს ავტონომიური და თვითმმართველი ერთეულის ორგანოს ხელმძღვანელებს.

ცვლილებები პრეზიდენტისა და სხვა პირთა თანამდებობებიდან გადაყენების უფლების ნაწილშიც შევიდა.

პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით გადაყენების საკითხის აღდერის უფლება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს აქვს. იმპიჩმენტის საკითხის დასმა გამარტივდა, თუმცა, კონსტიტუციონალისტ ვახტანგ ხმალაძის აზრით, პროცედურა კვლავ რთულია. ამ სირთულის ძირითადი მიზეზი საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის აუცილებლობაა, თანაც დასკვნის წარდგენის ვადა განსაზღვრული არ არის.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირების საკითხის დასმის უფლება მხოლოდ მთავრობასა და პრეზიდენტს აქვს. ხოლო პარლამენტს, რომელიც „განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს“, ეს უფლება არ უწება – მას უფლება უწენება მხოლოდ დაეთანხმოს, ან არ დაეთანხმოს პრეზიდენტის, ან მთავრობის მიერ მისთვის წარდგენილ წინადადებას“. ვახტანგ ხმალაძის შეფასებით, ეს წესი პარლამენტს ზღვდავს.

პარლამენტის რიგგარეშე სესიის და სხდომების მოწვევის უფლება მხოლოდ პრეზიდენტს და მთავრობას მიენიჭათ. ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ სესიის მოწვევის უფლება უნდა ჰქონდეს პარლამენტის თავმჯდომარესაც.

პარლამენტს არ უნდა ჰქონდეს ვალდებულება რიგგარეშე განიხილოს მთავრობის მიერ წარდგენილი კანონბროექტი. ეს ვალდებულება შეიცავს საკონსტიტუციო ინიციატივის ბოროტად გამოყენების რისკს.

ცვლილებები პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის ნაწილშიც შევიდა, კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, ვეტოს დაძლევისთვის კოროუმი შემცირდა, რაც ექსპერტთა შეფასებით, დადებითი ცვლილებაა.

შემცირდა პრეზიდენტის უფლებამოსილება. პრეზიდენტი, საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურია, ქვეყნის ერთა-

ნობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი.

საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას. პრეზიდენტი, ასევე, საგარეო ურთიერთობებსა და პოლიტიკას განსაზღვრავს, რაც ვახტანგ ხმალაძის თქმით, არასწორია, რადგან საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრული პარლამენტი უნდა იყოს.

ცვლილების შედეგად მთავრობას ეძლევა უფლება, მოითხოვოს რეფერენტუმის დანიშვნა. კრიტიკოსებს მიაჩინათ, რომ ეს უფლება გაუმართლებლად გააძლიერებს მთავრობის ისედაც ფართო უფლებებს და შესაძლებლობას მისცემს მას პარლამენტის გვერდის ავლით ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრაზე.

კონსტიტუციაში შესული კიდევ ერთი ცვლილებით მნიშვნელოვნად შეიცვალა პარლამენტის, პრეზიდენტისა და მთავრობის ურთიერთობა. მთავრობა გათავისუფლდა პრეზიდენტის წინაშე პასუხისმგებლობისაგან. პრემიერ-მინისტრი გამოცადებულია მთავრობის მეთაურად. კონსტიტუციის ახალი რედაქციით, პრემიერ-მინისტრი გათავისუფლდა ვალდებულებისაგან, პრეზიდენტს მთავრობის საქმიანობის შესახებ ანგარიში ჩააბაროს.

ახალი კონსტიტუციით მთავრობის შექმნის საკითხი მოლიანად პარლამენტის ხელში გადავიდა.

## კომენტარი

### ვახტანგ ხმალაძე სამართალმცოდნე



საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი კანონბროექტით არათუ ვერ მიიღება ხელისუფლების მიერ დეკლარირებული მიზანი, არამედ

კვლავ გვექნება სახელისუფლებო განშტოებათა არაფეხუქიანი, გაუწონასწორებული და მრავალი რისკის შემცველი სისტემა, რომელშიც დომინანტურ როლს ამჯერად არა პრეზიდენტი, არამედ მთავრობა შეასრულებს.

მართალია, მთავრობის შექმნა პარლამენტის ხელში გადაის, მაგრამ პარლამენტის მიერ მთავრობისთვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა, რაც მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებითა და ნდობაზე უარის თქმით ხორციელდება, იმდენად გართულებულია, რომ რეალურად შეუძლებელს ხდის მთავრობის გადაყენებს. ამით მკვეთრად სუსტდება ხელისუფლების შტოთა მიერ ურთიერთკონტროლისა და განვითარების შესაძლებლობის დანაწილების პრინციპის მნიშვნელოვანი შემადგენელი წანილია.

მოუხდავად პრეზიდენტის აღმასრულებელი უფლებამოსილების მკვეთრად შეზღუდვისა, მას რჩება მთელი რიგი ისეთი უფლებებისა, რომელთა გამოყენებამ შეიძლება მკვეთრი დისონანსი შეიტანოს მთავრობის და, ზოგადად, მთელი ხელისუფლების საქმიანობაში და გამოიწვიოს მძაფრი პოლიტიკური კრიზისი.

ცვლილებებში არაფერია ნათევგამი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საპარლამენტო იპოზიციის უფლებები, საპარლამენტო უმრავლესობისა და იპოზიციის თანამშრომლობის ხელშემწყობი საშუალებები. სახელმწიფო კომისიერები გარემონტირებული მოწყობა და ადგილობრივი თვიმმართველობის სისტემა, საარჩევო სისტემა, სამართლიანი საარჩევო გარემონტირებული მოწყობი, ადამიანისათვის სასოციალურო მნიშვნელობის სოციალური გარანტიები და ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემონტირებული გარანტიები. არ არის შემოღებული ხელისუფლების ბოჭვის ქმედითი საშუალებები. **■**

# ახალი საარჩევნო კოდექსი, რომელიც დაამტკიცა, ძალაში 2012 წლის 10 იანვრიდან შევიდა.

თათია ხალიანი

ახალი საარჩევნო კოდექსი, რომელიც პარლამენტმა 2011 წლის 27 დეკემბერს დაამტკიცა, ძალაში 2012 წლის 10 იანვრიდან შევიდა. ას რვა გვერდიანი დოკუმენტი საარჩევნო რეგულაციებს 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო და მომდევნო არჩევნებისთვის განსაზღვრავს.

ახალ საარჩევნო კოდექსში ქველი კოდექსის ძირითადი დებულებები უფლება დარჩა, თუმცა კანონმდებლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება დამტკიცდა.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება პირველად მიეცათ იმ პატიმრებს, ვისაც ნაკლებად მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიაში ის დანაშაული გადის, რომელიც მაქსიმალურ სასჯელად თავისუფლების აღკვეთას არაუმეტეს 5

წლის ვადით ითვალისწინებს.

ერთ-ერთი ცვლილების მიხედვით, დამოუკიდებელ კანდიდატებს, ანუ იმ პირებს, რომლებიც არ მიეკუთენებიან რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, შესაძლებლობა აქვთ კრიტიკული იყარონ როგორც საქართველოს პარლამენტში, ასევე – ადგილობრივი თვითმმართველობის მაურიტარულ არჩევნებში და თბილისის მერიის პოსტზეც კი.

სქესთა შირის ბალანსის დაცვის დაპარტიულ სიებში ქალების რაოდენობის გაზრდის უზრუნველყოფისთვის საარჩევნო კოდექსი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონზე მიუთითებს, სადაც ნათევამია, რომ საბიუჯეტო დაფინანსების 10%-ს მიიღებს ის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი, რომელსაც საკუთარ პარტიულ სიაში ყოველ 10 კანდიდატს შორის 2 კანდიდატი

მაინც ეყოლება მდედრობითი სქესის.

ახალმა საარჩევნო კოდექსმა ამომრჩეველთა სიებზე მომუშავე კომისიის შექმნაც დაარეგულირა. 2011 წლის 15 ნოემბერს ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია შეიქმნა.

ახალ კოდექსში არ იქნა გათვალისწინებული ვენციის კომისიის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც წინასაარჩევნო საქმიანობა არჩევნებამდე 24 საათით ადრეუნდა შენკვეტილიყო. დღეს მოქმედი საარჩევნო კოდექსი არჩევნების დღეს აგიტაციის უფლებას არ კრძალავს. აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება პოლიტიკური თანამდებობის პირებს, მათ შორის გუბერნატორებს და გამგებლებსაც, აქვთ.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის იკ-



ძალება იმ ორგანიზაციებისთვის განკუთხნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. ასევე, იკრძალება აგიტაციის მიზნებისთვის ხელისუფლების, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების უსასაყიდლოდ, ან შედავათანი პირობებით გამოყენება. თუმცა, ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პრეზიდენტზე, დეპუტატებზე, პრემიერ-მინისტრზე, მთავრობის სხვა წევრებზე და მათ მოადგილებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებზე.

## ■ ძველი კოდექსიც არ იყო სანიმუშო. დღესაც რჩება ახალ კოდექსში მთელი რიგი პუნდოვანებები.



მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების კუთხით, სიახლეს წარმოადგენს კოდექსის ის დებულება, რომლის მიხედვითაც, ფასიანი სარეკლამო დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირია. რაც შეეხება საარჩევნო დავების განხილვას, ახალი საარჩევნო კოდექსი აწესებს შესაძლებლობას, რომ საარჩევნო აღმინისტრაციის გადაწყვეტილება გასაჩივრდეს ზემდგომ კომისიაში, ან – პირადაპირ სასამართლოში.

ზაფხულში ნაციონალურ მოძრაობასა და სხვადასხვა პარტიას შორის შეთანხმება შედგა, რომლის თანახმადაც, სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადა 4 დღემდე გაიზარდა. თუმცა, ეს დებულება კოდექსის მოქმედ ვარიანტში აღარ გვხვდება და ვადა კვლავ 2 დღე რჩება, მეტიც, გასაჩივრების ვადა, რიგ შემთხვევაში, 1 დღემდე შემცირებული. საჩივრის შეტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას არ აჩერებს.

კოდექსის პროექტის თავდამირველ ვარიანტში მარკირების პროცედურა გათვალისწინებული არ იყო. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნით, კერძოდ, კამპანია „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში ამ დებულების გადახედვა მოხდა და მარკირების პროცედურა კოდექსში დარჩა.

თუმცა, გათვალისწინებულ არ იქნა კამპანია „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში ნამიყენებული მოთხოვნა საარჩევნო უბნებზე ვიდეო თვალის დამოწმუნებელის შესახებ. ამჟამად ვიდეო თვალი საარჩევნო უბნებზე არ აყენია.

საარჩევნო კოდექსის ახალ პროექტში არ იყო ჩანაწერი, რომელიც საარჩევნო უბანზე მყოფ პირებს ფოტო-ვიდეო გადალების უფლებას აძლევდა. „ეს შენ გეხებას“ კამპანიაში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს კი მიაჩნდათ, რომ ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დებულება იყო. საბოლოოდ გათვალისწინებულ იქნა არასამთავრობოთა პროტესტი და ფოტო-ვიდეო გადაღება საარჩევნო უბენბზე კოდექსის მიხედვით ნებადართულ იქნა.

პროექტის პირველ ვერსიაში დეპუტატების რაოდენობა 190 წევრამდე იყო

გაზრდილი, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეთანხმებით მოქმედ კოდექსში 150 წევრიანი პარლამენტია გათვალისწინებული. 4 წლის ვადით 77 დეპუტატი აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის, ხოლო 73 წევრი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

ვენეციის კომისიის მთავარი შენიშვნა პარლამენტის საარჩევნო სისტემის ეხებოდა, მათ შორის, მაჟორიტარულ ოლქებს შორის უთანაბრობას. თუმცა, კოდექსში ეს დებულებები ისეთივე ფორმით დარჩა, როგორითაც პროექტის თავდაპირველ ვარიანტში იყო. მაგალითად, პარლამენტში ის პარტია მოხვდება, რომელიც 5%-იან ბარიერს გადალახავს და ის გარანტირებულად გაიყვანს ფრაგიის შესაქმნელად საჭირო, სულ ცოტა, ექვს დეპუტატს, ხოლო მაჟორიტარულ არჩევნებს ის კანდიდატი მოიგებს, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაბილეთა ხედის 30%-ისა.

მაჟორიტარი დეპუტატების არჩევა გათვალისწინებული აღარ არის ლაბვისა და ახალგორის ოლქებიდან, რომლებზე კონტროლსაც 2008 წლის აგვისტოს მიმის შედეგად საქართველოს ხელისუფლება ვეღარ ახორციელდს.

საარჩევნო კოდექსით, საპარლამენტო არჩევნების შეჯამება არჩევნების დღიდან არაუგვიანეს მე-19 დღის ვადში ხდება.

## კომეტიკი

### თათული თოდეული

იურისტი, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“



„ახალი საარჩევნო კოდექსის ინიციატიბა ყველასთვის, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზა-

ციებისთვის მოულოდნელობა იყო. ვინაიდან, ამ მნიშვნელობის და მოცულობის დოკუმენტზე მუშაობის პროცესი გასაიდუმლოებული იყო. არ იყო არანაირი ჩართულობა. ინფორმაციაც კი, რომ ის მზადდებოდა, არსად არ ყოფილა გაუძლერებული. სექტემბერში კი ვნახეთ, რომ ეს პროექტი უკვე პარლამენტში იყო ინიცირებული.

კოდექსის პროექტი არ შეიცავდა რაიმე ძირულ ცვლილებებს. სტრუქტურულად ის ძევლს მიყვება, თუმცა ძველი კოდექსიც არ იყო სანომუშო. დღესაც რჩება ახალ კოდექსში მთელი რიგი ბუნდოვნებები. სამარავლობო ორგანიზაციამ, საიმმ., „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ და „სამართლიანმა არჩენებმა“ პარლამენტს ორ ეტაპად კანონთან დაკავშირებით ჩვენი ერთობლივი პოზიციები წარვადგინეთ. სულ, ჯამში 57 რეკომენდაცია გვქონდა.

ახალ საარჩევნო კოდექსში აისახა რამდენიმე დადებითი ინიციატივა, მაგალითად, დამოუკიდებელი კანდიდატის საკითხი. მეორე დადებითი ინიციატივაა პატიმრებისთვის ხმის მიცემის უფლების მინიჭება.

საბოლოოდ, 57 რეკომენდაციიდან პარლამენტმა 12 რეკომენდაცია გაითვალისწინა, 13 ნაწილობრივ გაითვალისწინა, ხოლო 32 საერთოდ არ გაუთვალისწინებია. თუმცა ამ მონაცემებს თუ მნიშვნელოვანი რეკომენდაციების კუთხით განვიხილავთ, ვნახვათ, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციებიდან მხოლოდ ხუთი გაიზიარეს და აქედანაც საინტერესო ის არის, რომ სამი სრულად იყო ძევლ კოდექსში ასახული. ჩვენ მოგვინია ბრძოლა იმ საკითხებზეც, რომელიც ძევლ კოდექსში იყო უკვე ასახული. მაგალითად, საარჩევნო კოდექსის პროექტში საერთო არაფერი ეწერა საარჩევნო უბნებზე ფოტო-ვიდეო გადაღების შესახებ. ეს მუხლი რომ აღდგენილიყო, ამაზე ძალიან დიდი ძალისხმევა დავხარჯეთ“.

## შეზღუდვი ღაფინანსების პარტიკულისტის

### თათია ხალიანი

2008 წლის მოწვევის საქართველოს პარლამენტმა გახმაურებული საკანონმდებლო ცვლილებები „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში შეიტანა. ამ ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეცვალა პოლიტიკური ცხოვრება და წინასარჩევნო გარემო.

2011 წლის 28 დეკემბერს პარლამენტმა მესამე, საბოლოო მოსმენით პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ახალი რეგულაციები დამტკიცა. ამ დროისათვის ბიძინა იგანიშვილი ქართულ პოლიტიკაში დაახლოებითი ორი თვის მოსული იყო.

საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა, იურიდიულ პირებს პარტიების დაფინანსებას უკრძალავს და ფინანსურ შეზღუდვებს აწესებს.

„პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების მთავარი დებულება პოლიტიკური პარტიებისთვის შემონირულობების მიღებას ეხებოდა.

იურიდიულ პირებს, მათ შორის, ბიზნეს ორგანიზაციებს, პარტიების დაფინანსება აეკრძალათ. ფიზიკური პირების მიერ პოლიტიკური პარტიებისთვის ყოველწლიური შემონირულობის ზედა ზღვარი კი გაორმავდა და 60 000 ლარს მიაღწია. აღნიშნული ფულადი შემონირულობის მიღება შეიძლება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით. კერძოდ, ახალი რეგულაციით, შემონირულობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებში არსებული შემონირველის კუთვნილი ანგარიშებიდან.

ასევე, პოლიტიკურ პარტიებს კრედიტის ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან აღება აერქალათ. მხოლოდ საარჩევნო პერიოდში, მას შემდეგ, რაც პოლიტიკური პარტია საარჩევნო სუბიე-

ქტად დარიგისტრირდება, ეძლევა უფლება კომერციული ბანკებიდან არაუმტეტს 1 მილიონი ლარის ოდენობის სესხი აიღოს.

დაწესდა კიდევ ერთი ზღვრული ოდენობა, რომლის თანახმადაც, პარტიის საერთო წლიური დაფინანსება და ხარჯები საქართველოს წინა წლის მთლიანი შედა პროდუქტის 0.2%-ს არ უნდა აჭარბებდეს. ამავე ლიმიტს არ უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბლოკში შემავალი სუბიექტების ხარჯებისა და შემოსავლების საერთო ოდენობები.

კანონში შეტანილი კიდევ ერთი ცვლილება პოლიტიკური პარტიის, ასევე მასთან პირდაპირ, თუ ირბად და კავშირებული პირის მიერ საჩუქრის გაცემას არეგულირებს. როგორც პარტიას, ასევე მასთან დაკავშირებულ პირებს ეკრძალებათ საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ან არამატერიალურ ფასულობათა გადაცემა.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში შესული კიდევ ერთი ცვლილება ცალკე საჯარიმო ცვლილებას ითვალისწინებს იმ პარტიებისთვის, რომლებიც პარლამენტში შევიდნენ და საბიუჯეტო დაფინანსებას

**■ ნებისმიერი მოქმედება, ანუ ის, რაც წესით გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ჯდება, ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს პარტიისთან დაკავშირებულად აქცევდა.**



იღებენ. კერძოდ, თუ პარტიის მიერ კანონის დარღვევით მიღებული წლიური თანხა 15 000-50 000 ლარის ფარგლებშია, ან 50 000 ლარზე მეტია, მას სახელმწიფო დაფინანსება მოეხსება, შესაბამისად, ერთი, ორი, ან ოთხი წლით.

ახალი რეგულაციით განისაზღვრა, ასევე, პარტიების საწევრო შენატანების ზედა ზღვარი. პოლიტიკური პარტიების საწევრო შენატანები წელიწადში 1 200 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

ახალი რეგულაციებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ყოფილი კონტროლის პალატის, ამჟამად აუდიტის სახელმწიფო სამსახურის უფლებამოსილებები. აუდიტის სამსახურს ყველა ის უფლებამოსილება გადაეცა, რომელიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ეკისრობოდა პარტიების ფინანსური მონიტორინგის კუთხით. მოქმედი კანონმდებლობით აუდიტის სამსახურს ხელი მიუწვდება პარტიებთან დაკავშირებულ ყველა ფინანსურ ინფორმაციაზე.

ყველა პოლიტიკური გაერთიანება ვალდებულია არჩევნების გამოცხადების დღიდან სამ კვირაში ერთხელ წარუდგინოს აუდიტის სამსახურს ფინანსური ანგარიში. აუდიტის სამსახურს უფლება აქვს განახორციელოს სანქციები და დანაშაულის წიშნების გამოვლენის შემთხვევაში მიმართოს პროკურატურას.

აუდიტის სამსახურს შეუძლია მიღებუ-

ლი ფინანსური და მატერიალური შემონირულობების სუთმაგი ოდენობით დააკისროს ჯარიმები პარტიებს და პირებს, თუ ისინი პოლიტიკური პარტიის სასარგებლობა აკრძალულ შემონირულობებს მიიღებენ ან ამ ინფორმაციას დამალავენ.

ამ ნორმების დარღვევის გამო, თუ ისინი უკავშირდება არჩევნებამდე 1 წლის განმავლობაში განხორციელებულ ქმედებებს, აუდიტის სამსახურს ენიჭება უფლებამოსილება, რომ მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და პარტია მოიხსნას არჩევნებიდან.

ცვლილებების დამტკიცებიდან ერთ თვეში კამპანია „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციებმა და რამდენიმე მედიასამუალებამ პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებების გადახედვას მოითხოვეს. მათ პარლამენტში შეიტანეს პეტიცია და საკანონმდებლო წინადადებების პაკეტი, რომელიც არჩევნებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ყველაზე მოღებელი მუხლების აღტერნაციულ ვერსიებს მოიცავდა.

20 მარტს „ეს შენ გეხებას“ წევრ ორგანიზაციებსა და პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს შორის რიგ საკანონმდებლო წინადადებაზე, რომელიც პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონს ეხებოდა, შეთანხმება შედგა.

მიღწეული შეთანხმების შედეგად, კანონიდან პოლიტიკურ პარტიისთან პირ-

დაპირ, ან არაპირდაპირ დაკავშირებულ პირთა ცნება ამოიღეს. პოლიტიკური სმპათიის ან ანტიპათიის გამოხატვის გამო აუდიტის სამსახურს აღარ ექნება უფლება, პირს შეზღუდვები დაუწესოს.

ასევე, დავიწროვდა და მკაფიოდ განისაზღვრა იმ პირთა ნერე, რომელიც ბილიტიკური პარტიისათვის დაწესებული შეზღუდვები გავრცელდება.

შეთანხმების შედეგად, ამიმრჩეველს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა პარტიისგან რამე სარგებლის მოთხოვნის გამო აღარ დაეკისრება. პირს არ შეეზღუდება სამეწარმეო საქმიანობა, თუ ის უშუალოდ არ უკავშირდება საარჩევნო მიზნებს. აუდიტის სამსახურს აღარ ექნება ქონებაზე ყადაღის ერთპიროვნულად დადგების უფლება. ყადაღა შეიძლება დაედოს მხოლოდ სადაცო თანხას/ქონებას და ისიც, მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. „პოლიტიკურ გაერთიანებათა შესახებ“ კანონის დარღვევისთვის აღარ გაუქმდება პოლიტიკური პარტიების საარჩევნო რეგისტრაცია.

## კომენტარი

### ლინა ლევანიანიძე

იურისტი, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“



„რიგი ცვლილებებით, რომლებიც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში განხორციელდა, ფუნდამენტურად შეიცვალა რამდენიმე ხუთი პრინციპული საკითხი.

პირველი საკითხი, რომლითაც რეგულირდებოდნენ პარტიასთან დაკავშირებული პირები, ეს იყო 26-ე პრიმა მუხლი. ამ ცვლილებით პარლამენტმა მიიღო ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, ყველა პირი, რომელიც წების მიმმართ დაკავშირებული იყო პარტიისთან ან გაცხადებული პოლიტიკური მიზნის

მქონე პირთან, რეგულირების ქვეშ ექცეოდა. რეალურად, ამ სუბიექტების წრე ძალიან ფართო გახდა. ნებისმიერ მოქმედება, მათ შორის, საჯაროდ გამოხატული მხარდაჭერა, ანუ ის, რაც წესით გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ჯდება, ისიც კი ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს პარტიასთან დაკავშირებულად აქცევდა. ამ სუბიექტებს, რომლებიც იყვნენ აშკარად დაკავშირებული პოლიტიკურ ფიგურასთან, აღარ ჰქონდათ სამეცნარეო საქმიანობის განხორციელების უფლება, რაც ცალსახად ზღუდავდა ამ პირების კონსტიტუციურ უფლებას. მეორე საკითხი იყოს ის, რომ არ იყო დადგენილი არანაირი პროცედურა, როგორ ხდებოდნენ ეს პირები პარტიებთან დაკავშირებული. ასევე, იყო ძალიან მნიშვნელოვანი ყადაღის თემა. პირთა მიმართ, რომლებიც დაექვემდებარებოდნენ ასეთ შეზღუდვებს, შესაძლოა ყადაღის წესი გამოიყენებინათ. რა შემთხვევაში ხდებოდა ყადაღის დადება – ეს პროცედურები საერთოდ არ იყო განერილი, შესაძლოა, პირის ქონებას მთლიანად დადებოდა ყადაღა. კანონი ამისგან ვერცერთ მოქალაქეს ვერ იცავდა.

არასამთავრობო ორგანიზაციები  
ამ ცვლილებებს ძალიან კრიტიკუ-  
ლად აფასებდნენ. დაიწყო კამპანია  
„ეს შენ გეხება“, რომლის ქვეშაც  
არასამთავრობო და მედია ორგანი-  
ზაციები გაერთიანდნენ. ჩვენ მოვა-  
მზადეთ ალტერნატიული ფორმუ-  
ლირებები, განხილვის შედეგად  
პოლიტიკურად დაკავშირებული  
პირთა წრე დავიწოდოდა, ეს საკითხი  
გაიზიარა პარლამენტმა. გარდა ამი-  
სა, ჩვენ შევთავაზეთ პროცედურე-  
ბი, თუ როგორ უნდა მომხდარიყო  
ამ შეზღუდვების მოხსნა და ესეც  
გაიზიარეს. მაგრამ რაც შეეხება  
სანქციების ნაწილს, საბოლოო ვა-  
რიანტში ხუთმაგი ოდენობა დარჩა.  
რეალურად, ხუთი პრინციპული  
საკითხიდან პარლამენტმა მხოლოდ  
ორი საკითხი გაიზიარა“. **█**

გ ლ ი ს ა მ ა რ ე ბ ი ს ა მ ა რ ე ბ ი ს  
მ ა რ ე ბ ი ს ა მ ა რ ე ბ ი ს ა მ ა რ ე ბ ი ს

თინა ყიფშიძე



შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონი ვერ კიდევ 1997 წლის მოწვევის პარლამენტმა მიიღო. კანონის თავდაპირველი ვარიანტი მნიშვნელოვნად ლიბერალური იყო. 2009 წელს შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა. ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, გარკვეულ ადმინისტრაციულ შენობებთან 20 მეტრის რადიუსში შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება იკრძალა (მტ-9 მუხლი).

კანონის ეს ნორმა საკონსტიტუციო  
სასამართლომ 2011 წლის 18 აპრილს  
არაკონსტიტუციურად ცნო. საპარლამენ-  
ტო უმრავლესობის ნარმომადგენლებმა  
საკონსტიტუციო სასამართლოსა და ვე-  
ნეციის კომისიის რეკომენდაციების სა-  
ფუძველზე პარლამენტში მორიგი ცელი-  
ლებების პროექტი შეიტანეს. კანონში  
ცვლილებები საბოლოოდ პარლამენტმა  
2011 წლის 1 ივნისს დაამტკიცა, სადაც  
ეს მყავილი ამგენარივე ფორმულირებით არ

■ შეიარაღებული  
სამართალდამცველი  
ორგანოების ცალკეულ  
თანამშრომლებს მუდმი-  
ვად ეკრძალებათ შეკრე-  
ბაში ან მანიფესტაციაში  
მონაწილეობის მიღება.

შევიდა, თუმცა, ექსპერტების შეფასებით,  
ამ მუხლა მხოლოდ უმნიშვნელოდ და-  
დებითი ცვლილება განიცალა.

კანონის 2009 წლის შესწორების მიხედვით, აკრძალული იყო შეკრების, ან მანიფესტაციის ჩატარება შემდეგი შენობების შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში: საქართველოს პარლამენტი; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს უზუნავისი სასამართლო,

საერთო სასამართლოები, პროკურატურის, პოლიციის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკეთის დაწესებულებები და სამართალდამცველი ორგანოები; სამხედრო ნაწილები და ობიექტები; რეინიგზის სადგურები, აეროპორტები, პორტები; საავადმყოფოები; დიპლომატიური დაწესებულებები; სამთავრობო დაწესებულებები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები; შრომის უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის ან შეიარაღებული დაცვის მქონე საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

2011 წელს შეტანილი ცვლილების მიხედვით, საკანონმდებლო რეგულაციის „გააღმისავალურება“ იმში გამოიხატა, რომ კანონში ჩატარება, აქციის, ან მანიფესტაციის გამართვა შესაძლებელი იქნება ადმინისტრაციული შენობებიდან 20 მეტრზე ნაკლებ რადიუსშიც. თუმცა, აქციის, ან მანიფესტაციის გამართვის შეზღუდვა 20 მეტრის რადიუსში ძალაში დარჩა სამართალდამცავი ორგანოების შენობებთან.

ამას გარდა, აკრძალული იქნება შეკრძისა და მანიფესტაციის ჩატარება სამხედრო ნაწილებში და ობიექტებში და მათი შესავლელიდან 100 მეტრის რადიუსში.

შემოვიდა ახალი რეგულაციაც, რომლის მიხედვით, საერთოდ აკრძალული იქნება შეკრძისა და მანიფესტაციის ჩატარებისას ავტომაგისტრალების და რეინიგზის ბლოკირება.

გარდა 20 მეტრიანი შეზღუდვისა, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ კანონის სხვა მუხლებსაც კრიტიკულად აჯასხდდა. კერძოდ, კრიტიკა დაიმსახურა კანონში შესულმა აკრძალვამ, რომელიც გამოხატვის თავისუფლებისა და თავისუფლების გაფრთხოების უფლებას შეირჩება და მათი შესავლების მიხედვით, თუ აქციის მიმდინარეობა ხელს შეუშლის თავისუფლება ვაჭრობას, აქცია უნდა შეწყდეს.

კანონპროექტით დაწესდა 15 წუთიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც ორგანიზატორმა უნდა მოახდინოს უფლებამოსილი წარმომადგენლის განცხადებაზე რეაგირება. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ ამ დროის გონივრულობასაც ეჭვის ქვეშ აყენებდა.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“

კიდევ ერთი პრეტენზია აქციაზე აკრძალულ ნივთებს შეეხო. კანონის მიხედვით, აქციის მონაწილეებს ეკრძალებათ საშიში ნივთების ქონა, ასოციაცია ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად ამ ნივთების სრულსიას ითხოვდა.

## კომენტარი

### თაული თოლეა

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“



შეკრძისა და მანიფესტაციების მეცხრე მუხლი ადგენს შეკრძისა და მანიფესტაციების ჩატარების ადგილს. საკონსტიტუციო სასამართლომ ზოგიერთი შენობის ადგილას დასაშვებად სცნო 20 მეტრიანი რადიუსის აკრძალვა, თუმცა არა ყველასთან. ის დაწესებულებები, რომლებიც არ უკავშირდება უსაფრთხოების დაცვას, ქვეყნის უშიშროებას და სადაც არ არსებობს მყისიერი საფრთხე, რომ შეკრძის ჩატარება შესავლელთან გამოიწვევს საფრთხეს, არ უნდა იყოს აკრძალული. აკრძალვა რჩება სამართალდამცველი ორგანოების შენობებთან, პოლიციასთან, პროკურატურასა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე.

თავად კანონპროექტი ძალიან ფართო ჩამონათვალი იყო იმ დაწესებულებებისა, რომელთა თანამშრომლებს შეკრძისა ან მანიფესტაციაში მონაწილეობის მიღება ეკრძალებათ. საქართველოში ისეთი ორგანოს თანამშრომლებს, როგორიცაა სამართალდამცავი ორგანოები, მაგალითად, პოლიცია, ეზდუდებათ აქციებში მონაწილეობა. კანონში გამოყენებული იყო ტერმინი „სამართალდამცავი“ და მასში პროკურატურაც იღულისხმება. ანუ ახალი კანონის მიხედვით, პროკურატურის თანამშრომლებსც ეკრძალებოდათ შეკრძისაში ან მანიფესტაციაში მონაწილეობის მიღება.

ჩვენ კვინალმდეგებოდით ასეთი ტიპის აკრძალვას, რადგანაც ვენეციის კომისიის რეკომენდაციების მიხედვით, ამგვარი აკრძალვა ამ სამსახურის თანამშრომლების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, როდესაც ის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს და არა მაშინ, როდესაც, ვთქვათ, ისინი შევტულებაში არიან.

მოგვიანებით ეს მუხლი შეიცვალა, მაგრამ ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან ნაწილობრივი შეუსაბამობა მაინც დარჩა. შეიარაღებული სამართალდამცველი ორგანოების ცალკეულ თანამშრომლებს მუდმივად ეკრძალებათ შეკრძისაში, ან მანიფესტაციაში მონაწილეობის მიღება.

კანონპროექტის მიხედვით, აქციის ჩატარება ეკრძალებოდათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, ან 18 წლამდე ასაკის პირებს. ეს ჩანაწერი დღესაც არსებობს. ვენეციის კომისიის რეკომენდაციებში მითითებულია, რომ შეკრძისა და მანიფესტაციების ორგანიზების უფლებით უნდა სარგებლობდეს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე, იქნებიან ისინი ლოგოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები, თუ ტურისტები. საკამათოა ისიც, თუ რატომ არ უნდა ჰქონდეთ 18 წლამდე ასაკის პირებს აქციის ორგანიზების უფლება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მეტი თავისუფლება უნდა ყოფილიყო კანონში და ნაკლები რეგულირება, თუმცა ეს მოსაზრება არ გაითვალისწინება.

ჩვენ ვითხოვდით, რომ ნათლად ყოფილიყო განერილი სპონტანური შეკრძის უფლება. კანონმდებლობის მიხედვით დადგენილა წინასწარი ვადა. ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებში 5 დღით ადრე უნდა შევიდეს ინფორმაცია აქციის შესახებ. როდესაც ქვეყანაში რაიმე მნიშვნელოვანი ხდება, მოსახლეობას უნდა ჰქონდეს სპონტანური აქციების ორგანიზების უფლება და ეს პროცესი ძალიან მკაფიოდ უნდა იყოს დაცული.

# ჩეხოსტი ცვილებაზე საბაზნისასალო წოლაჭაში

თათია ხალიანი



ფოთლი ხალიანი / არანგავილი

2010 წელს მთავრობის მიერ ინიცი-  
რებულ საგადასახადო კოდექსის ახალ  
პროექტს ხელისუფლებამ „რევოლუციუ-  
რი“ უწოდა. მაშინდელი ფინანსთა მინის-  
ტრის კახა ბაინდურაშვილის შეფასებით  
ძველი კანონი ძირულად, 98%-ით შეი-  
ცვალა.

ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში  
2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა. კოდე-  
ქსის მნიშვნელოვან ცვლილებად მე-12  
თავი მიიჩნევა, სადაც საშემოსავლო  
გადასახადის სპეციალური დაბეგვრის  
რეზიმებია განსაზღვრული. 83-ე მუხლის  
მიხედვით, სპეციალური დაბეგვრის რე-  
ზიმები ვრცელდება: ა) მიკრობიზნესის

სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე; ბ)  
მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარ-  
მე ფიზიკურ პირებზე.

ამ ცვლილებით პირველად გაჩნდა  
კოდექსი მიკრობიზნესის კატეგორია. მიკრობიზნესის სტატუსი შეიძლება  
მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ  
იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას  
და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომი-  
კურ საქმიანობას, რომლის მიხედ-  
ვითაც, მის მიერ წლის განმავლობა-  
ში მისალები ჯამური შემოსავალი 30  
ათას ლარს არ აღემატება. კოდექსის  
86-ე მუხლის თანახმად, მიკრობიზნე-  
სის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი

**■ კოდექსის საბოლოო  
მიღების წინ მთავრობამ  
შეცვალა თავდაპირვე-  
ლად დეკლარირებული  
გადაწყვეტილება. კან-  
ონის საბოლოო ვერსიით,  
დღგ-ს 100 000 და მეტი  
ლარის ბრუნვის მქონე  
პირი გადაიხდის.**

არ იხდის საშემოსავლო გადასახადს. მიკრობიზნესის მქონე პირს, ასევე, არ გააჩნია საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულება.

საგადასახადო კოდექსი ასევე მცირებიზნესის კატეგორიას ითვალისწინებს, რომელიც შეიძლება მიენიჭოს მენარმეფიზე უკურნაობის პირს, რომლის ერთობლივი შემოსავალი წლიურად 100 000 ლარს არ აღემატება. კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად, ამ კატეგორიის ბიზნესის შემოსავალი 3%-იდან 5%-მდე დაიბეგრა. თუმცა, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ერთობლივი შემოსავლის 60 პროცენტის იდენტობის ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტაციას წარადგენს, მაშინ 3 პროცენტით დაიბეგრება.

მიკრო და მცირე ბიზნესისთვის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გარდა განისაზღვრა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის ცნება. ეს შესაძლოა იყოს პირი, რომელიც არ არის დღგ-ს გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ, ან ერთზე მეტ საქმიანობას. მაგალითად, ფიქსირებული გადასახადით დაიბეგრა საცხობები, სილამაზის სალონები. თუმცა დასაბეგრი ბიზნესის სახეებს მთავრობა განსაზღვრავს. ფიქსირებული გადასახადის განაკვეთები შესაძლოა დასაბეგრ იბიექტზე განისაზღვროს 1-დან 2000 ლარამდე, ან დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3%-ით. ამ განაკვეთებსაც, საქმიანობის მიხედვით, საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს. პირს უფლება აქვს აირჩიოს ისარგებლებს, თუ არა ფიქსირებული გადასახადით.

მოქმედი კოდექსის 156-ე მუხლის თანახმად, საშემოსავლო გადასახადის გადამხდელებად მიიჩნევიან რეზიდენტი ფიზიკური პირი და არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროებიდან.

ახალი რეგულაციით საბაზო კოდექსი გაუქმდა და ის საგადასახადო კოდექსს შეუერთდა. ასევე, აუდიტორთა უმაღლესი საპჭო შეიქმნა, რაც გადასახადის გადამხდელს საშუალებას აძლევს პირა-

დი საგადასახადო აგენტის მომსახურებით ისარგებლოს.

ახალი საგადასახადო კოდექსით დასაბეგრი იბიექტების ბაზა გაფართოვდა. გაიზარდა აქციზის გადასახადი სპირტიან სასმელებზე. ახალი განაკვეთით 1 ლიტრი არაყი 4,6 ლარით დაიბეგრა, ძველი განაკვეთი კი 2,30 ლარი იყო. მობილური საკომუნიკაციო მომსახურება ფიქსირებული 10%-ით დაიბეგრა.

განისაზღვრა საჯარიმო სანქციები საგადასახადო რეგულაციების დარღვევებზე. მაგალითად, საკონტროლო – სალარო აპარატების გამოყენების წესების დარღვევისათვის ჯარიმები 400-დან 15 000 ლარამდე მერყეობს.

კოდექსის საბოლოო მიღების წინ მთავრობამ შეცვალა თავდაპირველად დეკლარირებული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ დღგ-ს 18%-იანი გადასახადის სავალდებულო გადამხდელები იქნებოდნენ 200 000 ლარზე მეტი წლიური ბრუნვის მქონე ფიზიკური თუ იურიდიული პირები. კანონის საბოლოო ვერსიით, დღგ-ს 100 000 და მეტი ლარის ბრუნვის მქონე პირი გადაიხდის.

საგადასახადო კოდექსის კიდევ ერთი სიახლე საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებაა. ბიზნეს ომბუდსმენს პრემიერ-მინისტრი პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ნიშნავს. ომბუდსმენი ანგარიშვალდებული პარლამენტთან, კერძოდ, კი – საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან იქნება.

კიდევ ერთი ცვლილებით საგადასახადო კოდექსმა ე.წ. „გრანტებით“ მიღებული შემოსავლების დასაბეგრი განაკვეთი 20%-მდე გაზარდა. თავდაპირველად საგრანტო წყაროებიდან მიღებული შემოსავლები (ძირითადად, არასამთავრობო ირგანიზაციების თანამშრომელთა ხელფასები და პონორარები) შხოლოდ სოციალური გადასახადით, ანუ 12%-ით იბეგრებოდა. 2011 წლიდან სოციალურ გადასახადს დაემატა საშემოსავლო და ჯამურად საგრანტო შემოსავლები 20%-ით დაიბეგრა.

14 ივლისს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ვებგვერდზე განცხადება გამოქვეყნდა, სადაც არასამთავრობო ირგანიზაციე-

ბით უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ ახალი საგადასახადო კოდექსი მთავრობასა და საზოგადოებრივ ირგანიზაციებს შორის „შეუთანხმებლად“ იქნა მიღებული.

არასამთავრობო ირგანიზაციები მოითხოვდნენ, რომ გრანტიდან მიღებული ხელფასების 12%-იანი განაკვეთით დაბეგვრა 2014 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდეს და სამწლიანი მორატორიუმის ვადის გასვლის შემდეგ, საგადასახადო განაკვეთის გაზრდა მხოლოდ სამქაბლაქო სექტორსა და მთავრობას შორის კონსულტაციების საფუძველზე განხორციელდეს.

არსებული საგადასახადო კოდექსით 2011 წლიდან საშემოსავლო გადასახადი 18% უნდა გამხდარიყო და 2012 წლიდან 15%-მდე შემცირებულიყო. თუმცა ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტით, შემცირების ამ გრაფიკმა გადაინია და საშემოსავლო გადასახადის 15%-იანი განაკვეთის შემოღება მხოლოდ 2014 წლიდან იგეგმება.

## კომენტარი



### ირაკლი შავიშვილი

ექსპერტი საგადასახადო საკითხებში „არსობრივად საგადასახადო კოდექსში არაფერი შეცვლილა. ეს არის ცუდი კოდექსი და შეიძლება ითქვას, უარესიც კი ვიდრე მანამდე მოქმედი იყო. თუნდაც იმიტომ, რომ 2011 წლიდან გადასახადები გაიზარდა. ეს გაზრდა რამდენიმე მეთოდით მოხდა, რიგი განაკვეთების გაზარდა. ზოგიერთი განაკვეთი იგივე დარჩა, თუმცა საგადასახადო ბაზა გაფართოვდა.

რაც შეეხება რეგულაციებს მცირე და მიკრო ბიზნესთან დაკავშირებით და ფიქსირებულ გადასახადებას, ეს უკვე

კონცეპტუალური საკითხია. ამგვარი ცვლილებების და რეგულაციების წინააღმდეგი ვარ, რადგან მიმართია, რომ მცირე მენარმეც და მულტიმილიონერიც ერთი ქვეყნის მოქალაქეები არიან და მათ შორის ამგვარი დისკრიმინაციული განსხვავებები არ უნდა იყოს. რასაკვირველია, ვისაც რამდენი აქვს და რამდენის გადახდა შეუძლია, იმდენი უნდა გადაიხადოს. მაგალითად, როდესაც შემოგვაქვს რეგულაცია, რომ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირის შემოსავალი 30 000 ლარამდე თავისუფლდება დაბეგვრისგან, რა დააშავა იმ ადამიანმა რომელიც ხელფასს იღებს 30 000 ლარის ოდენობით. გამოდის, რომ ხელფასის მიმღები იხდის 20%-ს საშემოსავლო გადასახადის სახით, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი კიდევ არ იხდის.

ეს კოდექსი 2011 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა, წელიწადნახევრის განმავლობაში, ანუ 2012 წლის 1 ივნისამდე ამ კოდექსში შევიდა 53-ჯერ ცვლილება. საშუალოდ თვეში სამი ცვლილება შედის. თუ ეს „რევოლუციური“ და ძალიან კარგი კოდექსი იყო, რატომ იცვლება ასე ხშირად? რასაკვირველია, ამან ბიზნეს გარემოზე შეუძლებელია დადებითად იმოქმედოს.

ბიზნესი ადამიანის გრძელვადიანი საქმიანობა. მას უნდა ჰქონდეს საშუალება გრძელვადიანად დაგეგმოს თავისი საქმიანობა, ამის საშუალებას კი კოდექსი ფუნქციონირად არ აძლევს, იმდენად ხშირად იცვლება.

საგადასახადო იმბუდსმენის ინსტიტუტი სრულიად აპსურდული ინსტიტუტია. მისი ფუნქციაა, რომ გადასახადის გადამხდელის უფლებები დაიცვას. ვისგან უნდა დაიცვას? რა თქმა უნდა, მთავრობისგან. ამ დროს ამ საგადასახადო იმბუდსმენს ნიშნავს თვითონ მთავრობა და მთავრობა განუსაზღვრავს უფლებამოსილების სფეროს. ინტერესთა პირდაპირი კონფლიქტია. **■**



## ბაზარის ესვა

### ეკა მაღალდაძე

2008-2012 წლებში გარემოსდაცვით კანონმდებლობაში წინა პერიოდთან შედარებით გაცილებით ბევრი ცვლილება განხორციელდა. გარემოსდამცველები ამბობენ, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი 2010 წლის ზაფხულში სატყეო სექტორში განხორციელებული ცვლილებები იყო. 2010 წლის 6 ივნისს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სა-

მინისტროს შემადგენლობაში არსებული სატყეო დეპარტამენტის ნაცვლად სსიპ სატყეო სააგენტო შეიქმნა, კანონმა განსაზღვრა სააგენტოს ფუნქციონირების პრინციპები, უფლებამოსილებები და მიმართულებები. ამავე დღეს პარლამენტმა მიიღო კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზეც. რომლის თანახმადაც,



■ 2011 წელს, ფაქტო-  
ბრივად, უნდა გაუქმებუ-  
ლიყო გარემოს დაცვის  
სამინისტრო, არასამთავ-  
რობოებმა და დონორმა  
ორგანიზაციებმა მივაღწი-  
ეთ იმას, რომ ფუნქციების  
ნაწილი მაინც შეუნარ-  
ჩუნდა სამინისტროს.

17 ცვლილება შეიტანა. 2009 წელს – 3, 2010 წელს – 1, 2011 წელს კი – 6 ცვლი-  
ლება.

2009 წლის 22 ოქტომბერს ზოგადი  
ადმინისტრაციული კოდექსიდან ამოიღეს  
მე-15 თავი. ამ ცვლილებით გაუქმდა ად-  
მინისტრაციული კოდექსის ის დეტალებზ-  
ბი, რომლებიც უზრუნველყოფდა სახელ-  
მწიფო ორგანოების მიერ ნორმატიული  
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი  
აქტების მიღებისას საზოგადოების მო-  
ნაწილეობას. ცვლილებით შექმნილი ვი-  
თარება ეწინააღმდეგება საერთაშორისო  
სამართლის ნორმებს, ორპუსის კონვენ-  
ციის მე-8 მუხლს, რომლის თანახმადაც,  
უზრუნველყოფილი უნდა იყოს გარე-  
მოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებუ-  
ლი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და  
გადაწყვეტილებების მიღების პროცესში  
დაინტერესებული საზოგადოების მონა-  
წილეობა.

ორპუსის კონვენციის შესრულების  
ხელშეწყობის ვალდებულებას საქართვე-  
ლოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის  
ევილით მიღებული ევროკავშირი-საქარ-  
თველოს სამოქმედო გეგმა აკისრებს.

2011 წლის შემოდგომაზე პარლამენტი-  
მა მიიღო გადაწყვეტილება ყაზბეგის  
ეროვნული პარტიის ტერიტორიიდან 20  
ჰექტარის სტოსის სტატუსის მოხსნის შესა-  
ხებ. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“  
ანალიტიკოსი ქეთი გუჯარაძე იხსენებს,  
რომ მაშინ ორგანიზაციის სახელით ყვე-  
ლა კომიტეტსა და ფრაქციას მისწერეს,

ნადირობა დაშვებული იქნა სამონადირეო  
მეურნეობებში, ალკვეთილებში, დაცუ-  
ლი ტერიტორიების სხვა კატეგორიების  
სპეციალურად სანადიროდ გამოყოფილ  
ზონებში და სატყეო სააგრძნელოს დაქვემ-  
დებარებულ ტერიტორიაზე, ანუ მთელ  
სამეურნეო ტყის ფონდში. მანამდე ნადი-  
რობა მხოლოდ სამონადირეო მეურნეობე-  
ბსა და ალკვეთილების ზოგიერთ ზონაში  
იყო დაშვებული.

ამავე დღეს პარლამენტმა ტყის კოდე-  
ქსში შესატანი მესამე და საკმაოდ მასშ-  
ტაბური საკანონმდებლო ცვლილებაც  
დაამტკიცა. კოდექსიდან ამოიღეს ისე-  
თი საკითხები, როგორიცაა: სახელმწი-  
ფო ტყის ფონდის კადასტრის წარმოე-

ბა, ტყეთმოწყობა, გაუქმდა მოთხოვნა,  
რომლის მიხედვითაც ტყეთმოწყობა ყო-  
ველ ათ წელინადში ერთხელ ხორციელ-  
დება, სახელმწიფო ტყის ფონდის აღ-  
რიცხვის სისტემა და წესი. შეიცვალა  
ტყითსარგებლობის სახეები და სახელ-  
მწიფო ტყის ფონდის კატეგორიები, ასე-  
ვე ცვლილებები შევიდა იმ მუხლებში,  
რომლებზეც საუბარია გადაწყვეტილების  
მიღების პროცესში საზოგადოების მონა-  
წილეობის შესახებაც.

2011 წლის მაისში ტყის კოდექსში შესუ-  
ლი კიდევ ერთი ცვლილებით, გრძელვა-  
დიანი ტყითსარგებლობის ვადა 20-დან 49  
წლამდე გაიზარდა. 1999 წლიდან (კანონის  
მიღებიდან) პარლამენტმა ამ კანონში სულ

გაუგზავნეს შენიშვნები და მითითებები, თუმცა, პარლამენტის არცერთი მოთხოვნა არ გაუთვალისწინებია.

2012 წლის 20 მარტს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი შესაძლებელს ხდის დაინტერესებულ პირსა და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის უვადო შეთანხმების დადებას, რომელიც დაინტერესებულ პირს, სახელმწიფოს სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევებისთვის პასუხისმგებლობისგან ათავისუფლდება. ამასთან, შეთანხმების ხელმომწერი დაინტერესებული პირი თავისუფლდება, ყოველგვარი ვალდებულებისგან, ჯარიმისა ან/და ზიანის ანაზღაურებისგან, ასევე, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისგან. კანონი, აგრეთვე, კრძალავს დაინტერესებული პირის საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ შემოწმებას. კანონის მიღებას არასამთავრობო გარემოსდამცველი ორგანიზაციების პროცესტი მოჰყევა, თუმცა, პარლამენტმა კანონი დაწეარებული წესით და შენიშვნებისა და მითითებების გათვალისწინების გარეშე დაამტკიცა.

## კომენტარი

### ირაკლი მაჭარაშვილი

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“, ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი



გარემოს დაცვითი კუთხით ეს პარლამენტი აბსოლუტურად არა-თანმიმდევრული და ნინა წლებთან შედარებითაც ყველაზე რეგრესული იყო. მისი საკანონმდებლო საქმიანობიდან შეიძლება მხოლოდ რამდენიმე დადებითი ცვლილება გავისხენოთ.

მაგალითად, შეიქმნა ჯავახეთისა და მაჭარელას ეროვნული პარკები. ცალსახად კარგია, რომ გაზიარდა დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი. თუმცა, ეს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დომორების ინიციატივით მოხდა და გარემოს დაცვის კომიტეტის მონაბილეობა, ფაქტობრივად, არ ყოფილი. ძირითადი მიღწევები არასამთავრობოებისა და დონორების ძალისხმევით ხდებოდა. მაგრამ ძალიან ბევრი გადაწყვეტილება გარემოს დაცვას აზიანებდა.

2010 წლის ივლისში ტყის კოდექსიდან ამოიღეს ისეთი მნიშვნელოვანი მუხლები, რომლებიც მდგრადი სატყეო განვითარების საფუძვლებს წარმოადგენდა. მაგალითად, ტყის აღრიცხვა, ტყის დაცვა, ტყეთმოწყობა, იმავე დღეს შეიცვალა ცხოველთა სამყაროს შესახებ კანონიც.

ცვლილებების მთავარი იდეა ის იყო, რომ სატყეო სააგენტოს მეტი შემოსავლის მიღების სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა. სააგენტოს მიეცა ტყითსარგებლობის, ნადირობის წებართვის გაცემის უფლება. ეს იყო, ფაქტობრივად, მთელი კანონმდებლობის შეცვლა. ტყის კოდექსში 2001-2006 წლებში ძირითადად ტექნიკური ხასიათის ცვლილებები ხორციელდებოდა, მნიშვნელოვანი ცვლილებების უმეტესობა 2009-დან დღემდეღა მიღებული. ფაქტობრივად, რევოლუციური ცვლილებებია. 2011 წელსაც ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები მიღეს, როგორც გრძელვადიანი ლიცენზიების ვადა 20-დან 49 წლამდე გაიზარდა.

2011 წლის შემოდგომაზე მთავრობა აპირებდა დაცულ ტერიტორიებში და ნითელი წესების სახეობებზე ნადირობა დაეკანონებინა. ამას ცვლილებების მთელი კასკადი მოჰყევა. ენერგეტიკის სამინისტროში მომზადებული პროექტი რომ ზედმეტი ბარიერების გარეშე გასულიყო, ინიციატივებისად დეპუტატები ანვარ ფარიძე, კუკავა და კუბლაშვილი მოგვევლინენ. მაშინ ყველა კომი-

ტეტს მივმართეთ, დონორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით ის მანც იქნა მიღწეული, რომ არ დაუშვეს ნადირობა ეროვნულ პარკებში, მოსაკრებელი 0 არ დაწესდა, ცხოველის უკანონო მოკვლაზე ჯარიმა საერთოდ არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ძირითადი მანც გაიტანეს. გარემოს დაცვის კომიტეტის წევრები ინ, როგორც წესი, ხმას არ იღებენ, ჩვენს კითხვებზე და არგუმენტებზე კი პასუხს არ გვცემენ.


2011 წელს, ფაქტობრივად, უნდა გაუქმებულიყო გარემოს დაცვის სამინისტრო, არასამთავრობოებში და დონორმა ორგანიზაციებში მივაღწიეთ იმას, რომ ფუნქციების ნაწილი მანც შეუნარჩუნდა სამინისტროს.

მთელი რიგი გადაწყვეტილებები საერთაშორისო კონვენციებსაც ეწინააღმდეგება. მაგალითად, კოლხეთის ეროვნული პარკის ნაწილისთვის სტატუსის შეცვლა ეწინააღმდეგებოდა რამსარის, ბერისა და ბომბრავალფეროვნების კონვენციებს. ორჟესის კონვენციასაც, რომელიც გაეროს ეკონომიკური კომისიის კონვენციაა, ამ ყველაფრის შედეგი პირდაპირ არ ჩანს ხოლმე, მაგრამ ქვეყანა ამისთვის პოლიტიკურ ფასს იხდის. გარემოსდაცვითი მმართველობა ზოგადი მმართველობის ნაწილია და მისი გაუარესება აისახება ქვეყნის მიმართ მისაღებ სხვა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზეც.

გარემოს დაცვის კუთხით ეს ყველაზე ცუდი პარლამენტი იყო, ფაქტობრივად თავდაყირა დადგა კანონმდებლობა. წესით, გარემოს დაცვის კომიტეტი უნდა განაპირობებდეს მის სფეროში პარლამენტის წარმატებულ საქმიანობას. მაგრამ იციან, რომ არავინ არაფერს ეკითხება, ჩემად გვისმენენ ხოლმე და შემდეგ ისევ ისე გააქვთ კანონპროექტები. ამ მხრივ მარშალის სისუსტეც იყო, არცერთს არ ამოულია წესირად ხმა, როცა ასეთი კანონპროექტები მტკიცდებოდა. **■**

# ეკინაციონალური გადამზღვევის მიზანი

ეკა მაღალდაძე



2008 წლის მოწვევის პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობიდან მედიის სფეროში განხორციელებული სამი ძირითადი ცვლილებაა ნიშანდობლივი. პირველი ცვლილებით დაკანონდა მედიამფლობელების გამჭვირვალობის ვალდებულება; მეორე ცვლილებით, ტელემაუწყებლებისთვის სარეკლამო დროის ლიმიტი გაიზარდა, მესამე ცვლილებით კი შეზღუდული ფორმით დამვალებული იქნა ეგრეთ წოდებული „მასთ ქერისა“ და „მასთ ოფერის“ პრინციპები.

მედიამესაკუთრეების შესახებ მიღებული ცვლილება მაუწყებლობის შესახებ კანონში 2011 წლის 2 მაისს ამო-

ქმედდა. კანონპროექტი იურიდიული კომიტეტის ინიცირებული იყო. საბოლოოდ, ოფშორში დარგისტრირებულ კომპანიებს მედიასაშუალებების ფლობა აეკრძალათ.

ამ ინიციატივამ უფლებადამცველთა მოწონება დაიმსახურა, თუმცა, იურისტები განმარტავდნენ, რომ კიდევ ბევრი საკითხი იყო დასარეგულირებელი, რომელსაც კანონპროექტი არ ითვალისწინებდა, ან დამატებით დამუშავებას საჭიროებდა. მაგალითად, საპარლამენტო კომიტეტების მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ინიციატივაში არაფერი იყო ნათევამი საქართველოში მოქმედი მედიასაშუალებების დაფინანსების წყა-

როების გამჭვირვალობის ვალდებულებაზე.

პროექტის ერთ-ერთი თანაავტორი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მაშინდელი მოადგილე, ჩიორა თაქთაქიშვილი განმარტავდა, რომ მედიასთან დაკავშირებით დღეს მოქმედი „ლიბერალური კანონმდებლობის“ გათვალისწინებით, პროექტის მომზადების პროცესში მსგავსი საჭიროება არ გამოვლენილა.

2011 წლის მარტში პარლამენტმა მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებები შეიტანა. კანონპროექტის ავტორები და ინიციატორები, დეპუტატები – გიორგი მელაძე, კახაბერ ან-

ჯაფარიძე და ანდრო ალავიძე იყვნენ. ცვლილება სატელევიზიო რეკლამების ხანგრძლივობისთვის დადგენილი შეზღუდვების შემცირებას გულისხმობდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, დეპუტატები ტელერეკლამისათვის დადგენილი ზღვრის გახანგრძლივებას, ანუ რეკლამისათვის უფრო მეტი დროის დათმობას მოითხოვდნენ.

კანონმდებლების განმარტებით ბარათში აღნიშნული იყო, რომ ცვლილების მიზანი, მაუწყებლობის შესახებ კანონის ლიბერალიზაცია და კანონის ევროკავშირის დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანა იყო. თუმცა, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ განმარტავდნენ, რომ მოქმედი კანონის ნორმები ამ დირექტივებს არ ეწინააღმდეგებოდა. პირიქით, იგი ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაზე უფრო მაღალ სტანდარტებს ანესებდა. ის ნაწილი კი, რომელიც მას აქამდე ეწინააღმდეგებოდა, ამ ცვლილებით, კიდევ უფრო ხარვეზიანი გახდა.

ცვლილებამდე მოქმედი ნორმებით, იყრძალებოდა რეკლამით, ან ტელეშოპინგით იმ ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, რელიგიური, წინასაარჩევნო დებატებისა და დოკუმენტური ფილმის შეწყვეტა, რომელთა ხანგრძლივობაც 30 წუთზე ნაკლებია. ახალი კანონით, ეს პერიოდი 15 წუთამდე შემცირდა. პროგრამების ხანგრძლივობის შემცირებასთან ერთად, რეკლამის ხანგრძლივობა 2,5-ჯერ, 120 წამიდან 300 წამამდე გაიზარდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაგალითად, 16-წუთიანი საინფორმაციო გამოშვების შეწყვეტა შესაძლებელია 5 წუთიანი რეკლამით. აღნიშნულ დროში არ ითვლება მაუწყებლის მიერ თავის გადაცემებთან დაკავშირებით მომზადებული ვიდეო-რგოლები, რომელთა ხანგრძლივობაც ულიმიტოა. ქართულ ტელესივირცები კი მათი რაოდენობა საკმაოდ მაღალია. შესაბამისად, ახლა უკვე კანონის ძალით შესაძლებელია, რომ, ვთქვათ, 16-წუთიან სატელევიზიო გადაცემაში რეკლამას 5 წუთი კი არა, უფრო მეტი დროც დაეთმოს.

ადრე მოქმედი საკანონმდებლო ნორ-

მებით დაუშვებელი იყო მხატვრული ფილმის, ტელეფილმის, ან ფილმის სერიის (გარდა სერიალისა ან დოკუმენტური ფილმისა) რეკლამით შეწყვეტა, თუ მისი ხანგრძლივობა 45 წუთზე ნაკლები იყო. ცვლილებების შემდეგ ეს ბარიერიც 45-დან 30 წუთამდე შემცირდა.

„ახალგაზრდა იურისტები“ განმარტავდნენ, რომ კანონმდებლების ერთ-ერთი მუხლი, ევროკავშირის დირექტივებს პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა.

ახალი კანონით, „რეკლამის ან ტელეშოპინგის მოცულობა დღე-ღამის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს მაუწყებლობის საერთო ხანგრძლივო-

**■ შეთავაზებულ კანონ-პროექტებში მედიაში არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კომპლექსური მიღებები იყო მითითებული, მაგრამ ხელისუფლებამ ამოგლევილად ამოილო მისთვის პრიორიტეტული და, ასე ვთქვათ, პიარისთვის მნიშვნელოვანი ნაწილები.**

ბის 20%-ს“. ევროკავშირის მითითებით, კი 20%-იანი ლიმიტი ერთი ასტრონომიული საათის მიხედვით ითვლება.

სტუდია „მონიტორი“, „რუსთავი 2“-სა და „იმედს“ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში სარეკლამო დროის ლიმიტის დარღვევისთვის უჩიოდა. კომისიამ 2-ჯერ გასცა სანქცია არხების ნინააღმდეგ. კანონით დადგენილი შეზღუდვების შემცირება სწორედ ამ სანქციების შემდეგ მოხდა.

საიას შეფასებით, პარლამენტის მიერ ამ ნორმის ცვლილება „სამოქალაქო კონტროლის გზით გამოვლენილი დარღვევების კანონის მეშვეობით

„გამართლება იყო“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სარეკლამო ლიმიტების გადაჭარების გამოვლენილი ფაქტები საქართველოს პარლამენტმა ლეგალურ ჩარჩოებში მოაქცია.

2012 წლის 29 ივნისს 103 ხმით 0-ის წინააღმდეგ პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში „მასთ ქერისა“ და „მასთ ოფერის“ შესახებ მომზადებული ცვლილებების პროექტი დაამტკიცა.

ე. წ. „მასთ ქერისა“ და „მასთ ოფერის“ პრინციპების დანერგვის ინიციატივა კამპანია „ეს შენ გეხება“-ს ეკუთვნის. კამპანიის ფარგლებში 30 000 ხელმოწერა შეგროვდა და საკანონმდებლო ინიციატივა მოქალაქეთა სახელით დარეგისტრირდა. კამპანიის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები ითხოვდნენ, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონს დამატებოდა მუხლი და „სავალდებულო ტრანზიტის“ ცნება დამკვიდრებულიყო.

ახალი ნორმის თანახმად, საკაბელო პროვაიდერები (ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, საკაბელო კომპანია „აიეტი“,) ვალდებული უნდა ყოფილიყვნენ, საკუთარ პაკეტში ჩაერთოთ საზოგადოებრივი მაუწყებელი, სათემო, ან/და საერთო სატელევიზიო ლიცენზიის მქონე პირი, რომელიც მაუწყებლობას ავრცელებს სიხშირით, ან სატელეტიო, თუ ეს მაუწყებლის ინტერესში შედის. ჯერ კიდევ ივნისის დასაწყისში იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარებაზე კუბლაშვილი საკაბელო კომპანიებისთვის ცველა ქართული ტელეარხის ტრანსლიტების დაგალდებულებას იმ მიზეზით ეწინააღმდეგებოდა, რომ ეს კერძო ბიზნესში ჩარევა იქნებოდა.

გარდა ამისა, კამპანიის წევრები მოითხოვდნენ, რომ „მასთ ქერის“ მოქმედება არჩევნების დღის შემდეგ, ანუ კანონით განსაზღვრულ მთელ „საარჩევნო პერიოდში“ (არჩევნების გამოცხადების დღიდან ოფიციალური შედეგების გამოცხადებამდე) გაგრძელებულიყო. თუმცა, პარლამენტმა ეს მოთხოვნა არ გაითვალისწინა.

პარლამენტმა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ნარმოდეგნილი ორი შენიშვნა გაითვალისწინა. კანონ-

ში „მასთ ოფერის“ პრინციპიც აისახა, რაც ნიშნავს იმას, რომ საკაბელო ოპერატორები არჩევნების გამოცხადების შემდეგ, სიგნალს მაუწყებელთა ნებართვის გარეშე ჩართავენ. გარდა ამისა, „მასთ ქერი“ ტელეკომპანია „კავკასიაზეც“ გავრცელდა, მიუხედავად იმისა, რომ „კავკასიის“ გავრცელების გეოგრაფიული არეალი თბილისია. კანონის მიხედვით კი, „მასთ ქერის“ პრინციპი იმ ტელეკომპანიაზე ვრცელდება, რომელიც საქართველოს ტერიოტორიის 20 %-ს ფარავს.

„მასთ ქერის“ მიღებისა და არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე მისი გაგრძელების მნიშვნელობაზე საუბრობდა აშშ-ის მაშინდელი ელჩი ჯონ ბასიც: „მასთ ქერი“ ზრდის მოქალაქებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს პარტიებისთვის თანაბარი ველის არსებობას. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ნაბიჯია. ასევე მიმართინა, რომ „მასთ ქერის“ ვადის გახანგრძლივება მთელ საარჩევნო პერიოდზე ნამდვილად განხილვის საგანი უნდა გახდეს.“

## კომენტარი

თამარ კორძაია

უურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი



გამოხატვის თავისუფლების თვალსაზრისით თუ შევაჯამებთ, ამ პარლამენტის ითხოვნიანი საქმიანობა არ შეიძლება პოზიტიურად შეფასდეს. მიუხედავად იმისა, რომ მიიღეს კანონი მედიამფლობელების გამჭვირვალობის შესახებ და ამოქმედდა „მასთ ქერის“ პრინციპი, საბოლოო ჯამში, ეს არ არის გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ მიღებული კომპლექსური გადაწყვეტილებები.

თავის დროზე ყველა ეს გადაწყვეტილება სამოქალაქო საზო-

გადოების ძალიან დიდი ბრძოლის შედეგი იყო და, რომ არა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება და ჩართვა, პარლამენტი არცერთ ამ ცვლილებას საკუთარი სურვილითა და ნებით არ მიიღებდა. ყველა ცვლილება, მართალია, მათი ინიციატივით მოხდა, მაგრამ მათი ინიციატივის საფუძველი სამოქალაქო სექტორის მიერ წარდგნილი კანონპროექტები იყო. გარდა ამისა, არცერთი ეს გადაწყვეტილება ეფექტიანი არ არის.

შეთავაზებულ კანონპროექტებში მედიაში არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კომპლექსური მიდგომები იყო მითითებული, მაგრამ ხელისუფლებამ ამოგლევილად ამოილო მისთვის პრიორიტეტული და, ასე ვთქვათ, პიარისთვის მნიშვნელოვანი ნანილები. ასე მოხდა, მაგალითად, მედიამფლობელთა გამჭვირვალობის საკითხზე მუშაობისას. კანონპროექტში, რეალურად, სხვა ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი კომპონენტიც იყო. მაგალითად, მედიასაშუალებების შემოსავლის წყაროების გამჭვირვალობა, საარჩევნო პროცესში მედიის როლის გაძლიერება, ინფორმაციის მეტი თავისუფლება... სამწუხაროდ, ხელისუფლება ამას საკუთარი „კარგი“ საქმიანობის წარმოსაჩენად იყენებდა და სინამდვილეში, პარლამენტის არცერთი ქმედება არ იყო მდგომარეობის რეალურად გაუმჯობესების მიზნით გადადგმული ნაბიჯი.

რაც შეეხება სარეკლამო დროის გაზრდას, ეს ცალსახად უარყოფითი გადაწყვეტილება იყო. თანაც, ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივას, რომელიც რეკლამის პროცენტულ გადანაწილებას საათების მიხედვით განსაზღვრავს და არა მთელი დღის მიხედვით.

კანონის ეს ნაწილი, სრულიად მოულიოდნელად, ზუსტად იმის შემდეგ შეიცვალა, რაც კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ

სტუდია „მონიტორის“ საჩივრების საფუძველზე ორჯერ გასცა სანქცია, „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ წინააღმდეგ. სარეკლამო დროზუსტად იმ პერიოდულობით გაიზარდა, რა პერიოდულობითაც ეს ორი არხი კანონს არდევედა. საეჭვო დამთხვევა მოხდა და ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაშიც პარლამენტმა ვიღაცის ინტერესების ლობირება განახორციელა და ეს ცვლილება ნამდვილად არ არის წინ გადადგმული ნაბიჯი.

დაბოლოს, „მასთ ქერისა“ და „მასთ ოფერს“ ყველანი ვაჯასებთ, რომ ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი წინასაარჩევნო პროიდში, მაგრამ ეს ისევ და ისევ პარლამენტის კომპრომისია, რადგან იყო ძალიან დიდი ზენოლა, როგორც ქართული სამოქალაქო საზოგადოების, ისე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან.

ჩვენი მოთხოვნით, „მასთ ქერი“ მაუწყებლობის შესახებ კანონის, ანუ მედიის რეგულირების სფეროს ნაწილი უნდა ყოფილიყო, მიუხედავად ამისა, პარლამენტმა ეს შეიტანა საარჩევნო კოდექსში, რაც სრულიად არარელევანტურია, ამ გადაწყვეტილებამ ყველა გააღმართავს, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებიც. „მასთ ქერი“ არ არის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი. ესაა მედიასუფეროში ცხოვრების ნაწილი, მან ქვეყანაში მედიაგარემო უნდა გააუმჯობესოს, რაც რეალურად არ მოხსდარა. ანუ ის საბოლოო მიზანი, რასაც ყველა ინიციობული ცვლილება ისახავდა მიზნიდ, პარლამენტის მიღებული გადაწყვეტილებებით ვერ იქნა მიღწეული.

მიუხედავად, ასე ვთქვათ, „გადმოგდებული“ დადებითი ტენდენციებისა, ამ პარლამენტის გადაწყვეტილებები ცალსახად ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე იყო მიღებული და არა – გამოხატვის თავისუფლების დაცვის მიზნით. **■**



ფოტო გილო პარმელავაძე

## ჩილიგიური ბაზარის განვითარების შესახებ წარმონი

თინა ყიფშიძე

2008 წლის მოწვევის პარლამენტმა 2011 წლის 5 ივლისს დაჩქარებული წესით რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონში ცვლილებები შეიტანა. ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭათ იმ რელიგიურ გაერთიანებებს, რომლებსაც „ისტორიუ-

ლი კავშირი აქვთ საქართველოსთან, ამასთან, რომლებიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით არის მიჩნეული რელიგიად“. მანამდე აღნიშნული სტატუსით მხოლოდ მართლმადიდებლური რელიგია სარგებლობდა.

ეს საკანონმდებლო ცვლილება მართლმადიდებელი საზოგადოების დიდი

ნაწილისა და ეკლესის მიერ აღქმული იქნა, როგორც მართლმადიდებლურ რელიგიასთან ბრძოლის და მისი დაკნინების მცდელობა. საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ მიღებულ ცვლილებას „მზიშვნელოვანი და საშიში“ უწოდა, და აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილების უარყოფით შედეგებს



მალაქები. ფერისცვალების დღესასწაული, თბილისი

**■ საქართველოში რელიგიური გაერთიანებები კანონის დონეზე არ იყვნენ გათანაბრებულები და ამ კანონის შემდეგ ეს ხარვეზი შეივსო.**

„ათი და ასი წლის შემდეგ დავინახავთ“. როგორც პატრიარქის, ისე საქართველოს მართლმადიდებელი საზოგადოების უმრავლესობის განსაკუთრებული უკმაყოფილება იმანაც გამოიჩინა, რომ ცვლილებები კანონში ძალიან მოკლე დროში, საეკლესიო პირებთან დისკუსიისა და კონსულტაციის გარეშე იქნა მიღებული.

„ჩვენი პოზიცია არ არის ის, რომ რელიგიებს სტატუსი არ უნდა მიეცეთ. ჩვენი პოზიციაა, დავსხდეთ მეცნიერებთან, სასულიერო პირებსა და სპეციალისტებთან ერთად და ეს საკითხი განვიხილოთ. სამწუხაროდ, კანონმდებლებმა ისე იჩქარეს, რომ კანონი ორ დღეში დამტკიცეს“, – განაცადა 7 ივლისის ქადაგებაში ილია მეორემ.

რელიგიური უმცირესობის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებმა საკანონმდებლო ცვლილება დადგებითად შეაფასეს. მათი თქმით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება სხვადასხვა რელიგიური უმცირესობისადმი სახელმწიფოს მხირდან ტოლერანტული და სეკულარული ნაბიჯი იყო.

საკანონმდებლო ცვლილებებს საქართველოში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მისიების ხელმძღვანელებიც მიესალმნენ. „რწმენის თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლება და მთავარი ევროპული ღირებულებაა“, – ნათქვამი იყო წერილობით განცხადებაში, რომელიც 14 ივლისს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ელჩიმა ფილიპ დიმიტროვმა გაავრცელა.

რელიგიური ისტერიის გამომწვევი, ზოგიერთის მიერ მორიგ სეკულარული გამარჯვებად შერაცხული ცვლილება „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ არც ასეთი დიდი მნიშვნელობის საკანონმდებლო ცვლილებად შეაფასა. ჰაინრიხ ბიოლის ფონდში გამართულ დისკუსიაზე ორგანიზაციის თავმჯდომარემ, თამარ ჩუგოშვილმა აღნიშნა:

„კანონშა რელიგიურ გაერთიანებებს მისცა შესაძლებლობა, რომ დაირჩეან „საჯარო სამართლის იურიდიული

პირი“, მაგრამ ამის მიღმა არაფერია. საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონი არ გაურცელდება რელიგიურ გაერთიანებებზე, ანუ გამოდის, რომ სტატუსი რეალურად ვერ ექნებათ. მათზე გავრცელდება კანონის ის მუხლები, რომელიც ქართული კანონმდებლობით არასამენარმეო იურიდიული პირებისთვის არის განსაზღვრული“.

არასამენარმეო იურიდიული პირის სტატუსის მიღება კი, რელიგიურ გაერთიანებებს 2005 წლიდან ისედაც შეეძლოთ.

## კომენტარი

პაატა ზაქარეიშვილი

რესპუბლიკური პარტიის წევრი



კანონმა დადებითი როლი შეასრულა რელიგიური გაერთიანებებისათვის. საქართველოში რელიგიური გაერთიანებები კანონის დონეზე არ იყვნენ გათანაბრებულები და ამ კანონის შემდეგ ეს ხარვეზი შეივსო. საკონსტიტუციის შეთანხმებით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უპირატესობა ენიჭებოდა, სხვა რელიგიური გაერთიანებებს კი არანაირი ჩამოყალიბებული სტატუსი არ ჰქონდათ. კანონში ამ ცვლილებამ რელიგიური გაერთიანებები თანასწორ მდგომარეობაში ჩააყნა, თუმცა უპირატესობა ისევ მართლმადიდებელ ეკლესიას ენიჭება.

საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესის მრევლს არ წარმოადგენენ, ცვლილების შემდეგ საკუთარი რელიგიური უფლებების რეალიზების საშუალება აქვთ. ჩემი აზრით, ეს ცვლილება უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. **■**

# წარმონაბრუნვის ინფორმაციის ღამის შესახებ

თინა ყიფშიძე



პერსონალური მონაცემების შესახებ კანონში მთავარი სირთულე იურისტებისათვის მისი ბუნდოვანებაა. კონის მიხედვით, 2013 წლიდან იქმნება პერსონალური ინფორმაციის დაცვის ინსპექტორის თანამდებობა, რომელიც პრემიერ-მინისტრმა უზდა დაამტკიცოს სპეციალური საბჭოს წარდგინების შემდეგ. ინსპექტორს საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში შეუძლია სენსიტიური პერსონალური ინფორმაციის დამუშავება, რაც მის გავრცელებასაც გულისხმობს.

ინსპექტორის აპარატი ყველა საჯარო და კერძო დაწესებულებებს თანამშრომლებისა და ბენეფიციარების პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაში კონსულ-

ტაციებს გაუწევს, განიხილავს საჩივრებს და საზოგადოებას აუხსნის, თუ როგორ ხდება ქვეყნაში პერსონალური ინფორმაციების დამუშავება. მოქალაქეთა პერსონალური ინფორმაციის გასაჯეორებისგან დაცვაც მისი მოვალეობა იქნება.

„პოლიტიკური შეხედულება, ეთნიკური და რელიგიური კუთხით და კუთხით, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სექსუალური ორიენტაცია – ეს და სხვა მსგავსი სენსიტიური პერსონალური ინფორმაცია შეიძლება გავრცელდეს საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით, თუმცა კანონში არაა დაკანონებული, რა იგულისხმება საჯარო ინტერესები, ეს კანონის ირგვლივ ბუნდოვანებას ამძაფრებს. კანონის პირვე-

■ კონვენცია ამბობს, რომ სახელმწიფომ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაუშვას სენსიტიური პერსონალური ინფორმაციის დამუშავება, თუ მას აქვს შესაბამისი გარანტია და გამოცდილება იმისა, რომ არ მოხდება მისი გამზღვნება.

ლო მოსმენის მიღების დროს შეგვპირდნენ, რომ რაღაცებს შეცვლიდნენ, თუმცა საბოლოოდ შეუცვლელად მიღდეს. კანონის მიხედვით, ჩნდება პერსონალური ინფორმაციების დაცვის ინსპექტორი, რომელსაც კომისია დამტკიცებისათვის პრემიერ-მინისტრს წარუდგენს. მიგვაჩინა, რომ ეს პარლამენტმა უნდა გააკეთოს. ამგვარად კონტროლის უფრო ეფუძნილი მექანიზმები იქნება, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ ვერტიკალში შეიძლება იყოს", – ამბობდა „ლიბერალთან“ საუბრისას იურისტი ვახუშტი მენაბდე.

კანონის შექმნის საჭიროება ევროკავშირის მოთხოვნებმა განაპირობა. გაურკვეველი იყო კერძო ორგანიზაციები რაპირად მონაცემებს ფლობდნენ. მაგრამ, როგორც იურისტები ამბობდნენ, ევროკავშირის დირექტივების სწორხაზოვანმა გადმოტანამ ქართულ რეალობაში ბუნდოვანი კანონი შექმნა.

## კომენტარი

**ვახუშტი მენაბდე**

იურისტი

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“




„პერსონალურ მონაცემთა შესახებ კანონი ევროკავშირის დირექტივის ქართული ვარიანტია, რომელიც, ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვას ეხება. ძალაში ბევრ რამები ისინი ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა ჩვენს კანონს გარკვეული სისტემური ხარვეზები გააჩნია. მისი გამარტივებებისთვის საჭიროა რამდენიმე საკანონდებლო აქტის ერთობლივი ინტერპრეტაცია.“

შემოდის პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის თანამდებობა. მას ნიშნავს არა პარლამენტი, არამედ პრემიერ-მინისტრი. არის კომისია, რომელშიც შედიან პარლამენტის ნარმობადგენლები, ხელისუფლების ნარმობადგენლები,

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ისინი შეარჩევენ კანდიდატს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენენ. ჩვენ მიგვაჩინდა, რომ ეს საკანონმდებლო ორგანომ უნდა გააკეთოს იგივე პრინციპით, როგორითაც ომბუდსმენს ნიშნავს. ბევრ ევროპულ ქვეყანაში სწორედ ასეთი მიდგომა არსებობს. რამდენადაც აღმასრულებელი ხელისუფლება ძლიერია და საკონსტუტიციო ცვლილებების შემდეგ პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი კიდევ უფრო ძლიერდება, უპრიანი იქნებოდა პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი საკანონმდებლო ხელისუფლებას დაენიშნა და ამგვარად, ის ადამიანის უფლებების დაცვაზე უფრო მეტად ორიგინტირებული იქნებოდა.

ამ კანონით პერსონალური ინფორმაციის დამუშავების საკითხი წყდება. ინფორმაციის დამუშავებაში იგულისმება მისი გავრცელებაც. თავად ფაქტი, რომ სენატიური მონაცემები მუშავდება, არ ენიაალმდეგება ადამიანის უფლებების სტანდარტებს, მაგრამ არსებობს პერსონალური მონაცემების დაცვის კონვენცია, რომელზეც საქართველოცაა მიერთებული. კონვენცია ამბობს, რომ სახელმწიფომ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაუშვას სენატიური პერსონალური ინფორმაციის დამუშავება, თუ მას აქვს შესაბამისი გარანტია და გამოცდილება იმისა, რომ არ მოხდება მისი გამუშავება. ჩვენ მიგვაჩინა, რომ ამ ეტაპზე ისეთი ფართო საფუძვლები, რომელიც კანონშია მოცემული, დაუშვებელია. ჩვენს ადმინისტრაციულ სტრუქტურებს არ აქვთ პერსონალური ინფორმაციის დამუშავების გამოცდილება, ამ კანონისა და ამგვარი რეგულირების ჩარჩოებში მუშაობის პრაქტიკა არ გვაქვს. ამიტომაც, ასეთი ფართო საფუძვლებით არ უნდა მომხდარიყო ინფორმაციის დამუშვება, მაქსიმალურად მცირე უნდა იყოს ის შემთხვევები, როდესაც პერსონალური ინფორმაციის დამუშავება შესაძლებელი იქნება. **■**



გადავითა  
**ლიბერალი**



საცავა  
გვირჩევა  
**98.5 FM**

ყოველ საშუალ დღეს  
საღამოს 7 საათზე  
რაიონ „ცხელი მოკოლადის“  
კორპორაცია

[www.facebook.com/TalkShowLiberali](http://www.facebook.com/TalkShowLiberali)

# ალენას ჩატვირთვის მართვის აკადემია

მეგის ქარდავა, დავით ჭავუა, გიორგი ავსაჯანიშვილი, ალექსანდრე თოლორდავა, გიორგი ბუტლიაშვილი, ვაჟა ცხვედიანი, ალექსანდრე მუხაძე, შოთა თოლორდავა... ეს იმ პირთა არასრული ჩამონათვალია, რომლებსაც ასობით პატიმარი წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებს, დღესდღეობით ისინი სამსახურიდან გათავისუფლებულნი არიან. თუმცა, გამოძიება დღემდე არ დაწყებულა.

### ზურაბ ვარდიაშვილი

#### მეგის ქარდავა და ალენას ნადრე მუხაძი

მეგის ქარდავას შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ბარი ახალიას მარჯვენა ხელს უწოდებენ – ექსმინისტრი ყოველთვის ცდილობდა ქარდავა გვერდით ჰყოლოდა. 2006 წელს, როდესაც ახალია სასჯელალსრულების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა, ქარდავა N7 საპყრობილის დირექტორი იყო. 2007 წელს ის უკვე სამეცნიელო-ზემო სვანეთის შეს-ს სამსარეო სამართველოს უფროსის მოადგილეა. ამავე პერიოდში სამეცნიელო-ზემო სვანეთის პროექტორად ბარი ახალიას მამა, როლანდ ახალია მუშაობდა. როდესაც ახალია თავდაცვის მინისტრი გახდა, ქარდავა სამხედრო პოლიციის უფროსად დაინიშნა, ის ახალიას შინაგან საქმეთა სამინისტროშიც თან გაჰყვა.

შე მინისტრის პოსტიდან ბარი ახალიას გადადგომის შემდეგ მეგის ქარდავა ზუგდიდში დაბრუნდა. კოლოცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერისა და მაურიტარი კანდიდატის, ირაკლი ალასანიას თქმით, ის როლანდ ახალიას საარჩევნო შტაბს არაოფიციალურად ხელმძღვანელობს. ყოფილი მინისტრის მამა, საპარლამენტო არჩევნებში ალასანიას კონკურენტია.

მეგის ქარდავა სახალხო დამცველის ანგარიშებში რამდენჯერმე მოხვდა. 2008 წლის მოხსენებაში ვეითხულობთ: „კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება ადამიანთა წამება, წამების საქმეების არაეფექტური გამოძიება, ან გამოძიებაზე საერთოდ უარის თქმა. გამოძიებას დღე-

მდე არაფერი გაუკეთებია 2008 წლის იანვარში სამეცნიელო-ზემო სვანეთის სამსარეო პოლიციაში ექიმ გოჩა ეხვაის წამებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ გოჩა ეხვაის წამებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ სამსარეო პოლიციის უფროსის თენციზ გუნავა და მისი მოადგილე მეგის ქარდავა“.

კიდევ ერთი შემთხვევა, რომელშიც მეგის ქარდავას სახელი ფიგურირებს, მალხაზ არქანიას საქმეა.

პატიმარ არქანიას მონაყოლის მიხედვით, 2011 წლის 19 მაისს N8 საპყრობილები გადაიყვანეს. „მეორე დღეს დირექტორის კაბინეტში ამიყვანეს, სადაც მეგის ქარდავა დამზღვდა, მან მითხრა, რომ ზუგდიდში მომხდარ ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით აღიარებითი ჩვენება დამენერა. მე განვუმარტე, რომ აღნიშნულ დანაშაულებთან არანაირი შეხება არ მქონია, რაზეც მან უთხრა ჩემთვის უცნობ ორ პირს, რომ ჩავეყვნე კარანტინში.

ჩავენანის დროს ისინი მირტყამდნენ. მიმიყვანეს ერთ-ერთი საკინის კართან და შემახედეს სათვალთვალოში, სადაც დავინახე, როგორ აუპატიურებდა მამაკაცი მამაკაცს. თან მუხტებით მომხდარისტულ კარგად მეყურებინა და დამემახსოვრებინა. მეუბნებოდნენ, რომ თუ არ დავწერდი აღიარებითი ჩვენებას, მეც იმავე მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი.

არქანიას თქმით, მან ჩვენება დაწერა, თუმცა ქარდავას არ მოეწონა და აიძულა ფურცელი შეეჭამა.

ქარდავას სახელი დაზვერვის პოლკოვნიკის, სერგო თეთრაძის გარდაცვალების ამბავსაც უკავშირდება. თეთრაძე 2011 წლის 17 სექტემბერს საკუთარ სახლში დააკავეს, 24 სექტემბერს კი, ოჯახს შეატყობინეს, რომ პატიმარი გლდანის საპყრობილები გულის შეტევით გარდაიცვალა.

სასჯელალსრულების სისტემის ყოფილი თანამშრომელი ვლადიმერ ბედუკაძე, რომელმაც ციხიდან წამების ამსახველი ვიდეოები გამოიტანა, თეთრაძის მკვლელობაში ბრალს ქარდავას სდებს და ამტკიცებს, რომ ყოფილი პოლკოვნიკი წამებით მოკლეს.

ბედუკაძე თეთრაძის წამებაში ქარდავასთან ერთად, ალექსანდრე მუხაძესაც ადანაშაულებს.

ალექსანდრე მუხაძე, მეტსახელად „ქილურა“ გლდანის ციხის სამურნალო დაწესებულებას ხელმძღვანელობდა, პროფესიით ექიმი მუხაძე სასჯელალსრულებით დაწესებულებაში 2006 წელს ბარი ახალიასთან ერთად მივიდა.

26 სექტემბერს N8 დაწესებულების პატიმარმა ოლეგ რამიშვილმა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ წერილი მისწერა. რამიშვილი, მისივე განცხადების მიხედვით, ადმინისტრაციასთან თანამშრომლობდა. სექტემბრის შუა რიცხვებში, სადამოს თერთმეტის ნახევარზე, ალექსანდრე მუხაძე მას დაავალა, რომ სერგო თეთრაძისგან გაეგო, ვისთან თანამშრომლობდა და ვის აწვდიდა ინფორმაციას. პატიმრის განცხადებით, ის დატოვეს საკანში,



სადაც ერთ საათში „დამუშავების“ შემდეგ თეთრაძე მასთან უნდა შეეყვანათ. როგორც რამიშვილი წერს, ამ საკიდან საკარანტინო ოთახები კარგად ჩანდა და ყველაფერი თავის თვალით დაინახა:

„მე დავინახე, როგორ შევიდნენ თეთრაძესთან ოლეგ ფაცაცია და ალექო მუხაძე, ფაცაციას ხელში ხელკეტი ეჭირა, საკაში შესვლისთანავე, მე გავიგონებ გინება, რასაც მოჰყვა თეთრაძეზე ფიზიური ზემოქმედება. ოლეგ ფაცაცია გამეტებით ურტყამდა ხელკეტს, ხოლო ალექო მუხაძე მუშტებს, და როცა დაეცემდა – წიხლებს. ეს გრძელდებოდა 15-20 წუთი“.

პატიმრის მონათხობის მიხედვით, ცემის დროს თეთრაძე დაეცა და აღარ წამომდგარა. შემდეგ ის საკაცეზე დააწვინეს და გაიყვანეს. მუხაძემ მეორე დღეს შეატყობინა, რომ თეთრაძეს გული ცუდად გაუხდა და გარდაიცვალა, „მე მივხდი, რომ ის მოკლეს“ – წერს პატიმარი.

**■ პატიმრის მონათხობის მიხედვით, ცემის დროს თეთრაძე დაეცა და აღარ წამომდგარა. შემდეგ ის საკაცეზე დააწვინეს და გაიყვანეს. მუხაძემ მეორე დღეს შეატყობინა, რომ თეთრაძეს გული ცუდად გაუხდა და გარდაიცვალა, „მე მივხდი, რომ ის მოკლეს“ – წერს პატიმარი.**

#### დავით ჭავჭავა

პატიმრების წამებისა და გაუბატიურების ამსახველი ვიდეოების გავრცელების შემდეგ, მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ ვიდრე გადადგებოდა, სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ჭავჭავა თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ჭავჭავა 2006 წელს სასჯელალსრულების დეპარტამენტის ოპერატიული განყოფილების უფროსი იყო, ამავე წელს დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის უფროსად გადაიყვანეს. 2007-2008 წლებში ამავე დეპარტამენტის უფროსის

პირველი მოადგილეა, 2009 წლიდან კი – თავმჯდომარე.

ვლადიმერ ბედუკაძის ინფორმაციით, ჭავჭავა პარაზიტული ახალაიას კადრია. ის პარტიისადმი ერთგულებითაც გამოირჩევა – მან „წაციონალურ მოძრაობას“ 9 300 ლარი შესწირა, თუმცა მმართველი პარტიის სპიკერის, ჩიორა თაქთაქიშვილის თქმით, თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ ჭავჭავას ეს თანხა უკან დაუბრუნეს. ამასთან, სასჯელალსრულების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ლირსების ორდენის მფლობელიცა.

24 სექტემბერს პრევენციის ჯგუფმა

# სამართალი

რუსთავის № სასჯელალსრულების დანესხულებაში მოშემშილე პატიმრები მოინახულა. მსჯავრდებულების სასჯელალსრულების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლების, მათ შორის, სასჯელალსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის დავით ჭავუას დასჯასაც ითხოვეთ.

## ვაჟა ცხვედიანი

ვაჟა ცხვედიანი გლდანის ციხის სამკურნალო დაწესებულების დირექტორი იყო. პატიმრები წამებაში მასაც სდებენ ბრალს. ყოფილი პატიმრის, ალექსანდრე უსოვესის თქმით, 2010 წლის ივლისში რეჟიმის უფროსმა ალექსანდრე თოლიორდავიმ, უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი ავსაჯანიშვილმა და ვაჟა ცხვედიანმა ჯგუფურად სცემეს, რის შედეგადაც ნაწილი გაუსკდა, ის ამბობს, რომ დაიკით ჭავუას ბრძანებით აწამებდნენ. უსოვესი იხსენებს, რომ 2010-ში, როდესაც რეანიმაციაში იწვა, პერიონიტით დააგადებული ადამიანი მოიყვანეს, რომელსაც ნაწილი ჰქონდა გახვრეტილი. „მას ალიარებითი ჩვენება არ ჰქონდა დაწერილი. პირადად ერბეს დირექტორი, ვაჟა ცხვედიანი ამოვიდა და ქირურგს უთხრა, თუ ოპერაციას გააკეთებ, სამსახურიდან წადიო. საათნახევარში იმ კაცება სული დალია“.

„ვაჟა ცხვედიანი დუბინკას მირტყამდა, მოიყვანეს ჩემს სახმარად „სომეხს“ – ათწლიან სროვზეა, აბსლუუზეა, კამერით იღებდა ამას უსაფრთხოების უფროსი, 24 წლის ანგაფარიძე. გულყრა დამემართა და ამან გადამარჩინა“, – ეს არის 2010 წლის 29 დეკემბრის ამონაწერი პატიმრის ახსნა-განმარტებიდან, ის ახლაც N18 სამკურნალო დაწესებულებაში იმყოფება და ეპილეფსითაა დაავადებული.

## გიორგი ავსაჯანიშვილი

ადვოკატების მონათხრობში, სახალხო დამცველის ანგარიშებში, პატიმრების ახსნა-განმარტებებში, თუ ციხიდან გამოგზავნილ წერილებში, განსაკუთრებით ხშირად მოიხსენიერა გლდანის ციხის უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი

უფროსის, გიორგი ავსაჯანიშვილის სახელი.

პატიმარი გიორგი ოქროპირიძე ექიმთან შეხვედრას ითხოვდა, როდესაც მისი მონათხრობის მიხედვით, ბეტონის იატაკზე დააგდეს და რამდენიმე ადამიანმა ცემა დაუწყო, „სახეში მირტყამდნენ გამლილ ხელს, პერიოდულად მასხამდნენ ცივ წყალს ვედროებით, დასამცირებლად, ამ დროს შემოვარდა გიორგი ავსაჯანიშვილი, რომელმაც დაიწყო ყვირილი და გინება, დაიწყო ქამრის გახსნა, და მუქარა, რომ უნდა გავეუპატიურებინე, მე ვეუპნებოდი, არ გრცხვენიათ, რას აკეთებთ, ვკვდები, ექიმი მჭირდება-მეთქი. რაზეც ავსაჯანიშვილი მოტრილდა და თქვა, ამას არაფერი უშველისო და კვლავ გაუპატიურებით დამემუქრა, ის სხვა თანამშრომლებმა გაიყვანეს, ამის შემდეგ დამაგდეს სველ იატაკზე, მუცლით, სადაც 30-40 წუთი ვიმყოფებოდი“.

სახალხო დამცველის თანამშრომლებთან საუბრისას მსგავს შემთხვევას აღნიერს, პატიმარი კახაბერ. ბ. – „მსჯავრდებულის მონათხრობით, 2011 წლის 27 ნოემბერს, ლამის საათებში, N17 დანესხულებიდან თირქმლის მწვავე შეტყვით, სასწრაფო წესით, გადმოიყვანეს N18 სამკურნალო დაწესებულებაში და მოათავსეს T-9 საკანში. მსჯავრდებულის თქმით, 2011 წლის 28 ნოემბრის საღამოს ჰქონდა გაუსაძლისი ტკივილები, რის გამოც ითხოვდა ექიმის ნახვას. მსჯავრდებულის დაუინებული თხოვნის საპასუხოდ N18 დაწესებულების თანამშრომლებმა იგი ჩაიყვანეს დაწესებულების მორგში და სასტიკად ცემეს. ამასთან, ერთ-ერთი თანამშრომელი, გიორგი ავსაჯანიშვილი, მას დაემუქრა გაუპატიურებით. კახაბერ ბ. აღნიშვნელდა, რომ ზემოაღნიშვნული ფაქტის შემდეგ იგი დაახლოებით 30-40 წუთის მანძილზე ხელებზე ბორკილდადებული მუცლით იწვა მორგის იატაკზე“, – კითხულობთ, სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშში.

მოგვიანებით პატიმარს ავსაჯანიშვილმა მუქარითა და გინებით დააწერინა, რომ დაზიანებები, რომლებიც მსჯავრდებულს აღნიშვნებოდა, მან თავად მიიყენა და რომ N18 დაწესებულების ად-

მინისტრაციის თანამშრომლების მიმართ პრეტენზია არ გააჩნდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩამოთვლილი პირების მიმართ დღემდე გამოძიება არ დაწყებულა. პრეზიდენტისა და სასჯელალსრულების მინისტრის ინიციატივით, უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი საგამძიებო კომისია, რომელიც სასჯელალსრულების სისტემაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს შეისწავლის. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ კომისია დამოუკიდებელი იურისტებისა და ფსიქოლოგებისგან უნდა დაკავშირდებულებულებეს და არა პრეზიდენტისა და მინისტრის ნდობით აღჭურვილი პირებისგან.

ამ ეტაპზე სულ დაკავშირდულია 18 ეჭვმიტანილი, მათ შორის, სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, და ციხის ორი დირექტორი.

„ეს სრულიად არასაქარისია“, – ამბობს „ლიბერალთან“ საუბარში საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე. ის იხსენებს, რომ სახალხო დამცველის ანგარიშებს „სულ თითზე ჩამოსათვლელი დეპუტატები ისმენდნენ.“ მისი თქმით, სამი წელია ის სასჯელალსრულების ყოფილი მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხს გამუდმებით აყენებდა, ხოლო შესაბამის ორგანოებს წამების ფაქტების გამოძიებისა და დეკავტური რეაგირებისგან მოუწოდებდა, „თუმცა მათი მხრიდნ მხოლოდ დემაგოგიური პასუხები ისმოდა“. სად იყო აქამდე პროკურატურა? ეს კითხვა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 19 სექტემბერს იუსტიციის მინისტრს დაუსვა.

„მსგავსი რაღაცა, ყოველთვის შეიძლება მოხდეს, მაგრამ ამ მასშტაბით, ამდენი ხანი?“, – განაგრძო მან.

იღებს თუ არა პასუხისმგებლობას საქართველოს მთავარი პროკურატურა? და რატომ არ იყენება გამოძიება იმ პირების მიმართ, რომელთაც ხელს მრავალი პატიმარი ადებს? „ლიბერალი“ ამ კითხვებზე პასუხის მიღებას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსგან ცდილობდა, თუმცა მის პრესსამსახურთან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა. ■



www.radiotavisupleba.ge



# რადიო თავისუფლება

იპოვე თავისუფლება



09:00 - 10:00

**FM 107.4**

18:00 - 19:00

15:00 - 15:45

**FM 105.9**

00:00 - 00:45

# ახასიათოვნები საკათვის პრიტჩების სისტემი

გლდანის მე-8 საპყრობილები მომხდარი წამების ფაქტების გავრცელების შემდეგ ყველამ, მათ შორის, ხელისუფლებამაც, აღიარა „სისტემური კრახი“. როგორი იყო ამ სისტემაში მოხვედრილ არასრულწლოვანთა მდგომარეობა? ირლვეოდა თუ არა მათი უფლებები? „ლიბერალი“ ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემას შეეცადა.

### ლიკა ზაკაშვილი



2012 წლის 8 აგვისტოს ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაში ბუნტი მოხდა. ინციდენტში დანექსებულების 122 მსჯავრდებულიდან უმრავლესობა მონაწილეობდა. ბუნტის ორგანიზატორი თორმეტი არასრულწლოვანი რუსთავის მე-17 საპყრობილები გადაიყვნეს.

მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პროკურატურის ინფორმაციით, 2012 წლის აგვისტოს „ბუნტის“ საქმის გამოძიება გრძელდება.

ციხის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ბუნტის მიზეზი მოზარდებს შორის დაპირისპირება გახდა. იურიდიული

დახმარების, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ ბუნტის მიზეზი ოფიციალურად ასე განმარტა: „8 აგვისტოს ზოგიერთი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ ინსპირირებული იქნა დადგენილი დღის წესრიგის უხეში დარღვევა, რამაც ინფრასტრუქტურისა

და ინგენტარის დაზიანება გამოიწვია".

სახალხო დამცველმა კოლონია 2012 წლის 9 აგვისტოს მონაბულა, რის შემდეგაც გაავრცელა სამინისტროს ოფიციალური პოზიციის საპირისპირო განცხადება. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მსჯავრდებული ბავშვების პროტესტი დანესხებულებაში ამოქმედებულ შეზღუდვებს, არასათანადო მოჰყობის შემთხვევებსა და ახალ სარეზუმო მოთხოვნებს უკავშირდებოდა.

ავჭალის დანესხებულებაში ფსიქო სარეაბილიტაციო პროგრამების განმახორციელებლი ორგანიზაციების თა-

ნარმატებული დირექტორი სასჯელალ-სრულების დეპარტამენტის მაშინდელმა უფროსმა ბაჩი ახლავამ.

თავად ხათუნა ჯაპავას თქმით, ნა-სვლაზე პატაკის დაწერა პირადად დეპარტამენტის უფროსმა სთხოვა. „ახლა მითხრა – ჩენ სხვა მეთოდით უნდა ვიმუშაოთ, „ახალი სისხლი“ უნდა შევუშვათ“, – იხსენებს „ლიბერალთან“ ხათუნა ჯაპავა.

ჯაპავას შემდეგ ავჭალის კოლონიაში დირექტორის პოზიცია მე-7 საპყრობილის დირექტორმა, რამაზ კაკუშაძემ დაიკავა. გადაუმონმებელი ინფორმა-

კოლონიაში 2010 წლამდე კრიზისული ოთახი ჰქონდა გახსნილი. ორგანიზა-ციის დირექტორი მარიამ ჯიშვარიანი რამაზ კაკუშაძეს მკაცრ მმართველად ახასიათებს და ამპობს, რომ ის კოლო-ნიაში ცეკვა აკონტროლებდა.

„არასრულწლოვნები ჰყვებიან, რომ კოლონიაში არაპუმანურ მოპყრობას ჰქონდა ადგილი. საპყრობილები იყო აუზი, სადაც აიძულებდნენ, რომ ჩაც-მულებს ებანავათ. შორტებით სიარულს უკრძალავდნენ. ჰყვებიან, რომ სცემდ-ნენ“, – აღნიშნა მარიამ ჯიშვარიანმა „ლიბერალთან“ საუბრისას.

მაია ცირამუას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანათა მარ-თლმასაჯულების რეფორმა უშუალოდ სასჯელალსრულების დეპარტამენტის თანამშრომლობით ხორციელდებოდა, სულ მალე გაჩნდა პირველი ნიშნები და ცხადი იყო, რომ რეფორმას ებრ-ძოდნენ.

„ბავშვებით მანიპულირებდნენ და ცდილობდნენ, რომ ბავშვები სიცია-ლურ მუშავებთან დაეპირისპირებინათ. იყო ეჭვი, რომ ისმინდებოდა მათი, ანუ მსჯავრდებული არასრულწლოვნისა და ფსიქოლოგის სრულიად კონფიდენცია-ლური საუბრები. ბავშვების სიმპტომე-ბითა და მდგომარეობით ვხვდებოდით, რომ ცეკვე რიგზე არ იყო. როცა ცნება „შიშზე“ არასრულწლოვანი მსჯა-ვრდებულის პირველი ასლურაცია არის „პადრაგი“, ცეკვე ისედაც ცხადია. თუმცა, ჩვენთან ურთიერთობაში მსჯა-ვრდებულებს არ დაუფიქსირებიათ, რომ მათ მიმართ არასათანადო მოპყრობას ჰქონდა ადგილი“, – ამბობს მაია ცირა-მუა.

ცემისა და არასათანადო მოპყრობაზე თავად არასრულწლოვნები საუბრობენ. არასრულწლოვანთა აღიარებები ერთ-ერთმა უფლებადამცველმა ორგანიზა-ციის მოგვაწყდა.

„ზონაში ბავშვებს ამცირებდნენ, რა-ციის ტარს ურტყამდნენ გარეთ... დიტო ხარაბაძემ და დიტო კერესელიძემ ცე-მეს“. „ბავშვებს ცემდნენ დიტო ხარაბაძე, ხუხია, დიტო კერესელიძე, რამაზ კაკუ-შაძე (დირექტორი) თამაზ ჯაჭვაძე“.

## ■ სახალხო დამცველის ანგარიშებში არასრულწლოვანთა დანესხებულებაში არასათანადო მოპყრობის მცირე რაოდენობის ფაქტები აისახა. 2010 წლის ანგარიშში ნერია, რომ „ზოგადად, არასრულწლოვანთა მიმართ დამოკიდებულება და მოპყრობა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში დამაკმაყოფილებელია“.

ნამშრომელთა თქმით, დანესხებულე-ბაში არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის დარღვევების შესახებ კინკრეტული ფაქტების შესახებ მათ-თვის ცნობილი არ იყო, თუმცა ზო-გიერთი ბავშვის ემოციური და ფსიქო-ლოგიური მდგომარეობა მიანიშნებდა, რომ კოლონიაში ბავშვთა უფლებების დაცვის ხარისხი არცოთ სახარბილო უნდა ყოფილიყო.

ხათუნა ჯაპავა კოლონიის ყოფილი დირექტორია, ის კოლონიაში 2004-2007 წლებში მუშაობდა და ამ პოსტზე ყო-ფილი იუსტიციის მინისტრის, გიორგი პაპუაშვილის გადაწყვეტილებით დაი-ნიშნა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „წამე-ბისა და მსჯავრპლთა დაცვის ცენტრის“ (GCRT) ფსიქოლოგის მაია ცირამუას თქმით, ხათუნა ჯაპავას დირექტორობის პერიოდს ბავშვები ყველაზე და-დებითად ახასიათებდნენ. თუმცა, მაია ცირამუასთვის უცნობია, რატომ გაა-თავისუფლა დაკავებული პოზიციიდან

ციით, კაკუშაძე პავლე კუბლაშვილის მამიდაშვილია და ის სისტემაში კოტე კუბლაშვილმა იუსტიციის მინისტრის მოადგილობის პერიოდში მიიყვანა. შეგახსენებთ, რომ კოტე კუბლაშვილს იუსტიციის მინისტრის მოადგილის პო-ზიცია 2000-2003 წლებში ეჭირა. 2012 წლის აგვისტოს ბუნთი კაკუშაძის დი-რექტორობის პერიოდში მოხდა, რის შემდეგაც ის სასჯელალსრულების დე-პარტამენტში გადაიყვანეს.

ხდებოდა თუ არა კაკოშაძის დირე-ქტორობის დროს ავჭალის ბავშვთა კო-ლონიაში წამების, ცემის და არასათანა-დრო მოპყრობის ფაქტები? ამ კითხვაზე არასრულწლოვანთა კოლონიაში მომუ-შავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მართალია, პირდა-პირი სამხილები არა აქვთ, თუმცა, ფი-ქრობენ, რომ ამგვარ მოპყრობას მაინც ჰქონდა ადგილი.

არასამთავრობო ორგანიზაცია წა-მების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიას“ არასრულწლოვანთა

# სამართალი

„ბუნტზე დაკითხვაზე გამომძიებელმა არ ჩაწერა ცემაზე, ეგ არაფერ შუაშიაო“.

„ავტალაში კატასტროფა იყო, კაუჭაძემ ვენტილატორი გადამარტყა თავზე, საღამოს გვცემდნენ ხოლმე ბავშვებს თამაზ ჭავაძე, დიტო ხარაბაძე და დიტო კერესელიძე.“

არასრულწლოვანთა დაწესებულებაში ფსიქოსოციალური პროგრამები 2006 წლიდან ხორციელდება. შეთანხმების თანახმად, 2010 წლიდე კოლონიაში კვირაში ორჯერ, ორი-ორი საათით შედიოდნენ „ნამებისა და მსხვერპლთა დაცვის ცენტრის“ ფსიქოლოგები.

2010 წლიდან იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, გაეროს ბავშვთა ფონდის დაფინანსებით, გადამზადდნენ ფსიქოლოგები და სოციალური მუშავები, რომლებიც ხუთი სამუშაო დღე დილი 9 საათიდან 6-მდე დაწესებულებაში ბავშვთა ფსიქორეაბილიტაციაზე მუშაობდნენ. ამჟამად ეს პროცესი დროებით შეჩერებულია, რადგან სარეაბილიტაციი სამუშაოების გამო არასრულწლოვანები სხვადასხვა სასჯელადსრულებით დაწესებულებაში არიან გადავყანილი.

რეფორმის მთავარი მიზანი თითოეული არასრულწლოვნის მიმართ ინდივიდუალური მიღებომის დანერგვა იყო. არასრულწლოვან მსჯავრდებულს უნდა ჰქონდა ინდივიდუალური სამუშაო გეგმა. შეიქმნა ე.წ. მულტიდისკიპლინური გუნდი – ექიმის, ფსიქოლოგის, სოციალური მუშავეს მონაწილეობით. ინდივიდუალური სამოქმედო გმენის შედეგნამდე ხდებოდა ბავშვის ბიოფსიქოსოციალური პორტრეტის შესწავლა, მისი საჭიროებების მოკვლევა და საჭიროებულზე დაყრდნობით მულტიდისკიპლინალური ჯგუფი გეგმავდა კონკრეტულ გეგმას.

რეფორმას, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის დაფინანსებით დაიწყო და რომელშიც სამი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო ჩართული, სასჯელადსრულების დეპარტამენტის უფროსის მრჩეველი ანტონ ქელბაქიანი ხელმძღვანელობდა.

ანტონ ქელბაქიანი 2005-2006 წლებში სახალხო დამცველის მართლმსაჯულე-

ბის სამმართველოს სპეციალისტის პოზიციაზე მუშაობდა. 2006-2009 წლებში სასჯელადსრულების დეპარტამენტის სამსახურის უფროსი იყო. 2009 წლიდან კი სასჯელადსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწევა.

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ორგანიზაცია „ემპათიის“ ხელმძღვანელის, მარიამ ჯავახარიანის თქმით, სიტუაცია 2009 წელს შეიცვალა, როცა 2009 მინისტრმა დიმიტრი შაჟენიშვილი ციხეგბში სარეაბილიტაციო საქმიანობის განხორციელების უფლება მოკლევადიანი ხელმძღვანების პირობით მისცა. ვადის ამინურების შემდეგ, ახალმა მინისტრმა ხათუნა კალმახელი-

ძემ კი „ემპათია“ ბავშვთა კოლონიაში აღარ შეუშვა, მოტივი ის იყო, რომ კოლონიაში შედიოდნენ სხვა სარეაბილიტაციო პროგრამის ფსიქოლოგები.

სახალხო დამცველის ანგარიშებში არასრულწლოვანთა დაწესებულებაში არასათანადო მოპყრობის მცირე რაოდენობის ფაქტები აისახა. 2010 წლის ანგარიშში წერია, რომ „ზოგადდა არასრულწლოვანთა მიმართ დამოკიდებულება და მოპყრობა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში დამაკმაყოფილებელა“. სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრისა და 2009 წლის საპარლამენტო მოხსენებებში მოხვდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვენები ციხის თანამშრომელთა ან პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლის გახდა.

არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა არამსამთავრობო ირგანიზაციების თქმით, ძირითადად, წინასწარი დაკავების ადგილებში ირლევოდა.

არასრულწლოვანთა მიმართ არასათანადო მოპყრობის შემთხვევები დაფიქსირდა გლდანის მერვე საპყრობილები, სადაც არასრულწლოვანთა კონტინგენტი ქალთა და არასრულწლოვანთა მე-5 დაწესებულებიდან 2010 წლის შემოდგომაზე გადაიყანეს. 19 სექტემბერს ნაჩვენები არასრულწლოვანთა წამების ამსახველი ვიდეო-კადრები გლდანის მერვე საპყრობილებია გადაღებული.

სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნული შემთხვევა უარყოფითად არის შეფასებული.

„მიუხედავად იმისა, რომ აქ არასრულწლოვენები იზოლირებულად არიან, აღნიშნული ქმედება დაუშვებელია და არღვევს საერთაშორისო სტანდარტებს. მოზრდილთა საპატიმრო დაწესებულებაში, მათი (არასრულწლოვენების) ჯანმრთელობის საჭიროებათა მონიტორინგი და გადაწყვეტა შეუძლებელია განხორციელდეს იმავე სტანდარტებითა და ხარისხით, როგორითაც წარსულში მათთვის შესაბამის ინსტიტუციაში ხდებოდა“, – წერია 2010 წლის სპეციალურ ანგარიშში. ც

## ავტალის ხორცი

► **GCRT ავტალის ბავშვთა დაწესებულებაში** 2006 წლიდან მუშაობს, მათ გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად 2010 წელს 11 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი გადამზადეს, რომლებიც კოლონიაში ყოველდღე, დღილის 9 საათიდან 6 საათამდე, ბავშვთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამით მუშაობდნენ. პროგრამა ამჟამად დროებით შეჩერებულია.

► **ავტალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულება ექსპლუატაციაში** 2002 წლიდან შევიდა. 2010 წელს ტერიტორიაზე ახალი ადმინისტრაციული კორპუსის აშენების ხარჯზე ძველი ფართი მოლინად დაეთმო სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამებს.

► **ავტალის დაწესებულებაში 2003 წელს 25 ბავშვი იყო, 2009 წლის მონაცემებით კი, იქ 160-ზე მეტი ბავშვი იხდიდა სასჯელი.**

► **2012 წლის აგვისტოს ბუნების შედეგად მიყენებული ზარალი იმდენად დიდი იყო, რომ საჭირო გახდა აგებლის დაწესებულების რეაბილიტაცია. არასრულწლოვანი მსჯავრდებულება, მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო ახლაც გლდანის მე-8 და რუსთავის მე-17 დაწესებულებაში არიან გადაყვანილები.**



[www.ucnobifm.ge](http://www.ucnobifm.ge)



განათლება

## ევროპური კონცილი ნიშნით ეკონომიკური ნაწილი

ინდუსტრიალური მარკეტინგი / 2008/2009

2005 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტმა ზოგადი განათლების შესახებ ახალი კანონი მიღებით დაიწყო განათლების სისტემის ახლებური რეფორმა, რომლის ერთ-ერთი მიზანიც სკოლების დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა იყო. 2008 წლამდე სკოლა ამ კურსით, ანუ დეცენტრალიზაციის პრინციპით ვითარდებოდა, ვექტორის შემობრუნების დროდ განათლების სფეროს წარმომადგენლები 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ პერიოდს ასახელებენ.

გია მგელაძე, სტუდია „მონიტორი“

## დეცენტრალიზაციიდან ცენტრალიზაციისკენ

2005 წელს ზოგადი განათლების შესახებ მიღებული ახალი კანონით სკოლას საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭა, რაც სკოლის ავტონომიურობის მაღალ ხარისხს განაპირობებდა. შეიქმნა სამეურვეო საბჭო, სკოლებში დირექტორის თანამდებობა არჩევითი გახდა, მთელი რიგი მინიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის უფლება მიეცა პედაგოგურ კოლექტივს, მოსწავლეთა თვითმმართველობას და მშობლებს. პედაგოგების, მოსწავლეების და მათი მშობლების სკოლის მართვაში მონაწილეობა ამ კანონის მონაპოვარი იყო. სკოლა დამოუკიდებელ სტრუქტურად ჩამოყალიბდა, მისი მართვა განათლების სამინისტროდან წამოსული დირექტორისთვის აღარ უნდა მომხდარიყო.

სიმონ ჯანაშია, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში განათლების სამინისტროში მუშაობდა, ამბობს, რომ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ მმართველ პარტიას და ხელისუფლებას სკოლის ავტონომიურობის შეზღუდვის და ცენტრალიზებულად მართვის სურვილი გაუწინდა.

„საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სახელისუფლებო პარტიას გაუწინდა პრეტეზია, რომ სისტემა აღარ ემსახურება, შესაძლებლობა აღარ არსებობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სასკოლო სისტემის გავლით უპირატესობა მოიპოვონ არჩევნებში. ამ დროს პარტიამ გაარკვია, რომ სკოლები დამოუკიდებელია, მათ აღარ ემორჩილება და ამაში ხელს უწყობს სამინისტრო და ჩაითვალა, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რომ სამინისტრო ისეთ სისტემას აგებდა, რომელიც, შესაძლოა, სახელმწიფო ინტერესების, ან, ასევე, პარტიული ინტერესების წინააღმდეგ მუშაობდა“, – ასე აფასებს პროცესს სიმონ ჯანაშია.

იგი ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს მათთვის არასასურველი დირექტორების სამსახურიდან გათავისუფლების სურვილი

გაუჩნდათ. სიმონ ჯანაშია: „ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თხოვდნენ რესურსული ტრების ხელმძღვანელებს, რომ მათთვის არასასურველი დირექტორები გაეთავისუფლებინათ, რაზეც რესურსული ტრების ხელმძღვანელები პასუხობდნენ, რომ ამისთვის არანაირი სამართლებრივი ბერკეტი არ ჰქონდათ და არც სამინისტროსან ჰქონდათ მიღებული დირექტივა, რომ დახმარებოდნენ მათ. ეს დამთავრდა იმით, რომ 2008 წელს, როდესაც დანიშნეს განათლების ახალი მინისტრი ბატონი გია ნოადია, მას დაუნიშნა პარტიამ მოადგილე, რომელიც მანამდე აჭარაში იყო განათლების მინისტრი, რომელმაც შეკრიბა რესურსული ტრების ხელმძღვანელები და პირდაპირ განუცხადა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნებში“ მათ გამო წააგო, ან ისე

ვერ გაიმარჯვა, როგორც უნდა გაემარჯვა“.

ამის შემდეგ რეფორმამ მიმართულება იცვლა. 2008 წლიდან საქართველოს პარლამენტმა ზოგადი განათლების შესახებ კანონში 30-მდე ცვლილება შეიტანა. განათლების სფეროს ექსპერტები ამბობენ, რომ ამ ცვლილებებით 2005 წელს აღებული კურსი შეიცვალა და რეფორმა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სკოლის ავტონომიურობა იყო, წარსულს ჩაბარდა.

საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი მოცემულია წიგნში, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ მიამზადა. გამოცემა განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებზე შვიდი ავტორის ანალიზს აერთიანებს.

ერთ-ერთი ავტორი, იურისტი გიორგი მშევნიერაძე: „2005 წელს მიღებული კანონი სკოლას აძლევდა მაღალ ავტონომიურობას, ხოლო დღევანდელი მდგომარეობით არსებული კანონი არის ბევრად უფრო ცენტრალიზაციისკენ მიმართული, ანუ განათლების სამინისტრო გაცილებით მეტ საკითხში ერევა სკოლის საქმიანობაში, ვიდრე ეს იყო გათვალისწინებული თავდაპირველად კანონის მიღების დროს“.

2008 წლიდან პარლამენტის მიერ ზოგადი განათლების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებიდან თქვენს ყურადღებას რამდენიმეზე შევაჩერებთ.

## სკოლის დირექტორები

ერთ-ერთი პირველი ცვლილება სკოლის დირექტორებს ეხება, ცვლილებამ შესაძლებელი გახადა სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის დირექტორობის იმ კანდიდატის განმეორებით წარდგენა, რომელიც დირექტორად სკოლის სამეურვე საბჭომ ერთხელ უკვე არ აირჩია.

„ბუნებრივია, თუკი საბჭომ ერთხელ უკვე იმსჯელა და უარი განაცხადა დირექტორის დანიშვნაზე, ამავე კანდიდატის მეორედ წარდგენა, სავარაუდოდ, გარკვეული ზეგავლენის მატარებელი უნდა ყოფილიყო სამეურვეო

### საქართველოს პოლიტიკა

სიმონ ჯანაშია, ექსპერტი განათლების საკითხებში: „2005 წელს იყო პალიტიკა, რომ სკოლები ყოფილიყვნენ რაც შეიძლება, ავტონომიურები და სახელმწიფო ცდილობდა, რომ საზოგადოებას აულო პასუხისმგებლობა საკუთარი მოქალაქეების განათლებაზე. მას შემდეგ, რაც საზოგადოების დიდმა ნანილმა გამოხატა უკამაყოფლება ამ პასუხისმგებლობს გამო და მას შემდეგ, რაც პარტიამ დაინახა, რომ მათ ხელისუფლებაში ყოფნას საფრთხეს უქმნიდა ასეთი სისტემა, და ზოგ შემთხვევებში, საერთოდ, დადებითი ცვლილებების განხორციელებასაც კი ხელს უშლიდა, გადაწყვიტა, რომ აერჩია სხვა პოლიტიკა. ეს არის ცენტრალიზებულად სისხლეების დანერგვის პოლიტიკა, როდესაც გადაწყვეტილები მიღება ცნობში და შემდეგ სკოლას ევალება ამ გადაწყვეტილებების განხორციელება, მოუხედავად იმისა, ეთანხმებიან, თუ არა ისინი ამ გადაწყვეტილებებს არა, საერთოდ, ამ გადაწყვეტილებების მიღება სკოლის დონეზე“.

## უკრაინის უნივერსიტეტი

საბჭოზე. არა მგონია, ორმ ორი კვირის, ან სამი კვირის შუალედში რაიმე ძირებული გადაფასება მომხდარიყო საბჭოს წევრების მსოფლიხმედველობაში, ან გადაფასებაში დირექტორობის გარკვეული კანდიდატის მიმართ“, – ამბოს გიორგი მშვინიერაძე.

მეორე მნიშვნელოვანი ცვლილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის უფლება მიენიჭა. ასევე, უფლება მიეცა ახალი დირექტორის არჩევამდე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი დანიშნოს. ნიშანდობლივია ის, რომ საქართველოს სკოლების დიდ ნაწილს დღეს სწორედ სამინისტროს მიერ დანიშნული მოვალეობის შემსრულებლები მართავენ. ამ ცვლილებებს უარყო-

ფითად აფასებს გიორგი გახელაძე,  
რომელიც განათლების სფეროს ექს-  
პერტია და იღიას სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტის მუშაობას:

„აღმოჩნდება, რომ სკოლაში არის ან ფინანსური, ან იურიდიული, ან ადმინისტრაციული დარღვევები, შესაბამისად, დირექტორების გათავისუფლების საკითხი დგება. ამასობაში ეშველება სამინისტროს მის მიერვე ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილება და მას უმარტივდება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გაგზავნა. ეს კი ნიშნავს, რომ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წარგზავნა წინამორბედი დირექტორის შესაცვლელად განათლებისა და მცნივერების სამინისტროს დღევანდელი ხელმძღვანელობის საკადრო პლანიტიკის წარმატება.

მათვეის სანდო ადამიანების უფრო  
მეტად ჩასანერგად სასკოლო სისტემა-  
ში“, – მიაჩნია გიორგი გახელაძეს.

სპოლის სამეცნიერო საბჭო

შემდეგი ცვლილებებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გაუწინდა უფლებამოსილება, გაფრთხილების გარეშე დაითხოვოს საჯარო სკოლის სამეცნიერო საბჭო. ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლება მიეცა ყველა საჯარო სკოლის სამეცნიერო საბჭოში ერთ წევრი დანიშნონს, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცენტრალური აპარატის წარმომადგენელი, კანონის ძველი რედაქციით ასეთი წევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარდგინებით ინიშნებოდა.

„კანონის 2005 წლის თავდპირველი რედაქციით სამინისტროს ჰქონდა სკოლის სამეურვეო საბჭოს დათხოვნის უფლება, მაგრამ ძალიან მკაცრად დაფგენილი პირობების შემთხვევაში: ეს შეიძლებოდა მომხდარიყო ნინასნარი გაფრთხილების შემდეგ, ასევე, ორჯერ ზედიზედ გადაწყვეტილების მიუღებლობა შეიძლებოდა გამხდარიყო სამინისტროს მიერ საბჭოს დათხოვნისა და ხელახალი არჩევის საფუძველი. ახლანდელ ცვლილებათა პაკეტში სამეურვეო საბჭოს დათხოვნა ბევრად უფრო გამარტივებული სამინისტროსთვის, ეს კი ნიშნავს, რომ სკოლის თვითმმართველობა და ავტონომია სახელმწიფოს მხრიდან იღახება“, – ამბობს ახელოაძე.

მომდევნო ცვლილებით სამეურვო  
საბჭოს ის წევრი, რომელიც ადგილო-  
ბრივ თვითმმართველობას წარმოად-  
გეს, შესაძლებელია არჩეული იყოს  
სამეურვეო საბჭოს თაგმჯდომარედ.  
იურისტი გიორგი მშვენიერაძე ამბობს,  
რომ ეს ცვლილებები სკოლის დამოუ-  
კიდებლობაზე პირდაპირ აისახა.

„სამინისტრომ აარჩია გზა, როდესაც  
მისთვის სანდო პირები, წარმომადგენ-  
ლები, ამ სიტყვის ნამდვილი გაეგებით,  
მიავლინა სამეურვეო საბჭოებში. ისი-

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՇՄԱԽԱՐԴԱՐԱՎՈՐՈՒԹՅՈՒՆ

**2008 წლის შემდეგ ზოგადი განათლების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების ნაწილი ასე გამოიყურება:**

1. შესაძლებელი გახდა სამეცნიერო საბჭოსათვის დირექტორობის იმ კან-დიდატის განმეორებით წარდგნა, რომელიც დი-რექტორად სამეცნიერო საბჭომ ერთხელ უკვე არ აირჩია;
2. საქართველოს განა-თლებისა და მეცნიერების მინისტრს დირექტო-რის უფლებამოსილების შეწყვეტის უფლება მიენიჭა;
3. განათლებისა და მეც-ნიერების სამინისტროს გაუზრინდა უფლებამოსი-ლება, გაფრთხობილების გარეშე დათხოვოს სა-ჯარო სკოლის სამეცნი-
- ვეო საბჭო;
5. შეიცვალა სახელმწი-ფო ზოგადსაგანმანა-თლებლო დაწესებუ-ლებებზე სახელმწიფო კონტროლის ცნება.
- სკოლა ვალდებული გახდა შეასრულოს განათლების სამინის-ტროს ინდივიდუალური აღმინისტრაციულ - სა-მართლებრივი აქტები;
7. განათლებისა და მეც-ნიერების სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსი-ლება;
8. ახალი დირექტორის არჩევამდე დირექტორის მოვალეობის შემსრულე-ბელი დანიშნოს;
9. განათლებისა და მეც-ნიერების სამინისტრო გაუზრინდა უფლებამოსი-ლება, გაფრთხობილების გარეშე დათხოვოს სა-ჯარო სკოლის სამეცნი-
- ებოში ერთ წევრს, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს საქართვე-ლოს განათლებისა და მეცნიერების სამინის-ტროს ცენტრალური აპა-რატის წარმომადგენლი ან პირი საქართველოს განათლებისა და მეც-ნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო-ების საშტატო განრიგით გათვალისწინებული შემადგენლობიდან. განსხვავებით კანონის ძეგლი რედაქციისა-გან, ასეთი წევრი ალარინიშნება საზოგადოე-ბრივი ორგანიზაციების წარდგინებით;
10. სამეცნიერო საბჭოს ის წევრი, რომელიც ადგილობრივი თვითმმარ-თველობას წარმოადგენს, შესაძლებელია არჩეული იყოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ.

ნი, შეიძლება, არ იღებენ პირდაპირ გადაწყვეტილებებს, ფაქტობრივად, რა ხდება სამეურვეო საბჭოებში, ჩემთვის დღესდღეობით უცნობია, მაგრამ გარკვეულ როლს მაინც თამაშობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათ აქვთ სათათბირო ხმის უფლება და მათი იქ ყოფნა, შეიძლება, გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდეს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის კუთხით სამეურვეო საბჭოებს“, – ამბობს მშვენიერაძე.

## სკოლებს ევალებათ განათლების სამინისტროს ნორმატული ართების შესრულება

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებით, საჯარო სკოლებს განათლების სამინისტროში გამოცემული ყველა ნორმატული აქტის შესრულების ვალდებულება დაეკისრა. ამ ცვლილებას ასევე უარყოფითად აფასებენ განათლების სფეროში მომუშავე ადამიანები. თამარ მოსახლეობი „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ თანამშრომელი და განათლებს სფეროს ექსპერტია. იგი ზემოხსენებული წიგნის ერთ-ერთი ავტორიც არის.

„რატომდაც შაჟინმა გადაწყვიტა, რომ 2000-მდე სკოლის მართვა შესაძლებელია განათლების სამინისტროდან გაცემული დირექტივების საფუძველზე და ყველა სკოლამ უნდა შეასრულოს განათლების სამინისტროს დირექტივები. ამის შედეგად დაიკარგა ორიენტირი სკოლის საჭიროებებზე“, – ამბობს მოსახლეობი.

2010 წლის 12 ნოემბერს განათლების მინისტრმა დიმიტრი შეგინმა გამოსცა ბრძანება N837, რომელიც ყველა საჯარო სკოლისთვის სავალდებულო შესასრულებლია. ბრძანების მიხედვით, კერძო პირებს და იურიდიულ ორგანიზაციებს სკოლებში შესვლა შეზღუდათ: „სკოლებში ლექციები, სემინარები, ტრენინგები უნდა ჩატარდეს მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით“, წერია ბრძანება N837-ში.

„სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელის, ია ანთაძის

თქმით, ამ ბრძანებამ სკოლა დახურა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო პირებისათვის. ანუ, თუკი მათ სურთ სკოლაში ტრენინგების ჩატარება, ან რამე სხვა სასარგებლო საქმიანობის განხორციელება, ნებართვა დირექტორისა და სამეურვეო საბჭოსგან კი არა, განათლების სამინისტროსგან უნდა ითხოვონ. სამინისტრო, კი როგორც წესი, ასეთ თხოვნებს არ აკმაყოფილებს.

„ჩვენმა ორგანიზაციამ რა თხოვნითაც მიმართა განათლების სამინის-

**■ მანდატური უფლებამოსილია, დაესწროს სკოლის სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის და სააპელაციო კომიტეტის სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით. ისინი დარღვევებს აფიქსირებენ, ოქმში აღწერენ და დირექტორის სთხოვენ რეაგირებას. თუ დირექტორი არ რეაგირებს, მანდატურები სამინისტროს აყენებენ საქმის კურსში“.**

ტროს, ყველაფერზე უარი მიიღო; და მეორე, იმ საკითხებზეც კი, რაც არ არის მითითებული ამ ბრძანებაში, მაინც გაიძულებენ, რომ მიმართო სამინისტროს ნებართვის თხოვნით“, – ამბობს ანთაძე.

837-ე ბრძანების გამოცემის პარალელურად, საჯარო სკოლები უურნალისტების აბსოლუტური უმრავლესობისთვის ჩაიკეტა, სკოლებში ვიდეო გადაღების უფლების მოთხოვნისას სკოლის ადმინისტრაცია უარს ამბობს და უურნალისტებს საგანმანათლებლო რესურსცენტრებში, ან განათლების

სამინისტროში ამისამართებს.

ერთ-ერთი ბოლო შემთხვევა ხაშურის რაიონში მოხდა, როდესაც „ქართლი-ჯი“-ს უურნალისტები ხაშურის ერთ-ერთ სკოლაში არ შეუშევს. ჩვენ ხაშურის რესურსცენტრის ხელმძღვანელს ვკითხეთ, რატომ არ გვაძლევდნენ გადაღების უფლებას და ვთხოვეთ ენახებინა ის დოკუმენტი, რომელიც სამინისტროსა და რესურსცენტრის თანხმობის გარეშე, სკოლის დირექტორს უკრძალავს სკოლაში უურნალისტების შეშვებას.

ხაშურის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა დარეჯან გუგბერიძემ პირად საუპარში დაგვიდასტურა ასეთი დოკუმენტის არსებობა: „მე შემიძლია გამოვითოთ ეს დოკუმენტი“, – გვითხრა მან. თუმცა, საბოლოოდ მან მსგავსი შინაარსის დოკუმენტი ვერ წარმოგვიდგინა.

## მანდატური

საქართველოს პარლამენტის მიერ 2010 წლის 21 ივნისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით განათლების სისტემაში ახალი სტრუქტურა – მანდატურის სამსახური – გაჩინდა. განათლების სამინისტრომ ახალი ინსტიტუტის ფართომასშტაბიანი პიარი წარმოიწყო. მანდატურები თავდაპირველად დედაქალაქის შევიდ სკოლაში შევიდნენ, მოგვიანებით, მათ თბილისის და საქართველოს დიდი ქალაქების სკოლების უმრავლესობა მოიცვეს, მალე მანდატური საქართველოს ყველა სკოლაში შევა.

კანონმა მანდატურები ფართო უფლებებით აღჭურება: მანდატურებს ევალებათ სკოლის შიდა და გარეპერიმეტრის კონტროლი, სკოლაში გამოვლენილი სამართლდარღვევის ადგენერაცია, სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობა, მათ ქცევაზე დაკირვება და კონტროლი, სკოლაში გამოვლენილი დარღვევების ელექტრონული სისტემაციონი ბაზის შექმნა.

მანდატური უფლებამოსილია, დაესწროს სკოლის სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინულ-

## უკრაინის ური გამოციება

რო კომიტეტის და სააპელაციო კო-  
მიტეტის სხდომებს სათაობირო ხმის  
უფლებით. ისინი დარღვევებს აფიქსი-  
რებენ, ოქმი აღნერენ და დირექტორს  
სთხოვენ რეაგირებას. თუ დირექტორი  
არ რეაგირებს, მანდატურები სამინის-  
ტროს აყრინებენ საქმის კურსში”.

ექსპერტების თქმით, ზემოთ ჩა-  
მოთვლილი ფუნქციების შესასრუ-  
ლებლად მანდატურს ერთდროულად  
დასჭირდება ფსიქოლოგის, სოციმუ-  
შაჟის, ექიმის უნარ-ჩვევები და კვალი-  
ფიკაცია.

როგორ ამზადებენ მანდატურებს? ამ შემთხვევაში კანონი ლომბიერია. მანდატური შეიძლება გახდეს 20 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე. მას, საკმარისია, ჰქონდეს საშუალო განათლება და მუშაობისთვის აუცილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობა. მანდატურად დანიშვნისთვის სამი ეტაპი უნდა გაიარო: ჩააბარო ტესტი უნარ-ჩვევებში, გაიარო გასაუბრება და პილიციის აკადემიაში სამკირიანი გადამზადების კურსი.

„ეს როლი რომ შეასრულოს, მანდა-ტურს უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგის და სოციალურის ცოდნა და უნარ-ჩვევები. ბავშვის განვითარების კანონზომიერება უნდა იცოდეს და ეს არაა ადვილი, ამ ცოდნას სამყვირიან ტრენინგებზე ვერ მიიღებს. უნდა ჰქონდეს კონფლიქტების დარეგულირების უნარი, ამის სწავლაც სამ კვირაში შეუძლებელია. მას უნდა ჰქონდეს მშობლებთან ურთიერთობას უნარი, შეეძლოს რთულ ბავშვებთან ურთიერთობა, სამ კვირაში ვერც ამის სწავლა მოხერხდება“, – ამბობს თამარ მოსახლეობა.

ମୋଜ୍ବେଦାଙ୍କ ଯ୍ୟାକ୍ସପେର୍ଟ୍ରେବିଳ୍ ଅସେତି  
ସ୍କେପ୍ଟ୍ରିଓଫିଲ୍ଡିମିସା, ଗାନ୍ଦାତଲ୍ଲେବିଳ୍ ସାମିନିସ-  
ତିରନ୍ମ ମାନ୍ଦାତ୍ୟୁରିସ ଇନ୍ସଟିକ୍ୟୁଟିଵ୍ ଶେ-  
ଜ୍ମନିଧାନ ମାଲ୍‌ଏସ୍ ଗାବାର୍ଜ୍‌ପ୍ରେଲା ନିଷ୍ଠାନ-  
ମାତ୍ରା ମିଳିବ ଯେକ୍ଷଣିଆନ୍ଦେବିଳ୍ ଶେସାଥେବ.  
ତ୍ରୈଲ୍‌ଗାର୍କେବିଟ ଫାରିରାଲିଂଡା କ୍ଲାପିନ୍,  
ମାଶିନ ଗାମ୍‌ପ୍ରେର୍ବନ୍‌ପ୍ରେଲା ସତ୍ରାତ୍ମିଳିଟ୍‌ପ୍ରେର୍ବନ୍  
ମନ୍‌ମାର୍କେଟିବି ଗ୍ରାମପ୍ରନ୍ଦେବା, ରନ୍ଦ ମାନ-  
ଭ୍ୟୁରିବ ଇନ୍ସଟିକ୍ୟୁଟିଵ୍ ଶେମର୍‌ଲେବିଳ୍ ଶେ-  
ମ୍ଭେଦ୍ରେ “95%-ଟ ଶେମିପ୍ରିଣ୍ଟା ଦାଲାଫନ୍ଦେବିଳ୍,  
82%-ଟ - ଫିଲ୍ଡ ଇରାଲିବ ପ୍ରାର୍ଥେବିଳ୍ ଅବ  
98%-ଟ - ଗାନ୍ଦାଲାଲିନ୍ଦୀବ ଫାର୍ମିଟିବିଳ୍”.

რას ეყრდნობა კლაბში მოტანილი  
ციფრები, ჩატარდა თუ არა გამოკვ-  
ლევა, ვინ ჩაატარა? რა მეთოდოლო-  
გით? ამ კითხვებზე პასუხს სტუდია  
„მონიტორმა“ ვერც მანდატურის სამ-  
სახურის და ვერც განათლების სამი-  
ნისტროს ვებგვერდზე ვერ მიაკვლა. ამ  
ანფორმაციის მიღებას განათლე-  
ბის სამინისტროსადმი არაერთი მი-  
მართვის გზით ცდილობდა უურნალი  
„ლიბერალიც“. ოგონც უურნალისტი  
ლიკა ზაკაშვილი აღნიშნავს, „ლიბერა-  
ლისათვის“ სამინისტროდან გაცემულ  
პასუხებში აღნიშნული იყო, რომ სამი-  
ნისტროს მიერ სკოლაში დანაშაულის  
შემცირების შესახებ სტატისტიკური  
ინფორმაციის მოპოვების მეთოდოლო-  
გია პედაგოგებსა და დირექტორებთან  
ჯასაუბრება ყოფილა.

დღესდღობით ყველა საჯარო  
სკოლა ვალდებულია ხელშეკრულე-

"ԵՐԱԾՈՒՅՆՈՒԹՅՈՒՆ"

სამინისტროს და, ზოგადად, სახელმწიფოს სისტემის პოლიტიკის ერთ-ერთ დადასტურებად განათლების სფეროს ექსპერტები 53-ე სკოლიდან მოსწავლის, მიხეილ ალექსიძის გარიცხვას ასახელებენ. ალექსიძე სკოლი-დან დირექტორის, ტარას შავშემვილის-თვის შეურაცხვოვის მიყენების ბრალ-დებით გრიცხეს. ალექსიძის ნინააღმდეგ სახელმწიფო მანეჯანის ზენოლის ერთ-ერთი მაგალითია პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსკვლა, სადაც მე-12 კლასელი პრეზიდენტია ხულიგანად მოიხსენია:

„ერთი ხულიგანი, რომელიც გარიცხვს 53-ე სკოლიდან მისათვის, რომ დირექტორზე გაიქაჩა და მერე თქვა, ვაკეში თუ არ ვისწავლე, ისე არსად არ ვისწავლო...“ ალექსიძის საქმეზე გახმაურებული სასამართლო განხილვა მიმდინარეობდა, თუმცა შეწყდა.

53-ე სკოლის მე-12 კლასელებმა ალექსიძის სკოლიდან გარიცხვას პერფორმანსი მიუღდენეს. როგორც თვალი ამბობენ, აგ გზით მათ სკოლაში არსებული გაძლიერებული კონტროლი, შიში და თავისუფალი აზრის შეზღუდვა გაპროტესტება.

და გაფორმოს საგანმანათლებლო  
მანდატურის სამსახურთან, რომე-  
ლიც განათლების სამინისტროს უძუ-  
ალო დაქვემდებარებაშია. სამსახურის  
უფროსს განათლების მინისტრი ნიშნა-  
ვს და ათავისუფლებს. სკოლებში გან-  
ხორციელებული საქმიანობის შესახებ  
მანდატურების ანგარიშსაც განათლე-  
ბის სამინისტრო იბარებს.

„ეს არ არის კარგი, იმიტომ, რომ  
სკოლაში მიმდინარე საქმიანობების  
შესახებ პასუხისმგებელია სკოლის დი-  
რექტორი და, უკებ, სკოლაში ჩნდება  
მეორე ადამიანი, რომელსაც აქვს იგი-  
ვე ფუნქცია, რომელიც პარალელურად  
წერს ოქმებს და ამ ოქმებს აგზავნის  
სხვაგან“, – ამშობს თამარ მოსიაშვი-  
ლი.

„სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ პროექტის ფარგლებში უურნალისტმა ლიკა ზაკაშვილმა, მანდატურების შესახებ მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების მონათხრობები შეაგროვა და წიგნში ასახა. მოძიებული მაგალითების გაანალიზების შემდეგ ლიკა ზაკაშვილი მიიჩნევს, რომ სკოლაში მანდატურების შესვლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი კონტროლის გამკაცრებაა.

„სამინისტროს უნდა, რომ გააძლიეროს კონტროლი საჯარო სკოლებზე, ანუ უნდა, რომ ზედმინევნით იცოდეს ყველაფერი: რაზე საუბრობენ, ვის როგორი აზრი აქვს, ვინ როგორი პედაგოგია, რომელი დირექტორი რა დონეზე ფლობს სკოლაში არსებულ სიტუაციას. მანდატურის ინსტიტუტი ძალიან ბევრმა გაიგო, როგორც ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც მხოლოდ იმიტომ შევიდა სკოლაში, რომ უფრო კარგად გააკონტროლოს სკოლის ყოველდღიურობა და უფრო დეტალური ინფორმაცია მიიტანონ მავანამდე, ამ შემთხვევაში განათლების სამინისტრომთა“ – ამიტომს უზრუნველისადი

ზემოთ განხილულ საკითხებზე სტუ-  
დია „მონიტორმა“ განათლების სა-  
მინისტროს კომენტარი წერილობით  
სთხოვა, შემდგომ პრესსამსახურის  
მაშინდელ უფროსს ნინო პოტრუე-  
ბსკაიას ტელეფონითაც დავკავშირ-

დით. მან გვითხრა, რომ წერილი არ მისვლია. პოტრუებსკაიამ ტელეფონი გაგვითიშა მას შემდეგ, რაც დაუუსვით შეკითხვა, თუ როგორ შეიძლებოდა მისთვის შეკითხვების მიწოდება, გარდა იმისა, რომ ათი დღის წინ კანცელარიაში ოფიციალურად რეგისტრირებული წერილი ჩავაბარეთ.

**დიმიტრი ჭავჭავაძე: „სკოლა შეძის განათლების ერთ სისტემაში“**

სკოლების ცენტრალურ მართვა-ზე განათლების ყოფილი მინისტრის კომენტარი ინტერნეტში მოვიძიეთ, დიმიტრი შაშვინი პირველი არხის ეთერში უურნალისტ დავით პაიჭაძის შეკითხვებს პასუხობდა. პაიჭაძის კითხვაზე, თუ რატომ სჭირდებათ სკოლის დირექტორებს სამინისტროსგან სანქცია, რომ უურნალისტების შეკითხვას პასუხი გასცენ, შაშვინმა უპა-

სუხა: „შეიძლება უურნალისტი დირექტორს უსვამს შეკითხვას, რომელიც ეხება სამინისტროს კომპეტენციას. იმისათვის, რომ ჩვენ ეს ინფორმაცია დროულად მივაწოდოთ. ეს არის შეტყობინება და კომუნიკაცია...“

დავით პაიჭაძემ აღნიშნა, რომ ხშირად დირექტორები სამინისტროს ნებართვას ელოდებიან ისეთ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, რომელიც შიდა სასკოლო პრობლემებს ეხება. ამაზე შაშვინმა უპასუხა: „როდესაც თქვენ ნებისმიერ სხვა სამინისტროს სტრუქტურას მიმართავთ, უურნალისტებს სთხოვენ, რომ დაუკავშირდნენ პრესცენტრის, ამისთვის ეს ხალხი იღებს ხელფას...“

„ჰო, მაგრამ, ჩვენ სკოლას მივმართავთ და არა – სამინისტროს, სკოლა 2000-ია, ბატონო დიმიტრი“, – აღნიშნა დავით პაიჭაძემ. „მესმის, მაგრამ სკოლა შედის ერთ სისტემაში, განათლების სამინისტროს მიერ სკოლის მაქსიმალურად ჩაკეტვა – ეს პრობლემები საზოგადოების თითოეულ წევრს ეხება. განათლების სფეროში მომუშავე ექსპერტების შეფასებით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად საქართველოში განათლების სისტემა ერთ-ერთ ყველაზე გაუმჯვირვალე სისტემად იქცა. **■**

ბის სისტემაში და აქედან გამომდინარე, არსებობს პრესცენტრი. ჩვენ, ახლა, 2000 პრესცენტრს ხომ ვერ დავნიშნავთ? უბრალოდ, დირექტორი მიმართავს სამინისტროს პრესცენტრს, რომ ის დაეხმაროს, მეტი არაფერი“, – ასეთი იყო შაშვინის პასუხი.

საქართველოში 2000-ზე მეტი სკოლა, ნახევარ მილიონზე მეტი მოსწავლე და 60 ათასი მასწავლებელია. სკოლებიდან პედაგოგების პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება, სკოლის ადმინისტრაციის ფუნქციების შეზღუდვა, განათლების სამინისტროს მიერ სკოლის მაქსიმალურად ჩაკეტვა – ეს პრობლემები საზოგადოების თითოეულ წევრს ეხება. განათლების სფეროში მომუშავე ექსპერტების შეფასებით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად საქართველოში განათლების სისტემა ერთ-ერთ ყველაზე გაუმჯვირვალე სისტემად იქცა. **■**

*Radio Commersant*

marketing@commersant.ge  
+995 32 2505 955



ბიზნესის პარსონალური რალიო

Commersant.ge

ფინანსურის  
მინისტრი

# სტულანშვაბი ცისტემის ნინაოლიგი





## ფოტორეპორტაჟი



ამინა დავით ცხვარაშვილი



ამინა დავით ცხვარაშვილი



ალექსანდრე გელაშვილი



ალექსანდრე გელაშვილი

## ვოთონირეალიტაზი



ფოტო 2010წლის 09.08.2010



ფოტო 2010წლის 09.08.2010





# მახას, ახ მახას, ვიცი!

ბექა დავითულიანი

1. მე მჯერა, რომ „ქართულ ოცნებას“ უამრავი წევრი ჰყავს, რომლებიც ვიღლაცების გადაბირგბას ცდილობენ. არ მჯერა, რომ ბიძინა ივანიშვილი ამას მაინცდამაინც თავის ძმისშვილს დაავალებდა. ვიცი, რომ ამომრჩევლის მოსყიდვა კანონით დასჯადი ქმედებაა, ისევე როგორც, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და მოქალაქეების დაშინება.

2. მჯერა, რომ გოგა ხაინდრავა საფრანგეთში ყოფილიას „ქურდ“ მეგობარს მოინახულებდა. არ მჯერა, რომ საფრანგეთის უანდარმერია ოფიციალურ წერილში „მხედრიონს“ ახსენებდა. ვიცი, რომ ბავშვობის მეგობარი იმიჯზე

არ იცვლება და ისიც ვიცი, რომ დღევანდელი კულტურის მინისტრი ჯაბა იოსელიანის მარჯვენა ხელი იყო.

3. მჯერა, რომ ტელეკომპანია „იმედი“ საქართველოს ხელისუფლებას ნერვებს უშლიდა, რომ ისინი ბადრი პატარკაციშვილს პირად მტრად თვლიდნენ, მაგრამ არ მჯერა, რომ პრობლემა ტელევიზიზაში იყო და არა თავად ხელისუფლებაში. ვიცი, რომ ბადრი და ზურაბ ჟვანია მეგობრობდნენ და დღეს ორივე გარდაცვლილია.

4. მჯერა, რომ გუბაზ სანიკიძეს შეეძლო ქურდის ციხიდან დახსნაზე გარჯილიყო, შესაძლოა ალბინოსობის შესახებ ამაზრზენი „სამედიცინო“

დასკვნებიც ჰქონოდა, ფულის შოვნისა და მილიონერობის სურვილიც (ამაზე ბევრი ჩვენგანიც ოცნებობს), მაგრამ არ მჯერა, რომ თავის ქვეყანას ფული ურჩევნია, არ მგონია ასე იყოს აღზრდილი, თანაც ვიცი, რომ მშოვნელი აქამდეც იშოვიდა.

5. მჯერა, რომ ეკა ბეჭედია შეიძლება ქუცნაშვილს დასცინოდეს, არ მჯერა, რომ ზაქრო იგივეს არ კადრულობს, ვიცი, რომ ჩემთვის ამას არავთარი მნიშვნელობა არ აქვს.

6. მჯერა, რომ ხუხაშვილს შეიძლება რესპუბლიკელებთან დაპირისპირება მოსვლოდა, ზურაბ აბაშიძის თბილისის საარჩევნო შტაბის უფროსად



ჭარული ჩანაწერი.  
ბადრი პატარეკაციშვილი, ვანო ჩხარტიშვილი, ვანო მერაბიშვილი

დანიშვნა ნდომებოდა. არ მჯერა, რომ ამის გამო ალასანია გაუნაწყენდა და არც იმისი მჯერა, რომ რესპუბლიკელებს ქანთარიაზე და ჯაჭვლიანზე სუსტი მაჟორიტარობის კანდიდატები ჰყავდათ. ვიცი, რომ ამის გამო „ქართული ოცნება“ ბევრ ხმას დაკარგავს.

7. მჯერა, რომ შესაძლოა ირაკლი ლარიბაშვილი ხიდაშეს ვერ იტანს, რომ მისთვის საქმეების ჩაბარებას შეცდომად თვლის. არ მჯერა, რომ ადამიანი წინადადებაში ხუთჯერ იგინება. ვიცი, რომ თუ ჩანაწერი რეალურია, დიდი ბოდიში აქვს მოსახდელი.

8. მჯერა, რომ შეიძლება ირაკლი ალასანია ივანიშვილის რაღაც მოთხოვნებს არაადეკვატურად მიიჩნევს. არ მჯერა, რომ აუდიო-ჩანაწერში მისი ხმა ისმის და ვიცი, რომ უშიშროებაში ნამუშევარი კაცი ასეთ უცენზურო სატელეფონო ზარს არ განახორციელებდა, მით უმეტეს, როცა საერთოდ არ ახასიათებს „ემოციური“ გამოხტომები.

9. მჯერა, რომ ბიძინა ივანიშვილი ეჭვიანი კაცია (მილიარდერი სხვანაირი ვერ იქნება), რომ კოალიციის ბევრ წევრს ვერ ენდობა. არ მჯერა, რომ აუდიოჩანაწერები მისი გაკეთებულია, რადგან ამისი არც საჭიროება ექნებოდა და არც საშუალება. ვიცი, რომ (უკანონო) ფარული მოსმენა-მიყურადება კანონით ისჯება და არა ტელესიუმეტებით.

10. მჯერა, რომ ივანიშვილის პირად დაცვაში შესაძლოა წესიერი ხალხი მუშაობდეს, არ მჯერა, რომ ერთ-ერთი მათგანის „აღსარება“ წესიერების შედეგი იყო და არა ზეზოლის. ვიცი, რომ გავრცელებული ვიდეომიმართვა ზუსტად იმ კედლის ფონზე იყო გადაღებული, რომლის ფერიც ძალიან გავრცელებულია ახლად გარემონტებულ პოლიციის შენობებში. ვიცი, რომ სამართალდამცავორგანოებს ოპერატიულ-სამჩებრო ღონისძიებების ფარგლებში მოპოვებული საიდუმლო მასალების გასა-

ჯაროების უფლება არ აქვთ, თუ ის არ შეიცავს სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს და ეჭვ-მიტანილის პირად ცხოვრებას ეხება. ასევე სამართალდამცავებს არ აქვთ უფლება კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, ფარული მოსმენა-მიყურადება ანარმონ პირის მიმართ, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დიპლომატიური ან დეპუტატის იმუნიტეტი იცავს. დღეს გამოქვეყნებული აუდიოჩანაწერების გმირების უმრავლესობა კი (რამდენადაც კანონი მახსოვეს) როგორც დეპუტატობის კანდიდატი, სწორედ ამგვარი იმუნიტეტით სარგებლობს. შესაბამისად, მთავრობა ამ მასალებს საკუთარი სახელით ვერ გამოქვეყნებდა, ამიტომ სხვისთვის უნდა შეეტენა საკუთარი ნამოქმედარი. მეტი დამაჯერებლობისათვის ბიძინას დაცვა არჩია.

11. მჯერა, რომ მიუხედავად მრავალჯერ ნანახი ჯაშუშური სერიალებისა, ეს აუდიოჩანაწერები ვიღაცის არჩევანზე იმოქმედება. არ მჯერა, რომ უკანონობის ჩადენის გამო ვინმე დაისჯება, მაგრამ ვიცი, რომ ოპოზიციაში აშკარა პროგრესია, რადგან მათი სიტყვებიდან რუსული ტანკები ვერაფრით გამოძერწეს.

დაბოლოს, მჯერა, რომ ოდესმე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპს პატივს ვცემთ, სხვის საძინებლებს ყურს მოვაცილებთ და ჩვენს დეკლარირებულ სიტყვას მეტ ფასს დავადებთ, ვიდრე ფარულად ჩანერილს. პატიმრების დადასტურებული ნამების პასუხად, საეჭვო აუდიოჩანაწერებს არ მივიღებთ და ყოველ არჩევნებს სამოქალაქო ომის წინაპირობად არ ვაკეცევთ. მაგრამ არ მჯერა, რომ ამას მალე მივაღწევთ, რადგან ვიცი, ებრაელების ეგვიპტიდან ისრაელში დაბრუნებას ორმოცი წელი დასჭირდა, ამიტომ მოთმინებით მოგვიწევს აღჭურვა, რათა ნაბიჯ-ნაბიჯ მაინც მივაღწიოთ აღთქმულ მინამდე... **ც**

# კონგლენი

კახა თოლორდავა  
ურნალისტი



„ნუთუ შესაძლებელია, უგრძნობელი თუ  
არ ხარ, მშვიდად დარჩეჩ ჩენს დროში?“

**ლ. ტოლისტო „ომი და მშვიდობა“**

რატომ უნდა შეიცნო თავი შენი? ყველაფერ დანარჩენთან ერთად, თუნდაც იმიტომ, რომ ტვინში 100 მილიარდი ნერვული უჯრედია, დანარჩენ რამეებზე რომ არაფერი ვთქვათ. ნუთუ ეს ფაქტი საკმარისი არაა ასეთ საინტერესო თავვადასავალში თავისი გასაყიდვად? ნუთუ ამაზე საანტერესო შეიძლება რამე იყოს? ყველამ თვითონ შევეცადოთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. არავინ არაფერს გვაძლებს. პირადად ჩემს ამავას თუ ვინმე იკითხავს, გულაბდოლად ვიტყვი, რომ ვცდილობ, თუმცა, ხშირად ნარუმატებლად. და მაინც, ჯიუტად ვცდილობ!

სწორედ ამ მცდელობებმა გადამყარეს ამიგდალას, ნუშის ფორმის პანანინა სხეულს ტვინის ორივე ნახევარსფეროში, რომელიც ლიმბური სისტემის ნანილია და რომელიც ემოციების ფორმირებაში ეხმარება ადამიანს. პოლ ბროკისი, ინგლისელი ნეიროფსიქოლოგი, ძალიან სანტრერესო პოპულარული წიგნის – „მდუმარე სამყაროში“ – ავტორი, ამბობს, რომ „ამიგდალა ემოციების საჭის მფლობელია; ის აკავშირებს ინფორმაციის გადამუშავების პროცესს ტვინის ქერქის იმ სტრუქტურებთან, რომლებიც ემოციების რეგულაციაზეა პასუხისმგებელი“. ამიგდალა სერიოზული ვინმეა. სიტუაციდან გამომდინარე ის ნაჩერევი, ინსტინქტური რეაქციებისაკენ გვიბიძებს, რეაქციებისკენ,

ბიც ხშირად არცთუ სწორი და სასურველია ხოლმე. ერთი მხრივ, მისი რეაქციები სწორია, მაგალითად, მისი მეშვეობით გვერდზე გადგები, როდესაც დაინახავ, რომ შეიძლება მანქანა გეგახებოდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, მოუთვინიერებელი ამიგდალა ძალიან საშიში შეიძლება იყოს, რადგანაც, როგორც უკვე ვთქვი, ის სწრაფი გადაწყვეტილებების მაესტროა.

ბოლო რამდენიმე დღეა სწორედ ამიგდალას მოთვინიერების ჟინით ვარ შეპყრობილი. მოთვინიერება კი იმას ნიშნავს, რომ უსაშველოდ არ გადატვირთო ის შენთან დაუკითხავად მოვარდნილი გამაღლზიანებლებით. ბოლოს და ბოლოს, ამ ნაგიური ამიგდალას კარგი თვისება ისიცაა, რომ შენი პირადი სივრცის ზღვარსაც ის ადგნეს ანუ, რაღაც მომენტში გვეტნება, – „ეი, იუსგარ, მორჩი, თორებ დაგერხება!“ თუ ეს ვერ მოახერხე, სისხლში გადაბარგებული ისეთი ნივთიერებები, როგორებიცაა სეროტონინი და კორტიზოლი ემოციების მოთვის საშუალებას ალარ მოგცემს, რაც ნიშნავს იმას, რომ ემოციური „დეფოლტი“ გარდაუვალია. ამ დროს შენ ბ რ ბ რ ხარ, მგონი გასაგებად ვლაპარაკობ, არა?

ბოლო რამდენიმე დღეა, მე ბრბო ვარ, ქცევის არქაული ხერხებით გაძეგვილი არსება, ამიტომაც რა გასაკვირია ასე რომ ვცდილობ მის მოთვინიერებას? ჩემნაირი ამიგდალანაკრავი ადამიანი საშიშია საზო-

გადოებისათვის! ერთადერთი, რაც მაწყნარებს, ან შეიძლება კიდევ უფრო მაშინებს („ამიგდალ-ჯან, შენ რას მეტყვი?“) ისაა, რომ ქალაქში ხეტიალისას თვალნათლივ ვრწმუნდები, მარტო რომ არ ვარ. მთელი ქალაქი ამიგდალანაკრავით იქცევა, თუმცა თანამოქალაქები რომ არ გამიპრაზდნენ, ისევ საკუთარ ამიგდალას დაუყიდრუნდები.


შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ ბრბოს და საკუთარ პერსონას ერთმანეთისაგან ვმივჯნავ. არა, მე მეშინია ბრბოსი საკუთარ თავში. ეხლა და ამ წამს. სწორედ ამიტომ ვიპრძვი ასე გააფთრებით, რადგანაც კარგად მეშინის, – ამიგდალანაკრავი არ ექვემდებარება არაფერ რაციონალურს და იმპულსების კარნახით მოქმედებს; ის მხოლოდ ამწუთიერ მოთხოვნებს იკავოფილებს, კარგად ვერ ითვისებს ინფორმაციას, შეიძლება, ადვილად მოეჩვენოს რამე და სრულიად უწყინარ მოვლენას ან სიტყვებს არადეკვატური აგრესი შეაგებოს. ის ადვილად ექცევა გარე ზეგავლენების ქვეშ და სრულიად დაკარგული აქვს კრიტიკული განსჯის უნარი; ის ადვილად აღზნებადია და მიმართულია ნგრევისკენ, საესეა შერისძიებით, განადგურების სურვილით, ადვილად პოულობს მტერს და სხვა ამიგდალანაკრავ ადამიანებთან ერთად ერთიანდება მის ნინაალმდევ. კიდევ რა? პო, მისთვის უცნობია პასუხისმგებლობის შეგრძნება, რადგანაც ამიგდალანაკრავი ადამიანისათვის მხოლოდ სხვაა დამაშავე და არასდროს თვითონ.

აი, ასეთი კაცი დადის ქალაქის ქუჩებში და მიკვირის, რომ არავის ეშინია ჩემი! უფრო სწორედ, მიკვირდ მანამ, სანამ რამდენიმე დღის წინ თვალებში არ ჩავხედე პირველ გამვლელს ქუჩებში. მერე კი ამოვისუნთქედა ჩემთვის ჩავილაპარაკე, „გამარჯვობა შენი, ჩემნაირ!“ მაინც მაგრა ვცდილობ... ც.



ოპერატორულად მანახლებადი ახალი ამბები,  
სიუზეტები, მაღაცემები და ანონსები.

[tv9.ge/facebook](http://tv9.ge/facebook)



## ესაღი დაინაო მეტი

აქვე შეგიძლია უყურო პირდაპირ ეთერს, დაათვალიერო ფოტო და ვიდეო არქივი და  
გაეცნო ჩვენს ორგანიზაციაში არსებულ ვაკანსიებს.

► ის, რომ რუსეთს უნდა მოგვჰაძოს პოლიციის ფორმებში, შენობებში, მანქანებში, ეკონომიკური რეფორმების გაკეთების იმიტაციაში, ეს არ მიკვირს, ეს ცხოვრებაში მათ არ ჰქონიათ.

► ნახეთ ქარხანა, რომელიც იბომბებოდა, ქვეყანა, რომელიც გარდაცვლილად გამოაცხადეს, პრეზიდენტი, რომელიც ცხედარია უკვე მათი ჭკუით, რამდენიმე წელია და სხეულის ერთი ნაწილით უნდა ყოფილიყო დაკიდებული, ყველანი ერთად შევიკრიბეთ აგერ და ვუყურებთ ჩვენ ლაზიკებს, ჩვენ დიდგორებს, ჩვენ ყუმბარმტყორცნებს, ჩვენ ანტისატანკო აპარატებს. ვაიმე, რაღაც მტერს ძალიან ცუდი სიზმარი ესიზმრება, – იბწკინოს და გამოიღვიძოს.

► ქუთაისში პარლამენტის გადასვლა მორგებული არის ჩვენს მთავრობაზე. მთავრობა, რომელიც ერთ ადგილზე ვერ ჩერდება, მუდამ გადაადგილდება, ეს ხასიათის განწყობაა. მე ვარ ეგეთი, ვაშაძე ორჯერ უფრო ეგეთია, ჩვენ გვყავს მინისტრები რომლებიც კიდევ უფრო ეგეთები არიან – ფეხმარდები და მკვირცხლები.

► ვერანაირი ბნელეთის მოციქულები, ვერანაირი ანტირეფორმისტები... მე მიყვარხარ, მე, ეხლა ეს ბავშვი ვინ მომიგზავნა აქ. მგონი პოლიციამ წამოიყვანა ძალით საბავშვო ბალიდან. მე მიყვარხარ ყველაზე მაგრად.



## მიშიალები

► ყველაზე ლარიბი ხალხი ცხოვრობდა აქ და ცხოვრობს დღესაც, ეს არის ამ ხალხის ამოყვანა სილარიბიდან ორთქმავლით, დასჭირდება ხუთი-ათი წელი, რომ ეს სილარიბე გადავიდეს, მაგრამ ადრე საერთოდაც შანსი არ იყო, სულ ვფიქრობდი, რა ეშველება ახალციხეს, აი, თუ არაფერი ეშველება.

► ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ლვინის დაყენება. არ შეიძლება იყოს არცერთი ჰექტარი საქართველოში, სადაც შეიძლება იყოს ვენახი. მე გამოტაცა ძალიან ვენახმა, ეს არის ჩვენი ნაციონალური მეობის ნაწილი.

► აეროპორტთან მერიას ვთხოვ გამოვყოთ დიდი მინა და დავრგოთ ძალიან დიდი ვენახი, გავანათოთ ლამე, სტუმარი რომ წამოვა დაინახოს მხოლოდ ვენახი და კიდევ გეტყვით, რომ ბევრი არაფერი დაგვიჯდება, ყველა ჩამოსულ სტუმარს პატარა ბოთლი ვაჩუქოთ რომ თან წაიღონ სუვერინიად.

► მე მაჩვენეთ მაგალითი წარმატებული და დაწოლის პოლიტიკის და ბაბაიას ძახების პოლიტიკის და მე ვიქენები, ვიქენებოდი, ალბათ, წარსულში, არ გამოვდგები ამისთვის მომავალში, რომ ამას გავყოლოდი.

► მინისტრებს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიგიქარავთ. აღმოვაჩინე, რომ 30 თუ 40 წარმომადგენელს აგზავნით ბრაზილიაში გარემოს დაცვის კონფერენციაზე დიდი სტენდის მოსაწყობად. ბიჭებს და გოგოებს ბრაზილიაში გასეირნება მოენატრათ. მოდით, საქართველოში გაისეირნეთ ცოტა მეტი, ბიჭებო და გოგოებო. ველარ ელირსებიან ისინი იმას, რომ რამდენიმე ოჯახმა გაინაწილოს საქართველო ისევ, როგორც იყო ფული, ცხვირანეულობის და უბნების მიხედვით, ნურას უკაცრავად!

თუ გამოგრჩა რომელიმე სიუჟეტი ან გადაცემა,  
ეწვია “მეცხრე პრეზ” YouTube-ს.

[tv9.ge/youtube](http://tv9.ge/youtube)



**ეცხადე დაინახო მეტი**

აქ იხილავ ყველა საინფორმაციო გამოშვების და გადაცემის არქივს. კონკრეტული ვიდეო  
ფაილის მოსაძებნად გამოიყენე ძიების ველი, ან გადადი Playlist-ების გვერდზე, სადაც მასალა  
გადაცემების და თარიღების მიხედვით არის დალაგებული.



როგორ შუქდება წინასაარჩევნო კამპანია  
ქართულ ტელე, რადიო, ბეჭდურ და ინტერნეტ მედიაში.  
ქართული მედიის მონიტორინგის  
უახლესი ანგარიშები ვებგვერდზე:

[www.mediamonitor.ge](http://www.mediamonitor.ge)



Mediamonitor.ge



EUROPEAN UNION

პროექტი ხორციელდება ევროკაფშირისა  
და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით



Empowered lives.  
Resilient nations.